

კობა გრიგოლია



თბილისი

2024

კობა გრიგოლია

სირიის კონფლიქტი
ტრანსფორმირებად საერთაშორისო
ურთიერთობათა სისტემაში

თბილისი

2024

UDC (უაკ) 316.485

გ-822

ნაშრომი ეძღვნება მსოფლიოში განვითარებულ პროცესებს; კერძოდ, გლობალურ, რეგიონულ და შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტებს. ხაზგასმულია, რომ აღნიშნული პროცესები განვითარდა ახლო აღმოსავლეთში, მათ შორის სირიაშიც, რომელიც ხანგრძლივ საშინაო ომებში აღმოჩნდა ჩართული.

ამასთან აღნიშნულ მოვლენებს წინ უსწრებდა მსოფლიოში წარმოშობილი ისტორიულ-პოლიტიკური ხასიათის პროცესები: საბჭოთა კავშირის დაშლა და აშშ-ის ლიდერობით ერთპოლუსიანი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო სისტემის ჩამოყალიბება.

რეცენზენტი:

იგორ კვესელავა - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

რედაქტორი:

ზურაბ მჭედლიშვილი - ისტორიის დოქტორი.

ISBN 978-9941-8-7246-4

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არცერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე. საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

შინაარსი

ავტორისაგან _____	5
შესავალი _____	9
თავი 1. _____	29
ტრანსფორმირებად საერთაშორისო სისტემაში სირიის კონფლიქტის არსის თეორიული და ისტორიული ჩარჩო_	29
1.1 კონფლიქტების არსი, წარმოშობა, თეორიები, გადაჭრის სტრატეგია და ტაქტიკა _____	29
1.2 ტრანსფორმირებადი საერთაშორისო სისტემა და ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების თავისებურებები _____	39
1.3 სირიის კონფლიქტის არსი და წარმოშობის წანამძღვრები _____	52
თავი 2. _____	64
გლობალური აქტორების ინტერესები და სირიის კონფლიქტი _____	64
2.1 სირიის კონფლიქტის განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპები _____	64
2.2 გარე აქტორების როლი სირიის კონფლიქტის წარმოშობასა და განვითარებაში _____	76
2.3 სირია და აშშ-ის პოლიტიკის დეტერმინანტები _____	96
2.4 რუსეთის როლი სირიის კონფლიქტის დარეგულირებაში _____	110
2.5 რეგიონალური სახელმწიფოები და მათი პოლიტიკის მოტივაცია _____	123

თავი 3. _____	132
სირიის კონფლიქტი და ძალთა თანაფარდობის ახალი მოცემულობა რეგიონში _____	132
3.1 სირიის კონფლიქტის გავლენა ახლო აღმოსავლეთის რეგიონალურ პოლიტიკაზე _____	132
3.2. არაბული ქვეყნების ლიგის და რეგიონული ორგანიზაციების როლი კონფლიქტის დარეგულირებაში _____	146
3.4 სირია გაეროს პოლიტიკაში _____	154
დასკვნა _____	176
გამოყენებული ლიტერატურა: _____	180

ავტორისაგან

მსოფლიოში განვითარებულმა პროცესებმა დღის წესრიგში დააყენა გლობალური, რეგიონული და შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტების, შეიარაღებული დაპირისპირებებისა და ომების წარმოშობის, განვითარებისა და მოწესრიგების კვლევისა და ანალიზის აუცილებლობა. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ აღნიშნული პროცესები განვითარდა ახლო აღმოსავლეთშიც, მათ შორის სირიაში; შედეგად, აღნიშნული ქვეყანა ხანგრძლივ საშინაო ომებში აღმოჩნდა ჩართული.

ამ მოვლენებს წინ უსწრებდა მსოფლიოში წარმოშობილი ისტორიულ-პოლიტიკური ხასიათის პროცესები: საბჭოთა კავშირის დაშლა და აშშ-ის ლიდერობით ერთპოლუსიანი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო სისტემის ჩამოყალიბება. თუმცა, ის შედარებით დღემოკლე აღმოჩნდა; ვერ განხორციელდა ბუეზინსკის და ფუკუიამას წინასწარმეტყველებანი ლიბერალური დემოკრატიის საბოლოო გამარჯვების შესახებ და კიდევ უფრო გაღრმავდა ადგილობრივი, რეგიონული და საერთაშორისო კონფლიქტები.

ნაშრომის შესავალში განხილულია თემის აქტუალობა, ჩამოყალიბებულია კვლევის მიზანი, ამოცანები, ობიექტი, საგანი და თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები, აგრეთვე კვლევის ძირითადი შედეგები, მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა. შესავლის ბოლოს მოცემულია საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის ვრცელი მიმოხილვა.

პირველ თავში „სირიის კონფლიქტის არსის თეორიული და ისტორიული ჩარჩო ტრანსფორმირებად საერთაშორისო სისტემაში,“ გაანალიზებულია კონფლიქტების არსი, წარმოშობა, მათი გადაჭრის სტრატეგია და ტაქტიკა; დახასი-

ათებულია კონფლიქტების სხვადასხვა თეორიები (რ. პარკი, ლ. კოზერი, გ. ზიმელი, ა. ადლერი, ჰ. კისინჯერი, ა. ვენდტი, გ. როუზი, ჯ. გოლდმტერინი, რ. კიოჰენი, ს. კაუფმანი, ი. გალტუნგი, ე. მორავსკი და სხვ.). აქვე გაზიარებულია მოსაზრება (ი. კვესელავა), რომ კონფლიქტების თეორიებში მოიაზრება ტერმინი „ცივი ომი,“ რომელიც სხვადასხვა ფორმითა და შინაარსით ყველა ეპოქაში არსებობდა, ხოლო თეორიულად და პრაქტიკულად მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში დამკვიდრდა მსოფლიოს ორპოლუსიან სისტემაში.

ტრანსფორმირებადი საერთაშორისო სისტემისა და ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების თავისებურებების შესწავლა-გაანალიზებისას ყურადღება გამახვილებულია კონკრეტულად სირიის კონფლიქტის არსზე და მისი წარმოშობის წინაპირობების განხილვაზე, სადაც წარმოჩენილია სირიის სახელმწიფოს მმართველობის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ეკონომიკური და სხვა ფაქტორები და აღნიშნულია, რომ ცალკეულ შემთხვევებში ქვეყნის ხელისუფლება თვითონვე ქმნიდა პრობლემებს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, გამოირჩეოდა დემოკრატიულობის დაბალი ხარისხით და ავტორიტარიზმისკენ მისწრაფებებით, რასაც კარგად იყენებდნენ აშშ, რუსეთი, ისრაელი, თურქეთი, ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნები, რაც ქმნიდა სამოქალაქო დაპირისპირებების, კონფლიქტების, ომებისა და ა.შ. წინაპირობებს.

ნაშრომის მეორე თავში შესწავლილია სირიის კონფლიქტის განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპები და წარმოჩენილია გარე აქტორების როლი აღნიშნული კონფლიქტის წარმოშობასა და განვითარებაში. აღსანიშნავია, რომ 1967 წელს, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, სირიას მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო

ურთიერთობები ჰქონდა საბჭოთა კავშირთან და შემდეგ რუსეთთან. პარალელურად, ჩამოყალიბდა სირია-ირანის ალიანსიც, რომელიც ნაკარნახევი იყო არა რელიგიური სოლიდარობით, არამედ გეოპოლიტიკური მიზანშეწონილობით.

ნაშრომში განმარტებულია, რომ ერთპოლუსიანი წესრიგის გარკვეულ ეტაპზე (2000-იანი წლები) ვაშინგტონმა აირჩია ახლო აღმოსავლურ პროექტებში სირიის ჩართვის ტაქტიკა, რაც გაამლიერებდა ამერიკულ ძალას ახლო აღმოსავლეთში, შესაძლებელს გახდიდა ევროპის დაშორებას აფრიკისაგან, შეასუსტებდა რუსეთის გავლენას სპარსეთის ყურესა და ინდოეთის ოკეანეში, ასევე ჩინეთის ყოფნას აფრიკის არეალში. გაანალიზებულია თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის დიდი მოთამაშეების- აშშ-ისა და რუსეთის როლი და ინტერესები; აგრეთვე რეგიონული სახელმწიფოთა პოლიტიკის მოტივაცია სირიის კონფლიქტის საკითხთან დამოკიდებულებაში.

მესამე თავში გაანალიზებულია სირიის კონფლიქტის გავლენა ახლო აღმოსავლეთის რეგიონულ პოლიტიკაზე. შესწავლილია არაბული ქვეყნების ლიგის, რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციების დამოკიდებულება, მათი როლი და მცდელობები სირიის კონფლიქტის დარეგულირებაში. კერძოდ, დახასიათებულია სირიაში მიმდინარე პროცესების მიმართ საერთაშორისო ორგანიზაციების და, მათ შორის, გაერო-ს იდეოლოგიური და პრაქტიკული ხასიათის საქმიანობა. განხილულია გაერო-ს მიერ მიღებული რეზოლუციები, უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებები. გაერო-ს ყოფილი გენერალური მდივნის კოფი ანანის „მშვიდობიანი გეგმა“, „სადამკვირვებლო ჯგუფის“ მიერ შემუშავებული გადაწყვეტილებები, გაერო-ს მისიის მოწინააღმდეგეთა მოქმედებები, გაერო-ს დამკვირვებელთა საქმიანობის შეწყ-

ვეტის მიზეზები, „სირიის მეგობრების“ ჯგუფის ტენდენციური გადაწყვეტილებები, „არაბული სახელმწიფოების ლიგის“ გადაწყვეტილებები და ა.შ.

დასვნიტ ნაწილში წარმოდგენილია ვრცელი დასკვნები, ჰიპოთეზები და რეკომენდაციები. ავტორის მოსაზრებით, სამყარო ფაქტობრივად მესამე მსოფლიო ომის პირობებშია, როდესაც აქტიურად მიმდინარეობს აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი რუსეთ-უკრაინის ომი, რომელშიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ჩაბმულია პლანეტის ბევრი სახელმწიფო, პოლიტიკური და სამხედრო გაერთიანებები, მოხალისეები სხვადასხვა კონტინენტებიდან. რეალური ომი მიმდინარეობს ახლო აღმოსავლეთში ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის, კონფლიქტური სიტუაციები და საომარი დაპირისპირებები არ ცხრება სამხრეთ კავკასიაშიც და ა.შ.; ასეთ ვითარებაში ძნელია იმის პროგნოზირება, რომ ეკონომიკური სანქციებით თუ დიპლომატიით, მრავალმხრივი სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით საერთო ენა გამოიწახება მხარეებს შორის, დამყარდება სტაბილურობა მსოფლიოში და მათ შორის ახლო აღმოსავლეთში, რომლის ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოდ მოიაზრება სირიაც. აღნიშნულის მიუხედავად, დიპლომატიური, ეკონომიკური, რელიგიური და ა.შ. ძალისხმევით, სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით ახლო აღმოსავლეთში მიღწეულ უნდა იქნეს ისეთი შეთანხმება, რომელიც მისაღები იქნება მხარეებისათვის და მოიტანს სტაბილურობას ახლო აღმოსავლეთში.

შესავალი

ახლო აღმოსავლეთი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე რთული რეგიონია, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს თანამედროვე მსოფლიოს, განსაკუთრებით კი ევროპისა და აზიის სტაბილურობასა და უშიშროებაზე. ათეული წლების განმავლობაში აქ მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური, ტერიტორიული, სამხედრო და სხვა სახის კონფლიქტები ლტოლვილთა კრიზისის, ტერორიზმის, დაპირისპირებებისა და ომების წყაროს წარმოადგენდა; შიდა პრობლემებს მოჰქონდათ საგარეო გართულებები და ეს განსაკუთრებით ეხებოდა ევროპულ და წინააზიურ უსაფრთხოებასაც.

უნდა ითქვას, რომ თემა, რომელიც შეეხება სირიის პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია შიდა და გარე ურთულეს ფაქტორებთან, სახელისუფლებო რეჟიმებთან, ოპოზიციურ მოძრაობებთან, ხელისუფლებისათვის ბრძოლასთან, დიდი თუ მცირე ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევასთან და განსაკუთრებით, „არაბული გაზაფხულის“ პერიპეტეიებთან (როდესაც ახლო აღმოსავლეთი მოიცვა დაგეგმილმა თუ დაუგეგმავმა რევოლუციებმა, საპროტესტო მოძრაობებმა, შიდა დაპირისპირებებმა და მღელვარებებმა, რომელიც კარგად იქნა გამოყენებული სხვადასხვა ძალების მიერ იმ რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც ოთხი ათწლეული მართავდა ქვეყანას), დღესაც არ კარგავს აქტუალურობას და ამიტომაც ნაშრომში გაანალიზებულია გარკვეული ფაქტები და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები, რამაც, შესაძლოა, სამომავლოდ მოგვცეს საშუალება თავიდან ავიცილოთ გარკვეული პრობლემები და სირთულეები.

აღნიშნული თემის აქტუალობა გამოიხატება იმაშიც, რომ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები და სახელმწიფოები სირიის კონფლიქტს ე.წ. „სექტანტურ მოძრაობ-

ად“ მიიჩნევდნენ, ხოლო ახლო აღმოსავლეთის ახლადშექნილი სახელმწიფოები პროდასავლურ ან სოციალური ორიენტაციის მიმდევარ ქვეყნებად იყოფოდნენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აშშ-თურქეთის გარდამავალი ურთიერთობები, რომელიც ხან ლოიალური იყო და ხან წინააღმდეგობრივი; ყველაზე ახლო ურთიერთობები არსებობდა აშშ-ისრაელს შორის, რომლებსაც ერთად ჰქონდათ შემუშავებული სირიის „ბალკანიზაცია“, „დიდი ახლო აღმოსავლეთის“ გეგმის ჩარჩოებში მოქცევა და მისი მეორე იუგოსლავიად ქცევა. ამერიკისათვის მისაღები იყო მის მიერ მართული „დიდი კავკასია“, „დიდი უკრაინა“, „დიდი იუგოსლავია“ და ა.შ.

სირიის კრიზისი იყო ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლების დიდი დაინტერესების საგანი, მით უმეტეს, თეირანი ოფიციალურად უჭერდა მხარს სირიის რეჟიმს და მიიჩნევდა, რომ სირიაში მიმდინარე პროცესები პოლიტიკური გზით და გარე ძალების ჩარევის გარეშე უნდა მოეგვარებინათ. თავის მხრივ, სირიაც ირანის ერთადერთი მოკავშირე იყო.

სირიაში სამხედრო ინტერვენცია მიუღებელი აღმოჩნდა ირანისათვის, რომელიც სირიის ოპოზიციას ოფიციალურად ადანაშაულებდა ქიმიური იარაღის გამოყენებაში და მიუთითებდა, რომ აშშ-ის და სირიის ოპოზიციური დაჯგუფების მიზანი კონფლიქტისთვის საერთაშორისო ხასიათის მინიჭება იყო.

ირანის პოლიტიკური და სამხედრო ელიტა იმაზეც მიუთითებდა, რომ აშშ-ს გამარჯვების შემთხვევაში, რუსეთი გავლენას დაკარგავდა კავკასიაში.

2014 წლის ივნისში გაერო-მ იმსჯელა ოფიციალურად აღიარებული „ისლამური სახელმწიფოს“ თაობაზე, იგი ტე-

რორისტულ ორგანიზაციად მიიჩნია და მსოფლიოს ახალ გამოწვევად დაასახელა, ვინაიდან მის მიერ ხორციელდებოდა ერაყისა და სირიის მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტებისა და დასახლებული პუნქტების კონტროლი და გრძელვადიან მიზნად ჰქონდათ კვიპროსის, სამხრეთ თურქეთის და ა.შ. მიერთება. ისლამური სახელმწიფო წარმოადგენდა ყველაზე მდიდარ და ძლიერ ორგანიზაციას მსოფლიოში, რომელიც სირიასა და ერაყში, თურქეთის, იორდანის და სხვა „შავ ბაზარზე“ ნავთობის საბადოებს აკონტროლებდა.

მოგვიანებით რუსეთი, ირანი და სირია ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ გაერთიანდნენ და სამხედრო საკოორდინაციო ცენტრი ჩამოაყალიბეს, აგრეთვე რუსეთმა დაიწყო ანტიტერორისტული ოპერაცია, რომლის მიზანსაც სირიაში „რეალური პოლიტიკური კომპრომისისთვის“ საჭირო პირობების შექმნა წარმოადგენდა. რუსეთი ლეგიტიმურ ხელისუფლებად პრეზიდენტ ასადს მიიჩნევდა.

ახლო აღმოსავლეთში, საერთოდ, და კერძოდ სირიის მიმართ დიდ აქტიურობას იჩენდა ამერიკის შეერთებული შტატები, რომლისთვისაც რეგიონი მნიშვნელოვან სტრატეგიულ მხარეს წარმოადგენდა. ამ მხრივ, ე.წ. „არაბული გაზაფხულის“ სამხედრო-პოლიტიკური აქციების განხორციელების შემდეგ, რეგიონის მიმართ აშშ-ის დამოკიდებულებამ სხვა ხასიათი მიიღო, რაც 2015 წელს მიღებულ ეროვნული უშიშროების სტრატეგიულ დოკუმენტებშია ასახული. შეერთებული შტატები ემხრობოდა ორი სახელმწიფოს-ისრაელის და დამოუკიდებელი პალესტინის ერთმანეთის გვერდით არსებობას. დოკუმენტში ცალ-ცალკე იყო განხილული ირანის, ერაყის, ეგვიპტის, ლიბიის, სირიის სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ურთიერთობების საკითხები. აშშ-ის ადმინისტრაციის განსაკუთრე-

ბული მიდგომა იკვეთებოდა სირიასთან დამოკიდებულების საკითხშიც. თუ 2010 წელს მიღებული ამერიკული დოკუმენტი მკაცრი იყო სირიის მიმართ, 2015 წელს მიღებულ დოკუმენტში შერბილებული იყო დამასკოს მიმართ ვაშინგტონის პოლიტიკური ხედვა და ბევრი საკითხი უფრო ზოგად ხასიათს ატარებდა. თუ 2010 წლის სტრატეგიული ხასიათის დოკუმენტში დიდი ადგილი ეთმობოდა ერაყს, ირანს, სირიას და ისრაელს, ახალ დოკუმენტში უფრო მეტი ყურადღება მახვილდებოდა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ მკაცრი ბრძოლის საჭიროებაზე და ეს იყო იმ ვითარებაში აბსოლუტურად გამართლებული პოლიტიკა. მით უმეტეს, დღეისათვის ახლო აღმოსავლეთის რეგიონში აშშ-ისთვის მხოლოდ ირანი იყო მიჩნეული მტრულ ქვეყნად.

დღევანდელ მსოფლიოში საყურადღებო ხდება მაკიაველისეული ფორმულა „მიზანი ამართლებს საშუალებას“ (აშშ, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, თურქეთი, ჩინეთი, ისრაელი და ა.შ.). სახელმძღვანელოს კვლევის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- პოლიტიკური პროცესების შედარებითი და კომპლექსური ანალიზით, საერთაშორისო და რეგიონულ სივრცეში მიმდინარე კონფლიქტებისა და ომების, სახელდობრ, სირიაში „ცივი ომისა“ და „მსოფლიო წესრიგის“ თეორიებისა და პრაქტიკული შედეგების განზოგადებით, კონფლიქტებისა და ომების კანონზომიერებების განსაზღვრით, ობიექტური შეფასება მიეცეს სირიაში პოლიტიკურ პროცესებს;
- „არაბული გაზაფხულის“ პერიპეტეების შესწავლა. არაძალადობრივი აჯანყების ძალადობრივ მოცემულობაში გადაყვანის მცდელობა და დადგენა, რომ სირიაში მიმ-

დინარეობდა ე.წ. სექტარიანული ომი და სამოქალაქო ომს მხოლოდ პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა;

- ასადის რეჟიმის გადარჩენის მიზეზების შესწავლა და ომის გავლენის განზოგადება რეგიონში.

სახელმძღვანელოში წამოდგენილია კვლევის რამდენიმე ძირითადი ამოცანა. ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნების როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრა დიდი ქვეყნების პოლიტიკაში;

- რუსეთის როლისა და გავლენის ჩვენება სირიის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში;
- ბაშარ ასადის პოლიტიკის მოწინააღმდეგე ძალების პოლიტიკური, რელიგიური და სამხედრო პოლიტიკის და საშინაო და საგარეო კურსის წარმოჩენა;
- ტერორიზმთან ბრძოლის სხვადასხვა სტრატეგიის დახასიათება (აშშ, რუსეთი, თურქეთი, ისრაელი);
- აშშ-სა და რუსეთის მეტოქეობისა და თანამშრომლობის წარმოჩენა სირიაში;
- სირიის კრიზისის დახასიათება, რუსეთის ახალი როლის გამოკვეთა საერთაშორისო რეალიებში;
- სირიის კონფლიქტის დაკავშირება საქართველოს სტრატეგიულ ინტერესთა სფეროსთან და ქვეყნის საგარეო და სამხედრო დაცულობასთან.

აღნიშნული ნაშრომი ახდენს ამ ფაქტების მეცნიერულ ანალიზს და ამ ანალიზის შედეგად მიღებული ვარაუდების მეცნიერულ დასაბუთებას.

მონოგრაფიის კვლევის საგანია ახლო აღმოსავლეთის რეგიონში განვითარებული პოლიტიკური პროცესების, კერძოდ, სირიის რესპუბლიკაში მიმდინარე კონფლიქტისა და ომის ანალიზი საერთაშორისო ურთიერთობათა ფონზე. კვლევის ობიექტია წლების განმავლობაში სირიაში განვითარ-

რებული კონფლიქტების მეცნიერული ანალიზი ცალკეული სურათის და მთლიანობაში, სხვა პოლიტიკური და სამხედრო ბლოკების საერთო და კონკრეტული მიზნებისა და ამოცანების სრულყოფილი შესწავლის საფუძველზე.

სახელმძღვანელოს საკვლევი თემის მეცნიერული სიახლე განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: მიუხედავად საკითხის აქტუალურობისა საერთაშორისო არენაზე, ახლო აღმოსავლეთის რეგიონის და, კერძოდ, სირიის კონფლიქტისა და ქვეყნის შიგნით განვითარებული ომების შესახებ, ცალკე განმაზოგადებელი მონოგრაფია არ არსებობს. აღნიშნული კვლევა პრობლემის სიღრმისეული შესწავლის პირველი ცდაა, რომელშიც წინ არის წამოწეული ორპოლუსიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის „ცივი ომის“ და „მსოფლიო წესრიგის“ თეორიულ-პრაქტიკული საკითხები, რეგიონის, აშშ-ის, ევროპის, რუსეთის და სხვა ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ინტერესების გათვალისწინებით. განხილულია დაპირისპირებების დინამიკა, მით უმეტეს, რომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონი და, კერძოდ, სირია წარმოადგენს ტერიტორიულად ახლო მდებარე სივრცეს სამხრეთ კავკასიასთან და, მათ შორის, საქართველოსთან.

გამოკვლევა შესაძლებლობას გვაძლევს ფართო პლანით წარმოვიდგინოთ ახლო აღმოსავლეთის რეგიონით დაინტერესებული დიდი თუ მცირე სახელმწიფოების თეორიული და პრაქტიკული გადაწყვეტილებების პროცესი და მოვახდინოთ მოვლენების განვითარების პროგნოზირება.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს საკითხის ახლებურად და მონოგრაფიული კვლევის სახით გააზრებაში, კერძოდ:

1. ნაშრომში ახლებურად არის გააზრებული რუსეთის ჩართვის მიზეზები და ინტერესები სირიის კონფლიქტში მის მიერ ანექსირებული ყირიმიდან და აღმოსავლეთ უკრაინიდან, რასაც მოჰყვა მკაცრი სანქციები დასავლეთის მხრიდან, ყურადღების გადატანა ეგრეთ წოდებულ საერთაშორისო ტერორიზმთან საერთო ბრძოლაზე დაიშის (ისლამური სახელმწიფოს) წინააღმდეგ, რომლის გამოჩენა სირიაში საექვოდ დაემთხვა რუსეთის ჩართვას სირიის კონფლიქტში.
2. ახლებურადაა დანახული და წარმოჩენილი სირიის კონფლიქტის ძირითადი შედეგი, რაც მდგომარეობს რუსეთის დაბრუნებაში ზესახელმწიფოთა რიგებში. აღნიშნულის მაჩვენებელია ის, რომ აშშ-მა, პირველად ამ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, რუსეთის სამხედრო წინააღმდეგობის გამო, ვერ შეძლო მიეღწია საკუთარი, ღიად აფიშირებული, მიზნისათვის, რაც ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლებიდან მოშორებაში მდგომარეობდა.
3. გამოკვლევაში გამოკვეთილია ახლო აღმოსავლეთის რეგიონში განვითარებული პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური დაპირისპირებები, რაც გარკვეულწილად ახალი გლობალური ესკალაციის ბიძგისმიმცემი გახდა და რაც დაუკავშირდა ფაქტობრივ აშშ-რუსეთის ომს უკრაინისათვის, რომელმაც სასტიკი და ხანგრძლივი ომის ხასიათი მიიღო.
4. „ცივი ომის“ ახალმა პოლიტიკურ-იდეოლოგიურმა ფაზამ შვა დიდი სახელმწიფოების (აშშ, რუსეთი) მიერ მომზადებული რეგიონული ომები, რომლებიც დიდი გეოპოლიტიკური გეგმების ნაწილს წარმოადგენენ.
5. საკითხის აქტუალურობის მიუხედავად მსოფლიო საერთაშორისო ველში ქართულ ენაზე სირიის შესახებ ერთი-

ანი, განმაზოგადებელი, მონოგრაფიული გამოკვლევა არ არსებობს. ამიტომ აღნიშნული ნაშრომი ამ ხარვეზის შევსების ცდაა.

მონოგრაფიულ კვლევაში ხაზი ესმება რეალიზმისა და ბალანსირების თეორიებს ისტორიული და კონტრანალიზების გათვალისწინებით. კვლევაში სირიის გარშემო განვითარებული პროცესები რეალიზმის პერსპექტივითაა განხილული და თეორიულ ჩარჩოდ შერჩეულია ბარი ბუზანის დიდი სახელმწიფოების - ძალების თეორია.

ნაშრომში გამოყენებულია ეთნიკური ომის საერთაშორისო თეორია იოან გალტუნგის „პოზიტიური და ნეგატიური მშვიდობის“, გ. ზიმელის „ფუნქციონალური“, რ. დარენდორფის „საზოგადოებაში კონფლიქტის მოდელების“, ალ. ადლერის „აგრესიის ინსტინქტის“, ზ. ფროიდის „ადამიანური ორბუნებრიანობის“, ე. მორავსკის და ალან მილვარდის „ლიბერალური ინტერგროვერნმეტალიზმის“, ჰ. მორგენტაუს „სახელმწიფო მართვისა და საგარეო პოლიტიკის“, კ. უოლცის „საერთაშორისო პოლიტიკის თეორიის განცალკევებულ სისტემად ჩამოყალიბების“ და სხვა მკვლევარების თეორიები.

აღსანიშნავია, რომ „ლიბერალური ინტერგროვერმეტალიზმის“ თეორიაში მთავარ მოქმედ აქტორებად მოიაზრებიან ეროვნული მთავრობები, რომლებმაც უნდა შექმნან ხელსაყრელი პირობები - სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური ვაჭრობის საწარმოებლად. ამ თეორიის თანახმად, ევროკავშირის ინსტიტუტები მცირე როლს ასრულებენ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაში; განიცდიან პირდაპირ გავლენას დიდი ძალაუფლების მქონე წევრი ქვეყნებისაგან და მუდმივად კონტროლდებიან მათივე მხრიდან. თუმცა კონფ-

ლიქტების თეორია იცნობს კონფლიქტის მხარეებზე ზემოქმედების ეფექტურ მეთოდებსაც.

მკვლევარები (ჰ. კისინჯერი) მიიჩნევენ, რომ „ცივი ომის“ „სასახლეს“ ბოლო ლურსმანი დააჭედა პრეზიდენტმა რეიგანმა, რომელმაც საბჭოთა კავშირის უომრად დამარცხება და „ცივი ომის“ დასრულება შეძლო. *კისინჯერი* განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა პრეზიდენტის გამონათქვამზე - „ბოროტების იმპერია,“ რომლის დამარცხება პირდაპირ უკავშირდებოდა ერთპოლუსიან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკური მსოფლიო სისტემის ჩამოყალიბებას ანუ მსოფლიო წესრიგის თეორიის პრაქტიკულად განხორციელებას.

ერენს ოტო ჩემპილის მიერ, 2003 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „მსოფლიო პოლიტიკა გარდატეხის პროცესში“ განიმარტებოდა, რომ „ცივი ომის“ პოლიტიკური ზემოქმედება უფრო მეტი იყო გლობალურ მსოფლიოზე, ვიდრე თავად მეორე მსოფლიო ომი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამერიკული და საბჭოური „წესრიგები“ შეიცვალა ერთი „მსოფლიო წესრიგით,“ თუმცა ის ხანმოკლე აღმოჩნდა და ამჟამად მსოფლიო მრავალპოლუსიანი წესრიგის ფაზაში იმყოფება ანუ მსოფლიოში კვლავ აქტიურად ამოდრავდა „ცივი ომის“ დილემები.

აზიურ სივრცეში ამოდრავდნენ ჩინეთი და ინდოეთი, ხოლო სლავურ სამყაროში - რუსეთი და ბელარუსი. გამძაფრდა კონკურენცია „ახლო აღმოსავლეთის“ და „სამხრეთ კავკასიის“ რეგიონებში, რომლებშიც „ცივი ომის“ სტრატეგიას დაიცავდნენ (თურქეთი, ირანი, საუდის არაბეთი, ისრაელი, აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო).

საგულისხმოა, რომ კისინჯერის, ბეზინსკის, ფუკუი-ამას, ნაის, უოლცის, ჯენტლერსონის და სხვა მკვლევარების, პოლიტიკოსებისა და პოლიტოლოგების პოლიტიკურ მოსაზრებებს, პროგნოზებსა და იდეებს წინ უსწრებდა სამუელ ჰანთინგტონის ცნობილი ნაშრომი „ცივილიზაციათა შეჯახება“ (1933 წ.), რომელშიც იკვეთებოდა აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების სხვადასხვა მიმართულების დაპირისპირებების კონტურები. ნაშრომში ახსნილი იყო ქრისტიანული და ისლამური ცივილიზაციების დაპირისპირების არსი. ჰანთინგტონის აზრით, ხმელეთისა და ზღვის ცივილიზაციები ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ და, მათ შორის, ომს შეიძლებოდა დამატებოდა მესამე - ციური ცივილიზაცია. ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ, ერთი მხრივ, „მიწის ძალის“, მეორე მხრივ, ანგლოსაქსური „ზღვის ძალის“ დაპირისპირება წარმოადგენდა რუსი პოლიტიკოსების გეოპოლიტიკური ხედვის ბაზისს. უდავოა, სამყაროში არსებობდნენ აღმოსავლური, დასავლური, სამხრეთული კავშირები, თუმცა აქედან მთავარი იყო აღმოსავლური და დასავლური საბაზისო საწყისები და ღირებულებები.

ს. ჰანთინგტონი აყალიბებდა მსოფლიო პოლიტიკის ალტერნატიულ მიდგომებს, იგივე პარადიგმებს:

1. ერთი ჰარმონიული ერთპოლუსიანი მსოფლიო.
2. ორპოლუსიანი (დასავლეთი-აღმოსავლეთი) მსოფლიო.
3. მრავალპოლუსიანი მსოფლიო (184 ქვეყნის საკვანძო მოთამაშეები, რომლებიც, საკუთარი გადარჩენის ან უშიშროების მიზნით, ალიანსებს ქმნიდნენ).
4. სრული ქაოსის მსოფლიო (დასუსტება, დაშლა, კონფლიქტები, ლტოლვილთა გაჩენა, ტერორიზმის ზრდა).

5. ცივილიზაციური, თანამედროვე მსოფლიო, როდესაც მსოფლიო წესრიგი განისაზღვრებოდა ცივილიზაციათა-შორისი ურთიერთქმედებით.

ჰანთინგტონის ყველა პარადიგმა, სხვადასხვა დადებითი და უარყოფითი განზომილებების გამო (პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, იდეოლოგია, რელიგია), თეორიულად არასრული და პრაქტიკულად შეუსრულებადი იყო. მისი თქმით, არსებობდნენ ქვეყნები, რომელთაც ისტორიის, კულტურის, რელიგიის, ტრადიციების და ა.შ. კავშირით არავითარი საერთო არ ჰქონდათ დასავლეთთან. ასეთ სახელმწიფოებს მიეკუთვნებოდნენ: თურქეთი, ირანი, აზერბაიჯანი, სირია, ერაყი და სხვა ქვეყნები, თუმცა ისინი თავს დასავლური ტიპის თანამედროვე სეკულარულ ერ-სახელმწიფოთა ჯგუფს მიაკუთვნებდნენ. ასეთ მდგომარეობაში იყო სირიაც, რომელსაც დასავლეთი არ ცნობდა თავის ნაწილად, არ იღებდნენ ევროპულ თანამეგობრობაშიც, დამასკოს გაწევრიანება აბსოლუტურად გამორიცხული იყო ნატო-ს სამხედრო-პოლიტიკურ კავშირშიც.

თუ კლასიკური თეორიის მომხრე რეალისტები და ცნობილი მოაზროვნე ჰ. მორგენტაუ აქცენტებს სახელმწიფოს მართვის ეთიკურ მხარეებზე, ადამიანთა ბუნებაზე და საგარეო პოლიტიკის წარმართვისას წამოჭრილ მორალურ დილემებზე აკეთებდა, კ. უოლცი არცერთ მათგანს არ ახსენებდა და მთლიანად ფოკუსირდებდა საერთაშორისო პოლიტიკის სტრუქტურაზე და მის ზეგავლენაზე საერთაშორისო ურთიერთობებში. მან საერთაშორისო პოლიტიკა გამოაცალკევა სხვა სფეროებისაგან და იგი სისტემად ჩამოაყალიბა და ნეორეალიზმი თუ სტრუქტურული რეალიზმი ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან პრაქტიკაში დახვეწილ თეორიად იქცა საერთაშორისო პოლიტიკაში და უშიშროების საკითხებში

და განსაკუთრებულ თეორიულ და პრაქტიკულ განზომილებად გამოიკვეთა ევროკავშირის ორდონიან სივრცეში - როგორც ეროვნულ, ასევე ზოგად დონეზე. ბევრისთვის მიუღებელი რეალიზმი პრიორიტეტული გახდა სუვერენული ეროვნული სახელმწიფოებისათვის (სირია, ეგვიპტე, ლიბანი, იორდანია, ერაყი და სხვ.).

რაც შეეხება კონსტრუქტივისტულ განზომილებას, ის მოაზრებულია სისტემად იდეებში, მით უმეტეს, სოციალური და პოლიტიკური სამყარო არამატერიალური საგანია, ხოლო საერთაშორისო პოლიტიკა ადამიანური ქმნილება და წმინდა ინტელექტუალური და იდეურია თავისი კონცეფციებითა და მოსაზრებებით და იდეებისა და აზროვნების შეცვლა, თვითონ სისტემის შეცვლასთანაა დაკავშირებული. თუ დავუშვებთ, რომ სამყარო ზებუნებრივი ძალის შექმნილია, ისტორიულ სამყაროს, სახელმწიფოებს, აზროვნებას და მართვის სისტემებს მხოლოდ ადამიანები ქმნიან.

60-70-იან წლებში გაჩნდა პოზიტივისტების და ბიჰევიორისტების თეორიები და სათავე დაედო ნეორეალიზმს, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას, რომლის მიდგომა რეალიზმისადმი, როგორც თეორიისათვის იყო მეთოდოლოგიურ-მეცნიერული და არა - ნორმატიული, როგორც ეს კლასიკურ რეალიზმს ახასიათებდა. მის მამამთავარს ქენეთ უოლცს ეკუთვნის საყოველთაოდ აღიარებული ნაშრომი „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“ (1979 წ.), რომლის მეთოდოლოგია გამსჭვალული იყო ამბიციებით, რომ საერთაშორისო ურთიერთობები სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბებულიყო.

კ. უოლცმა შექმნა მსგავსი მცნებები საერთაშორისო ურთიერთობებში და განსაზღვრა, რომ საერთაშორისო პოლიტიკის თეორიას, სხვა ნებისმიერი თეორიის მსგავსად,

როგორც განცალკევებულ სფეროსთან არეალს, ჰქონდა არსებობის უფლება თავისი კანონზომიერებებით - სახელმწიფოთა ქმედებებით, ინტერესების უზენაესობით, კონკურენციით, ძალთა ბალანსით თუ პრიმატით და ა.შ.

პოლიტიკის მეთოდები არ იცვლება, მიუხედავად იმისა, რომ მათ განსხვავებული პიროვნებები და სახელმწიფოები იყენებენ და მათი ახსნა დაკავშირებულია საერთაშორისო სისტემის ხასიათთან და კლასიკურ/ნეოკლასიკურ და ნეორეალიზმს შორის მტკიცე ზღვრის გავლებასთან.

1997 წელს გამოქვეყნდა ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის **ზბიგნევ ბჟეზინსკის**, ამჟამად კლასიკად მიჩნეული ნაშრომი „დიდი საჭადრაკო დაფა.“ როგორც ამ ნაშრომის 2014 წელს თარგმანის რეცენზენტი, პროფესორი სოსო ცინცაძე აღნიშნავდა, წიგნის მიზანს წარმოადგენდა ევრაზიის კონტინენტზე აშშ-ის ბატონობის რაც შეიძლება დიდი ხნით შენარჩუნების დასაბუთება.

ბჟეზინსკის წიგნი იმ დროისათვის ახალი მსოფლიოს პოლიტიკურ არქიტექტურად მოიაზრებოდა, რომელშიც ამერიკა ახალი ტიპის იმპერიად განიხილებოდა, ხოლო არეალად ევრაზიული კონტინენტი. ბჟეზინსკის აზრით, არსებობდა უნიკალური მდგომარეობა კაცობრიობის ისტორიაში, როდესაც ერთ ძალას შეეძლო საკუთარი ძალაუფლების განვრცობა მსოფლიოში და ის მომდინარეობდა ამერიკის კონტინენტიდან. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ, ერთი პერიოდი, ჩამოყალიბდა ასეთი პერსპექტივაც, მაგრამ ვაშინგტონმა ვერ შეძლო პოლიტიკის ეფექტური განხორციელება და რუსეთის ფედერაციის უფრო მცირე ერთეულებად დაშლა. მე-20 და 21-ე საუკუნეების მიჯნაზე აშშ ვერ აღმოჩნდა ერთპოლუსიანი სამყაროს ლიდერი, მსოფლიოს რეალური მმართველი ანუ აშშ ვერ გახდა მსოფლიოს ერთპიროვნული

მფარველი. ერთი მხრივ, ვერ შედგა აშშ-ის გლობალური პოლიტიკის მთავარი მიზანი - ფეოდალისა და ყმის ურთიერთობების, მეორე მხრივ კი - ერთგულ მოკავშირეთა სტატუსის ხარისხის განსაზღვრა.

ამ კონტექსტში საყურადღებოა პოლიტიკურ და სამეცნიერო წრეებში გამოთქმული მოსაზრებები იმის შესახებ, რომ ერაცის ომის შემდეგ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები ამერიკელები საუბრობდნენ შეუზღუდავი ამერიკული ძალის არსებობაზე, რომლის მსოფლიოში „განთავსებას“ შეიძლებოდა საფრთხე შეექმნა მოკავშირეების უსაფრთხოებისათვის და ჯორჯ ბუშს ურჩევდნენ გრძელვადიანი მეგობრობა უფრო ძლიერი ყოფილიყო, ვიდრე მოკლევადიანი ხელსაყრელი მდგომარეობა. აღნიშნულს ადასტურებდა ერთი საუკუნით ადრე თეოდორ რუზველტის გამოთქმა - „დიდი ჯოხის პატრონმა ბრძნულად უნდა ისაუბროს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი საკუთარ „რბილი ძალას“ დაასუსტებს.“

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ „ამერიკის ზომა“ საკუთარი ლიდერობის აუცილებლობას ქმნიდა, ეს გარდა უკმაყოფილებისა, ასევე თაყვანისცემის მიზანს წარმოაჩენდა. ამერიკული საგარეო პოლიტიკის ორივე სუბსტანციასა და მიმართულებაში გამოკვეთილი იყო განსხვავება ამერიკული ღირებულებების იმიჯსა და „რბილ ძალას“ შორის.

ცხადია, არსებობდა აშშ-ის იმიჯი და მისი მიმზიდველობა სხვებისთვის ბევრი განსხვავებული იდეებისა და ურთიერთდამოკიდებულების ნაერთს წარმოადგენდა. ის, ერთი მხრივ, ეყრდნობოდა კულტურას, საშინაო პოლიტიკასა და ღირებულებებს, მეორე მხრივ კი - სუბსტანციას, ტაქტიკას და ამერიკული საგარეო პოლიტიკის მიმართულებას. ხშირად სწორედ ამ სამი რესურსით ხდებოდა „რბილი ძა-

ლისა“ და შედეგების მიღების შესაძლებლობის წარმოშობა, რისი გაკეთებაც აშშ-ს უფრო სხვების მიზიდვით სურდა, ვიდრე - იძულებით. ამ სამი მნიშვნელოვანი მიმართულებიდან ჯოზეფ ნაი გამოყოფდა პოლიტიკის სუბსტანციას და მიმართულებას, რომელთაც იგი მიიჩნევდა ცვალებადსა და ყველაზე მგრძობიარეს. იგი ფიქრობდა, რომ „რბილი ძალა“ არ იყო სტატისტიკური და რესურსების ცვალებადობა ხდებოდა კონტექსტის ცვლილებით, რომელიც წარსულშიც იცვლებოდა და მომავალშიც შეიცვლებოდა. ჯ. ნაის მოჰქონდა 2002 წლის წყაროები, რომლებშიც დასტურდებოდა მსოფლიო სივრცეში ამერიკის მიმზიდველობა და ჩანდა ევროპის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, აფრიკისა და თვით ამერიკის მოსახლეობის შეერთებული შტატების ტექნოლოგიური და სამეცნიერო მიღწევებით აღფრთოვანება. მიუხედავად ამისა, აშკარა იყო ისიც, რომ სამხრეთ აზიაში ნაკლებად მოსწონდათ როგორც ამერიკული კინო, მუსიკა და ტელევიზია, აქედან გამომდინარე, ნაკლებად სარგებლიანი ჩანდა აღნიშნულ რეგიონში ამერიკული იდეებისა და წესების გავრცელება; აზიასა და აფრიკაში მოწონებას პოულობდა ის ამერიკული იდეები, რომლებიც ეხებოდა დემოკრატიას, თუმცა ეს მაჩვენებელი ბევრად დაბალი იყო ევროპაში და, თვით, ამერიკაშიც კი. ევროპა ასევე ნაკლები მიმდებლობით ხვდებოდა ბიზნესის წარმოების ამერიკულ გზასაც და ამ მიმართულებით, არც აშშ-ში იყო დიდი ინტერესი. ეს მოდელი, მოწონებული, ძირითადად, აფრიკის სახელმწიფოებში იყო.

არსებული მოცემულობა მულტიპოლარული სისტემით იცვლებოდა და ამ ლოგიკის ფარგლებში, დასავლეთის უმთავრეს შეცდომას წარმოადგენდა პრეტენზია საკუთარი მოდელის უნივერსალურობის თაობაზე. თუ დასავლეთის მიერ საერთაშორისო ურთიერთობები და გეოპოლიტიკა

კლასიკური სახელმწიფოების პრიზმიდან განიხილებოდა, რუსი პოლიტიკოსის ალ. დუგინისათვის საკვანძო იყო ჩინეთის მაგალითი და დასავლური ტიპის ლიბერალური დემოკრატია არ მოიაზრებოდა პროგრესის, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სამხედრო დომინაციის წინაპირობად და სხვა ძალის ცენტრებს საკუთარი დამოუკიდებელი გზების მოძიების იმედს აძლევდა.

ზ. ზუქინისკის მიერ ევროპაში ძირითად ფიგურებად გერმანია, საფრანგეთი და რუსეთი, აზიაში კი - ჩინეთი და იაპონია მიიჩნეოდა; პოლონეთს, უკრაინას, კავკასიას, შუა აზიას, თურქეთს, ირანს, ინდოეთსა და ავღანეთს იგი „პაიკებად“ მიიჩნევდა, რომელთა კარგად გამოყენებითაც, შეერთებული შტატებს თამაშის მის სასარგებლოდ წარმართვის შესაძლებლობა უნდა ჰქონოდა. აშშ-ში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რუსეთის იმპერიული ზრახვებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ამ ქვეყნის დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის მიღწევა. სწორედ ამის გამოძახილად მიიჩნეოდა პრეზიდენტ ტრამპის ახალი პოლიტიკა, აღარაფერი დაეთმო რუსეთისათვის არც კავკასიაში და არც შუა აზიაში, დაეწესებინა მისთვის მკაცრი სანქციები, მოეხდინა მასზე ძლიერი ეკონომიკური ზემოქმედებები, ისევე როგორც ირანზე.

ავტორმა კვლევაში ყურადღება გაამახვილა სირიის სამოქალაქო ომის შედეგობრივ გავლენაზე როგორც რეგიონული, ასევე გლობალური მასშტაბით (ირანი, საუდის არაბეთი, თურქეთი აშშ, ევროპა, რუსეთი); შესწავლილია აღნიშნული კონფლიქტის ზეგავლენა მსოფლიო უშიშროების არქიტექტურაზე და დასაბუთებულია, რომ აღნიშნული კონფლიქტი გასცდა როგორც სირიის მოსახლეობის მიერ, მძიმე სოციალური ფონიდან გამომდინარე, წამოწყებულ ამბოხებას დიქტატორი ბაშარ ასადის რეჟიმის წინააღმდეგ, ასევე ე.წ.

ისლამური ხალიფატის მიერ წარმოებულ რელიგიური საფუძვლების მქონე ომს და გადაიზარდა დასავლეთისა (აშშ, ევროკავშირი) და მისი რეგიონული პარტნიორების დაპირისპირებაში რუსეთსა და ირანთან.

ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძვლები დამყარებულია პოლიტიკურ მეცნიერებაში დამკვიდრებული კომპლექსური, სისტემური, შედარებითი და კრიტიკული ანალიზის მეთოდებზე; ლიტერატურის ანალიზის გარდა, გამოყენებულია კვლევის შედარებითი ისტორიული და სიტუაციური ანალიზის პროგნოზირების მეთოდები და კონტენტანალიზი.

კვლევის თეორიულ საფუძვლად წარმოიდგინება კლასიკური და თანამედროვე თეორიები და განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული კლასიკური რეალიზმის თეორიაზე, რომელიც ზუსტად მიესადაგება როგორც სირიის კონფლიქტის ძირითად არსს, ასევე აშშ-რუსეთის ურთიერთობების სპეციფიკას და მსოფლიოში მიმდინარე მრავალპოლარული წესრიგის ჩამოყალიბების პროცესს.

კვლევის პროცესში გამოყენებული მეთოდოლოგიის სახით უპირატესობა ენიჭება დედუქციურ მეთოდს, რაც საშუალებას იძლევა, კონკრეტული მოვლენებიდან გამომდინარე, ზოგადი დასკვნები გამოვიტანოთ.

თვისებრივი კვლევის მეთოდად შერჩეული იქნება ტექსტის ანალიზის მეთოდი, რისი მეშვეობითაც განხორციელდება არსებული ლიტერატურის და მეცნიერული ნაშრომების მიმოხილვა, საკვლევ კითხვებზე პასუხების მოძიების მიზნით.

თვისებრივი კვლევისათვის გამოყენებულია:

- მონაცემთა ანალიზი;
- შედარებითი ანალიზი;

- ისტორიულ-აღწერილობითი ანალიზი;
- კონტენტ-ანალიზი.

გამოკვლევა ემყარება წყაროთმცოდნეობით ბაზას. ოფიციალური სტატისტიკის კრებულებს, სხვადასხვა ცნობარებს, პერიოდულ გამოცემებს - ჟურნალებს, გაზეთებს, ვებგვერდებს, თავისუფალ გამოცემებს, კრებულებს, პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების დოკუმენტებს და სხვა ინფორმაციული ხასიათის მასალებს.

კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩოებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძვლის ერთ-ერთი მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ისტორიზმის პრინციპი, რომელიც საკითხების განსხვავებული მოვლენების დინამიკაში განხილვის საშუალებას იძლევა.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები დაფუძნებულია სისტემური ანალიზის მეთოდზე, რაც პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა ასპექტებს შორის ურთიერთკავშირის წარმოჩენასა და აღნიშნული კავშირის სხვადასხვა განზომილებაში განხილვაში გვეხმარება. ეს მეთოდი შესაძლებლობას იძლევა პრობლემა შესწავლილ იქნას სხვადასხვა თვალსაზრისით, ობიექტური რეალობის მისაახლოებლად, საერთო ისტორიული წარსულის მნიშვნელობის გასააზრებლად.

წინამდებარე გამოკვლევაში გამოყენებულია კონტენტ-ანალიზის მეთოდი, რომლის ძირითადი ფოკუსი მიმართულია კონტექსტის მნიშვნელობისაკენ. აღნიშნული მეთოდი სისტემური ხასიათისაა და მისი გადამოწმება და განმეორებითი ანალიზი არაერთხელაა შესაძლებელი, ვინაიდან მონაცემები წარმოდგენილია უცვლელი ფორმით (ტექსტის სახით).

კვლევაში ასევე გამოყენებულია შედარებითი ანალიზის მეთოდი, საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ მსგავსებები და განსხვავებები სხვადასხვა განხილულ მაგალითებს შორის. ასევე გამოყენებულია დოკუმენტების ანალიზის, მოდელირებისა და სხვა მეთოდები; გამოყენებულია ინტერდისციპლინარული მიდგომა, რაც გვაძლევს არამხოლოდ საერთაშორისო პოლიტიკური მეცნიერების სფეროს, არამედ ეკონომიკის, სოციოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის განხილვის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, წინამდებარე მონოგრაფიას გააჩნია გარკვეული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. იგი დახმარებას გაუწევს სამივე განმანათლებლო საფეხურის სტუდენტებსა და მკვლევარებს, როგორც სირიის კონფლიქტის, მისი შედეგების არსისა და ისლამური სახელმწიფოს რაობის გაგებაში, ასევე მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების რთულ პროცესში გარკვევასა და მომავლის გარკვეულწილად პროგნოზირებაში. ამასთანავე, ვფიქრობთ, ნაშრომი საყურადღებო იქნება საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებისა და დიპლომატიებისათვის, რომელთაც ქვეყნის კონცეპტუალური საფუძვლების შემუშავება და საგარეო კურსის გატარების პასუხისმგებლობა აკისრიათ.

სირიის კონფლიქტის შედარებითი ანალიზი იძლევა საერთო თავისებურებებისა და ნიუანსების გამოკვეთის საშუალებას, რაც ამ მოვლენების ერთ, საერთო ლოგიკურ სისტემაში ჩასმის შესაძლებლობებს ქმნის და, შედეგად, შესაძლებელი ხდება ამ „ცივი ომის“, ახალ შეიარაღებათა რბოლისა და ახალი გავლენის ზონების ლოგიკაში გარკვევა.

ნაშრომს გააჩნია პრაქტიკული ღირებულება იმ მხრივაც, რომ მასში წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე

წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნას ახლო აღმოსავლეთის რეგიონისა და სხვა ქვეყნების უახლესი პოლიტიკური ისტორიის შემსწავლელი სპეცკურსების მომზადებისას. ნაშრომში მოტანილი მასალები გამოდგება ახლო აღმოსავლეთის, კავკასიის და სხვა ქვეყნების კონფლიქტების, დაპირისპირებებისა და ომების მშვიდობიანი გზით მოგვარების საქმეში.

თავი 1.

ტრანსფორმირებად საერთაშორისო სისტემაში სირიის კონფლიქტის არსის თეორიული და ისტორიული ჩარჩო

1.1 კონფლიქტების არსი, წარმოშობა, თეორიები, გადაჭრის სტრატეგია და ტაქტიკა

კონფლიქტები ადამიანური, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი განზომილებაა, რომელიც უძველესი დროიდან მომდინარეობს; მისი განზოგადების მცდელობა მოცემულია ამერიკელი, გერმანელი, რუსი და სხვა მკვლევარების მეცნიერულ, ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და სხვა ნაშრომებში და გამოითქმება მოსაზრება, რომ ის საზოგადოების განვითარების საშუალებადაც წარმოიდგინება, მით უმეტეს, ხმოვანდება ჰიპოთეზური და ნეგატიური კონფლიქტების როლი საზოგადოებაში.

ჩიკაგოს „ადამიანური ურთიერთობების“ სკოლის ავტორები ფიქრობენ, რომ აუცილებელია კონფლიქტების თავიდან არიდება და ამ შემთხვევაში აღიარებენ მენეჯერის როლს, სხვადასხვა ჯგუფებს შორის, დამაბულობის აღმოფხვრის მთავარ საშუალებად და მიიჩნევენ, რომ ეფექტური ორგანიზაციული მართვა და კარგი ურთიერთობების ჩამოყალიბება ხელს უშლის მის გაფართოებას. სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სოციალური ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოს ავტორი რ. პარკი კონფლიქტს განიხილავს სოციალური ურთიერთობების ძირითად სახეებთან.¹

¹ R. Park, „The Crowd and the Public and Other Essays“, (Heritage of Society S.). Chicago, 1972 y.

ამერიკელი სოციოლოგი ლ. კოზერი კი კონფლიქტს აღიქვამს, როგორც იდეოლოგიურ გამოვლინებას. მასვე ეკუთვნის პოზიტიურ-ფუნქციონალური კონფლიქტის თეორიის ავტორობაც.²

ამავე მიმართულებით აღსანიშნავია გ. ზიმელის - კონფლიქტების ფუნქციონალური თეორიის ავტორის მოღვაწეობაც. მე-20 საუკუნის 60-იანი წლების გერმანელი მეცნიერი რ. დარენდორფი გამოვიდა სოციალური კონფლიქტების განხილვით, რომელმაც შემდგომში „საზოგადოებაში კონფლიქტის მოდელების“ სახელი მიიღო.

მკვლევარები ერთმანეთისაგან მიჯნავენ კონფლიქტს და ძალადობას. 1908 წელს ა. ადლერმა ჩამოაყალიბა „აგრესიის ინსტიქტის“ თეორია. ამ საკითხს შრომები მიუძღვნა ზ. ფროიდმაც, რომელმაც მოგვიანებით გააანალიზა ადამიანის „ორბუნებრიობა“ და მიდიოდა დასკვნამდე, რომ ინდივიდი ორ ინსტიქტს - სიცოცხლესა და სიკვდილს ანუ სიყვარულსა და ნგრევას, აგრესიასა და ძალადობას მოიცავდა.

კონფლიქტების თეორიას ეძღვნებოდა სტიუდ კაუფმანის ნაშრომი „ეთნიკური ომის საერთაშორისო თეორია“, რომელშიც შიდა კონფლიქტების ასახსნელად გამოყენებული იყო კენეტ უოლცის სამი დონე და ეთნიკური ომის გამომწვევ მიზეზად სახელდებოდა მასების ელიტების მიერ მართული ძალადობა და შიდა ეთნიკური უსაფრთხოების დილემები.³

მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ადამიანი აგრესორად არ იბადება, მაგრამ არსებობისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის სწრაფვა მას აგრესიისა და კონფლიქტისაკენ უბიძგებს და ის აუცილებელი თანმხლები

² L. Coser, „The Function of Social Conflict“, Glencoe, 1956 y..

³ J. Kaufmnan, „Spiraling to Ethnic War Stuart“ J. Kaufmnan. Elites, Masses, and Moscow in Moldova's Civil War. The MIT Press. 1996 y.

მოვლენა ხდება საკაცობრიო თანაცხოვრებისათვის, თუმცა აქ არის საჭირო მართვისა და ტრანსფორმაციის მეთოდების გამოყენება და უარყოფითის დადებითისაკენ გადართვა.

კონფლიქტებს იკვლევენ სხვადასხვა სფეროების (ისტორია, ფილოსოფია, პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, სამართალი, ფსიქოლოგია, პედაგოგიკა, სოციოლოგია, რელიგია და ა.შ.) წარმომადგენლები, შესაბამისად, არსებობს მისი გამოწვევის და მოგვარების ფორმები და ხერხებიც.

კონფლიქტური სიტუაციის შესწავლით და ანალიზით იყვნენ დაინტერესებულნი ყველა დროის მოაზროვნეები, რომელთა ნაშრომებში განიმარტებოდა: კარგი და ცუდი, წესრიგი და ქაოსი, აღზევება და დაცემა, სხვადასხვა ინდივიდებს, ერებსა და სახელმწიფოებს შორის, თუმცა მიუხედავად დიდი ინტერესისა „კონფლიქტის“ სრული არსის შეცნობა მიუღწეველია, მით უმეტეს, მისი დიაგნოსტიკა, სტადიები, წყაროები, ობიექტური თუ სუბიექტური მხარეები, ინტერესები, ბრძოლის მეთოდები, მოგვარების გზები და ა.შ. მიზნებისა და ამოცანების წრეშია მოქცეული და დაკავშირებულია ადამიანებთან, ეთნოსებთან, ჯგუფებთან, ხალხებთან, ერებთან და მთლიან სისტემებთან (პოლიტიკური პარტია, ხელისუფლება, ოპოზიცია, გარეშე ძალები, სახელმწიფოები და ა.შ.).

კონფლიქტების წარმოშობა და განვითარება მოიცავს პოლიტიკურ, ტერიტორიულ, ეროვნებათაშორის, ეკონომიკურ, სამხედრო და სხვა ინტერესთა ერთობლიობას და ღებულობს ადგილობრივ, რეგიონალურ და გლობალურ ხასიათსაც, პარალელურად, არსებობს ფარული, ღია და ზედაპირული კონფლიქტები, რომლებსაც გააჩნიათ განსხვავებული და საერთო ნიშან-თვისებებიც.

კონფლიქტის რეგულირება შეიძლება მოხდეს მშვიდობიანი და არამშვიდობიანი გზით, თუმცა არ არის გამორიცხული ახალი პრობლემების წარმოქმნა და დაპირისპირებაც, რომელიც შეიძლება პროვოცირებული იყოს გარკვეული გარეშე და შიდა პოლიტიკური ჯგუფების მიერ და საფრთხე შეუქმნას ეროვნულ თვითმყოფადობას, კონსტიტუციას და საზოგადოების ინტერესებს.

პოლიტიკურ და საერთაშორისო ურთიერთობების დასავლურ პოლიტიკურ სპექტრში ძირითადად გამოიყოფა ორი ჯგუფი, რომელთაგან ერთნი მხარს უჭერენ კონფლიქტებს რუსეთის წინააღმდეგ, მეორენი მიიჩნევენ, რომ არანაირ სიტუაციაში არ შეიძლება გამოიყენონ ძალა, რადგანაც ამას, შეიძლება, სავალალო სამხედრო შედეგები მოჰყვეს.

მაგალითად, ტიბეტელი ლიდერები ეწინააღმდეგებიან ძალის გამოყენებას და ეგუებიან ჩინეთის მიერ ტიბეტის ოკუპაციას, ისევე როგორც საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანია მზად წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთის სამხედრო ძალების ყოფნას სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში, განსხვავებით, პალესტინისა, რომელიც შეიარაღებულ დაპირისპირებაშია ისრაელის სახელმწიფოსთან.

მკვლევარები ფიქრობენ, რომ ძალის გამოყენება და გამოუყენებლობაც უკიდურესობებია, მაგრამ არსებობს შუალედური საშუალებაც - არაძალადობრივი, აქტიური დემონსტრაციები: ადამიანთა უფლებების, ქალთა უფლებების, რელიგიური უმცირესობების დაცვის მიზნით, ანტიბირთვული, ანტიგლობალური, გარემოს დაცვისა და სხვა მოძრაობები და ა.შ.

ყველა ომი დიდი უბედურებაა მსოფლიოსთვის, მაგრამ, გარკვეულწილად, ის პროგრესის როლსაც ითვისებს ტექნიკის განვითარების თვალსაზრისით და, მეორე მხრივ,

იწვევს ეროვნული და ეთნიკური თვითშეგნების განვითარებას და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის გაძლიერებას. თუ მარქსისტული პოლიტიკურ-ეკონომიკური კონცეფცია ქადაგებდა კაპიტალიზმის გაძლიერებას თითქმის ყველა ქვეყანაში და შემდეგ გადასვლას სოციალიზმის რელსებზე, ლენინურ-ტროცკისტულმა პოლიტიკურმა მოძრაობამ რუსეთში, რომელსაც მხარს უჭერდნენ ამერიკისა და გერმანიის ხელისუფლებები, კაპიტალიზმის მაღალი საფეხურის გამოტოვებით, შეძლო რუსეთში მოეხდინა 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის სახელისუფლებო გადატრიალებები და ჩამოაყალიბა რუსული (სტალინური) სოციალიზმის თეორიული და პრაქტიკული განზომილებების მქონე კონგლომერატული, სახელმწიფოებრივი გაერთიანება.

გლობალიზაციურმა პროცესებმა საბჭოური სახელმწიფოები „ველური კაპიტალიზმის“ სტადიაზე დააბრუნა, რასაც პოსტსაბჭოური დარიბი ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, მოჰყვა მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების გავლენის გაძლიერება და უფრო გადამწყვეტი როლის თამაში, ვიდრე ხალხის მიერ არჩეული მთავრობის.

საერთოდ, მკვლევარები კონფლიქტური სიტუაციის მოსაგვარებლად გამოყოფენ ოთხი სახის მიდგომას:

- კონფლიქტის მართვა;
- კონფლიქტის გადაჭრა;
- კონფლიქტის ტრანსფორმაცია;
- კონფლიქტის სრული გაქრობა.

არსებობს კონფლიქტების დარეგულირების თეორიები, როლებშიც ავტორები საუბრობენ იმ ბერკეტებსა და ფაქტორებზე, რომლებმაც შეიძლება განაპირობონ კონფლიქტე-

ბისა და სხვადასხვა სახის დაპირისპირებების მოგვარება. ამ თეორიათა შორის საინტერესოა იოჰან გალტუნგის ნაშრომი „პოზიტიური და ნეგატიური მშვიდობის თეორია“, რომელიც პირველად 1964 წელს გააჟღერა ავტორმა იმის მტკიცებით, რომ არსებობს „ნეგატიური მშვიდობა“, რომელიც არის „ძალადობის არარსებობა, ომის არარსებობა“, ხოლო „პოზიტიური მშვიდობა“ კი „ჰუმანური საზოგადოების“ ინტეგრაციაა. ამ თეორიის მიხედვით, ნეგატიური მშვიდობის მაგალითებად მიიჩნევენ: მულტილატერალიზმს, იარაღის კონტროლს, საერთაშორისო კონვენციებს, ძალთა ბალანსის სტრატეგიებს და ა.შ., პოზიტიურად კი - კომუნიკაციის გზით ადამიანებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას, მშვიდობის შესახებ განათლებას, თანამშრომლობას, არბიტრაჟს, კონფლიქტების მართვას და ა.შ.⁴

ყურადღებას იმსახურებს ლიბერალური ინტერგოვერნმენტალიზმის თეორია, რომელშიც აქცენტი კეთდება ერი-სახელმწიფოს როლზე ინტეგრაციაში. ამ თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებლის ალან მილვარდის აღნიშვნით, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული მთავრობები წარმოადგენდნენ ევროინტეგრაციის მთავარ აქტორებს და ამ თეორიით აიხსნება ევროკავშირის ისტორიაში ისეთი პერიოდების არსებობა, როდესაც წევრი ქვეყნების ინტერესები ერთმანეთთან თანხვედრაში მოდიოდა და ადვილი იყო მარტივი გადაწყვეტილებების მიღება. თუმცა ამასთანავე, მთავრობების განსხვავებული პოზიციებისა და ეფექტური თანამშრომლობის არარსებობის პირობებში ინტეგრაციის ეტაპებიც შენელებული იყო.

⁴ ბ. გრეგოლი, იოჰან გალტუნგი, *პოზიტიური და ნეგატიური მშვიდობა*, 2017 წ.

ბრიუს ჯენტელსონი ნაშრომში „ამერიკის საგარეო პოლიტიკა - არჩევანის დინამია 21-ე საუკუნეში“ გამოირჩეოდა ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული საკითხები და წარმოაჩინდა ეროვნული ინტერესების განხორციელების პოლიტიკას, აშშ-ის მთავარ 13 ინსტიტუტს, საგარეო პოლიტიკის განმახორციელებელ სხვადასხვა ჯგუფებს და მათ გავლენას და როლს პოლიტიკის ფორმირების პროცესში.⁵

3. კისინჯერის ნაშრომში „მსოფლიო წესრიგი“ წამოყენებული იყო თეორია ერთიანი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების და მისი ტრანსფორმაციის შესახებ დროსა და სივრცეში.⁶

თეორიული ხასიათის მატარებელი იყო 2019 წელს მოსკოვში ვ. მესამედის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომი „ისრაელის „რბილი ძალა“ ირანის წინააღმდეგ“, რომელშიც ავტორი აანალიზებს ირანის იდეოლოგიას მონარქიზმიდან ისლამიზმამდე და ირანის საგარეო პოლიტიკას ისრაელთან ურთიერთობის მაგალითზე.⁷

ასევე საინტერესოა, 2019 წელს გამოცემული საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტის და ახლო აღმოსავლეთის კვლევის ცენტრის მიერ გამოცემულ სამეცნიერო შრომების კრებული „ახლო აღმოსავლეთი პოლიტიკური ანალიტიკის ფოკუსში“ (რედაქტორები: ა. ფედერჩენკო და ა. კრილოვი), რომელშიც გაანალიზებულია ისლამის როლი ახლო აღმო-

⁵ ბ. ჯენტელსონი, „ამერიკის საგარეო პოლიტიკა - არჩევანის დინამია 21-1 საუკუნეში“, თბ., 2015 წ.

⁶ ჰ. კისინჯერი, *მსოფლიო წესრიგი*, თბილისი, 2021 წ.

⁷ В. И. Месамед, "Мягкая сила" Израиля в противостоянии с Ираном. М., 2019 г.

სავლეთში, დარეგულირებისა და სოციალ-ეკონომიკური პრობლემების თეორიული პრობლემები და ა.შ.⁸

საინტერესო ნიშნულებით გამოირჩეოდა ალექსანდრე ვენდტის 1992 წელს გამოცემული ნაშრომი „ანარქია ისაა, რასაც სახელმწიფოები მისგან ქმნიან: ძალის პოლიტიკის სოციალური კონსტრუქცია“, რომელშიც განხილული იყო კონსტრუქტივიზმის ძირითადი დაშვებები; ნაშრომი გვამცნობდა ავტორის აზრით მატერიალური მოცემულობები თავისთავად არ იყვენ განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელი და აქ მნიშვნელოვანი იყო როგორც ხდებოდა მატერიალურ მოცემულობათა სოციალური აღქმა.⁹

რაც შეეხება გიდონ როუზის ნაშრომს „ნეოკლასიკური რეალიზმი და დიდი სახელმწიფოების ფენომენი. აშშ-ის, ჩინეთისა და რუსეთის კონკურენციის ანალიზი“, რომელიც 1998 წლით თარიღდება, განიხილავდა რეალიზმის დაშვებებს და მიიჩნევდა, რომ სახელმწიფოს ქმედება საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ხასიათდებოდა ქვეყნებში ძალაუფლების განაწილებით, აღქმისა და პროგნოზის სიზუსტით სხვა სახელმწიფოს განზრახვასა და სავარაუდო სავარეო პოლიტიკასთან მიმართებით.¹⁰

1998 წელს ენდრიუ მორავსკის მიერ შემუშავებული ლიბერალური ინტერგოვერნმენტალიზმის თეორიით, მთავარი მოქმედი აქტორები არიან ეროვნული მთავრობები, რო-

⁸ БЛИЖНИЙ ВОСТОК В ФОКУСЕ ПОЛИТИЧЕСКОЙ АНАЛИТИКИ. К 15-летию Центра ближневосточных исследований. М., 2019 у.

⁹ Александр Вендт, „о международной анархии“, https://spravochnick.ru/mezhdunarodnye_otnosheniya/aleksandr_vendt_o_mezhdunarodnoy_anarhii/ (15.05.2024)

¹⁰ გ. როუზი, „ნეოკლასიკური რეალიზმი და დიდი სახელმწიფოების ფენომენი“, აშშ-ის, ჩინეთისა და რუსეთის კონკურენციის ანალიზი, თბილისი, 2020 უ.

მლებმაც უნდა შექმნან ხელსაყრელი პირობები სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური ვაჭრობის საწარმოებლად.¹¹

ამ თეორიის თანახმად, ევროკავშირის ინსტიტუტებს ნაკლებმნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაში. ეს ინსტიტუტები, ეკონომიკური ინტეგრაციის ფონზე, შეიქმნა იმისათვის, რომ გაუმჯობესებულიყო ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობები, პოლიტიკური თვალსაზრისით კი, თითქმის უმოქმედონი არიან, ვინაიდან პოლიტიკა სრულიად მიეკუთვნება მთავრობათაშორის სფეროს.

აღნიშნული თეორიის მიმდევრების მოსაზრებების თანახმად, ევროკავშირის ინსტიტუტები ძალაუფლების მქონე წევრი ქვეყნების ზეგავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი, არ გააჩნდათ დამოუკიდებლად მოქმედების საშუალება, ვინაიდან მუდმივად, ბრიუსელში მივლენილი, წევრი ქვეყნების წარმომადგენლების კონტროლქვეშ იმყოფებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ რიგი კონფლიქტები არ არის მოკლევადიანი, განსაკუთრებით - ეთნოპოლიტიკური და სასაზღვრო და მათი სრული მოწესრიგება უშუალოდ არ ექვემდებარება ტრანსფორმაციას, კულტურისა და ადამიანური ურთიერთობების ფაქტორებს, ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, სახელმწიფოს მართებულ საგარეო-პოლიტიკურ და საშინაო ხაზს, რადიკალური ურთიერთობების მოწესრიგებას და ა.შ.

ეკონომიკური მოდერნიზაცია და სოციალური ცვლილებები გავლენას ახდენს ადამიანების ლოკალურ იდენტო-

¹¹ ს. ფიფია, „ევროკავშირის როლი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების კონფლიქტების დარეგულირებაში (მოლდოვას, საქართველოს და უკრაინის მაგალითზე)“ (სადისერტაციო ნაშრომი), სტუ. თბ., 2022 წ. გვ. 50-51.

ბაზე და ამ მხრივ სახელმწიფოს ნაკლები საქმიანობის პირობებში წარმოიშობა რელიგიური ფუნდამენტალიზმი, რომელიც განსაკუთრებით დამახასიათებელია ისლამის, იუდაიზმის, ბუდიზმისა და ინდუიზმისათვის.

კონფლიქტების ისტორიულ-პოლიტიკურ და თეორიულ მოცემულობებში უნდა მოვიაზროთ ტერმინი „ცივი ომი“, რომელიც სხვადასხვა ფორმითა და შინაარსით ყველა ეპოქაში არსებობდა, თუმცა იგი თეორიულად და პრაქტიკულად გასული საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიოს ორპოლუსიან სივრცეში თავისი მიზნებითა და ამოცანებით დამკვიდრდა.

ისტორიის, პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარი იგორ კვესელავა მიიჩნევს, რომ „ცივი ომი“ ერთპოლუსიანი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მსოფლიო სისტემის ჩამოსაყალიბებლად გამიზნული იდეოლოგიური მოძრაობაა, რომელიც მოიცავს ერთ ან რამდენიმე ზესახელმწიფოს და მათ კონფედერაციულ, ფედერაციულ, პოლიტიკურ, სამხედრო და ა.შ. კავშირებს. ამ კონტექსტში გამოითქმება მოსაზრება იმის შესახებაც, რომ თანამედროვე მსოფლიოში ჯერჯერობით ჩამოყალიბებულია სამი უძლიერესი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ცენტრი - აშშ, რუსეთი და ევროკავშირი, რომლებიც ხასიათდებიან თავიანთი პოლიტიკური სტრატეგიებით, იდეოლოგიებით და ეკონომიკური განზომილებებით და, შესაბამისად, „ცივი ომებითაც“.

ამდენად, სხვადასხვა სახის, მათ შორის, პოლიტიკური და შეიარაღებული კონფლიქტები სხვადასხვა ფორმებით, ხარისხით, შინაარსითა და ინტერესებით, კვლავ გრძელდება მსოფლიოში და მათ შორის ახლო აღმოსავლეთში, სამხრეთ კავკასიასა და ევროპაში (უკრაინა). კონფლიქტების ისტო-

რია, პოლიტიკა და თეორია გვარწმუნებს, რომ იგი მუდმივად მოქმედი პროცესია და მათი სრული მოწესრიგება შეუძლებელია (რ. პარკი, ლ. კოზერი, გ. ზიმელი, ა. ადლერი, ს. კაუფმანი, ი. ჰალტუნგი, ე. მორავსკი და სხვ.).

1.2 ტრანსფორმირებადი საერთაშორისო სისტემა და ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების თავისებურებები

სამყარო მუდმივად იცვლება და განიცდის ტრანსფორმაციას. 21-ე საუკუნის დასაწყისისთვის მსოფლიო უფრო მეტად დაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული გახდა, ვიდრე ოდესმე. ეს იწვევს ახალი გამოწვევებისა და პრობლემების გაჩენას, როგორცაა კლიმატის ცვლილება, საერთაშორისო ტერორიზმი და მიგრაცია. მაგრამ მთავარი ცვლილება არის ძალთა ახალი ბალანსი მსოფლიო ასპარეზზე. ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია განისაზღვროს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში იმ აუცილებელი ცვლილებების ფუნდამენტური საფუძვლები, რომელთა გარეშეც საერთაშორისო ცხოვრება ძველებურად ვეღარ იარსებებს.

მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაცია თანამედროვე სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და მწვავე პრობლემაა. ეს ეხება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ინტერესებს. მის გადაწყვეტაზე დამოკიდებული უახლოეს მომავალში საერთაშორისო ურთიერთობებისა და მსოფლიო პოლიტიკის მდგომარეობა. ამ სიტუაციაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი, თუ არა გადამწყვეტი წვლილი უნდა შეიტანონ მის გადაწყვეტაში. ასეთი გამოსავალი შეიძლება მოიძებნოს მომავალი მსოფლიო წესრიგის შე-

სახებ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების პოზიციების შედარებით და ერთ მთლიანობამდე მიყვანით.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ოფიციალური დოკუმენტებსა და ადგილობრივ და უცხოელ მკვლევართა ნაშრომებში მომავალი მსოფლიო წესრიგის განსაზღვრაში განსხვავებული პოზიციები აღინიშნება. მსოფლიო წესრიგის კონცეფცია ჩამოყალიბდა საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკური მეცნიერების ფარგლებში. იგი აქტიურად განიხილებოდა როგორც მე-20 საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც მოხდა გლობალური ცვლილებები საერთაშორისო პოლიტიკაში, ასევე „ცივი ომის“ დროსაც.

ერთ-ერთი პირველი თეორეტიკოსი, ვინც ამ თემას შეეხო, იყო ჰ. მორგენტაუ, რომელმაც წამოაყენა იდეა, რომ საერთაშორისო ურთიერთობები აგებულია კონკურენციისა და ძალაუფლებისა და რესურსებისთვის ბრძოლის საფუძველზე.¹²

შემდგომში მსოფლიო წესრიგის კონცეფცია განავითარეს სხვა მეცნიერებმა, როგორცაა: კ. უოლცი, რ. კოქსი, დ. აიკენბერი და ა.შ. მათ შემოგვთავაზეს მსოფლიო წესრიგის მოდელები, რომლებიც დაფუძნებული იყო სხვადასხვა პრინციპებსა და ღირებულებებზე.

ს. ჰანტინგტონმა წამოაყენა „მსოფლიო წესრიგის“ კონცეფცია, რომელიც ეფუძნება კულტურულ და ცივილიზაციურ განსხვავებებს.¹³

ჟ. ბუქენენი თვლიდა, რომ მსოფლიო წესრიგის საფუძველი უნდა იყოს თავისუფალი ვაჭრობა და ღია ბაზრები,

¹² H.J. Morgenthau, „Politics among Nations“, The Struggle for Power and Peace. Third Edition. N.Y., 1961 y.

¹³ ს. ჰანტინგტონი, „ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის შექმნა“, თბილისი, 1997 y.

რაც ქვეყნებს თავიანთი რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და ეკონომიკური ზრდის მიღწევის საშუალებას მისცემს.

ინდოელი მეცნიერების მიერ შემუშავებული მსოფლიო წესრიგის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კონცეფციაა „Vasudhaiva Kutumbakam“ („ვასუდჰაივა კუტუმბაკამ“). ეს არის სანსკრიტული გამოთქმა, რაც ნიშნავს „მთელი სამყარო ერთი ოჯახია“. ეს კონცეფცია ხაზს უსვამს ყველა ადამიანს შორის ერთიანობისა და სოლიდარობის მნიშვნელობას, განურჩევლად მათი ეროვნებისა, რასისა, რელიგიისა თუ კულტურისა. მ. განდი ფიქრობდა ამ კონცეფციის ფარგლებში, ასევე აღნიშნავს აპიმსას პრინციპს (სანსკრიტი - „არამალადობა“), როგორც მნიშვნელოვანი პირობა ნებისმიერი სოციალური თუ პოლიტიკური აქტივობისთვის, მათ შორის ძალადობისადმი წინააღმდეგობის გაწევისთვის, რაც უნდა იყოს დაუმორჩილებლობა აგრესიის გარეშე („სატიაგრავა“).¹⁴

შემდგომში მსოფლიო წესრიგის ეს პრინციპები განისაზღვრა პანჩა სილაში - მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპი, მათ შორის: ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემა, არააგრესია, შიდა საქმეებში ჩაურევლობა, თანასწორობა და ურთიერთსარგებლიანობა, მშვიდობიანი არსებობა. ეს პრინციპები კონსოლიდირებული იქნა ბანდუნგის კონფერენციაზე 1955 წელს და გლობალური მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა.

მსოფლიო წესრიგის კონცეფცია ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია პოლიტიკურ თეორიასა და პრაქტიკაში.

¹⁴FRIDAY FOCUS: VASUDHAIVA KUTUMBAKAM.

[HTTPS://WWW.UAF.EDU/NEWS/FRIDAY-FOCUS-VASUDHAIVA-KUTUMBAKAM.PHP](https://www.uaf.edu/news/friday-focus-vasudhaiva-kutumbakam.php) (15.05.2024)

იგი სამეცნიერო მიმოქცევაში 1977 წელს ბრიტანული საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის კლასიკოსმა ჰედლი ბულმა შემოიტანა, რომელმაც მეცნიერმა მსოფლიო წესრიგი აღწერა, როგორც „გარე აქტივობის ბუნება (სახელმწიფო) ან მიმართულება, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოთა თანამეგობრობის იმ მიზნების ხელშეუხებლობას, რომლებიც, ერთი მხრივ, აუცილებელია მისთვის, მეორე მხრივ, სასიცოცხლო მნიშვნელოვანი, ხოლო მესამე მხრივ - ყველასათვის საერთო“.¹⁵

ჩვენი გაგებით მსოფლიო წესრიგი არის საერთაშორისო სისტემის მართვის მოდელი, რომელიც ყველაზე სრულად ასახავს მსოფლიო და რეგიონალური ძალების განლაგებას კონკრეტულ ისტორიულ ეტაპზე. შედარებით სტაბილური მსოფლიო წესრიგი ჩნდება დიდი რყევების შემდეგ, რაც ქმნის პირობებს საერთაშორისო ურთიერთობების ახალ წესებზე შეთანხმებისთვის. მაგალითად, ვესტფალიის ხელშეკრულება, ვენის კონგრესი, პარიზის ხელშეკრულება და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებული ბიპოლარული სამყარო. ამ ფორმატმა არსებობა შეწყვიტა „ცივი ომის“ დასრულებასთან ერთად, როდესაც აშშ-ის გლობალური დომინირების ერა დაიწყო. ხარისხობრივად განსაკუთრებული ცვლილებები განხორციელდა ახალი ათასწლეულის დასაწყისში 1990-იანი წლებიდან.

ზოგიერთი მეცნიერი ძალაუფლების ორგანიზების სახელმწიფოზე ორიენტირებული მოდელის განადგურებასაც კი ვარაუდობდა. ისინი ამას უკავშირებდნენ არა მხოლოდ მსოფლიო პოლიტიკის განვითარების ამჟამინდელი ეტაპის სპეციფიკას, არამედ კაცობრიობის ტექნოლოგიური გარღვე-

¹⁵ H. Bull, „The Anarchical Society: A Study of Order in World Politics“, N.Y.: Columbia University Press, 1977 y.

ვით გამოწვეული საზოგადოების ფუნქციონირების მოდელის ხარისხობრივ გარდაქმნებს.¹⁶

დღეს მსოფლიო წესრიგის კონცეფცია აქტუალური და განხილული რჩება საერთაშორისო პოლიტიკაში.

ახალი მსოფლიო წესრიგის თემის დღეს განსაკუთრებით აქტუალურია, რაც განპირობებულია იმით, რომ ამჟამად მსოფლიო ასპარეზზე ძალთა ბალანსი რადიკალურად შეიცვალა.

საკმარისია ითქვას, რომ განვითარებული ქვეყნების წილი გლობალურ მთლიან შიდა პროდუქტში მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტში საგრძნობლად არის შემცირებული 1980 წლიდან 2018 წლამდე 63.2%-დან 40.8%-მდე, ხოლო განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის წილი კი პირიქით გაიზარდა (იმავ პერიოდში 36.8%-დან 59.2%-მდე).

გარდა ამისა, არსებობს მრავალი სხვა გამოწვევა და საფრთხე, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მსოფლიო წესრიგის სტაბილურობასა და სამართლიანობაზე, ასეთებია: ტერორიზმი, კლიმატის ცვლილება, ეკონომიკური კრიზისები, კონფლიქტები და ა.შ. ამიტომ მსოფლიო წესრიგის ოპტიმალური მოდელის ძიება და მისი შენარჩუნება მსოფლიო საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. მომავალი მსოფლიო წესრიგი თავისთავად არ ჩამოყალიბდება, მას აყალიბებენ მსოფლიოს ქვეყნები, უპირველეს ყოვლისა, წამყვანი მსოფლიო ძალები, რომლებიც ამ ახალ მსოფლიო წესრიგს განსხვავებულად ხედავენ.

სოციალურ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური რეალობის დაჩქარებული დიგიტალიზაცია მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს მსოფლიო წეს-

¹⁶ А. В. Брега, Политический риск в сетевом обществе: новая конфигурация // Социально-гуманитарные знания. 2018 у. №3.

რიგის ახალ მდგომარეობაზე გადასვლაზე. ამავე დროს, ეს არის მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაციის თანამედროვე ტენდენციების გამორჩეული თვისება, რომლებიც სახელმწიფოთაშორისი მეტოქეობის სხვადასხვა ფორმით ვლინდება. უცხოელი ანალიტიკოსები თანხმდებიან, რომ მიმდინარე კონკურენტული პროცესები დიდწილად განპირობებულია ადამიანის ცხოვრებაში ინოვაციების დანერგვით გაზრდილი ეფექტურობის მოლოდინებით.¹⁷

ბოლო წლებში ციფრული რესურსების ფლობისთვის კონკურენციამ გამოიწვია არა მხოლოდ გლობალიზაციის ახალი რაუნდი, არამედ მსოფლიო პოლიტიკაში ზოგიერთი აქტორის აღზევება და სხვების შესუსტება. ტექნოლოგიური ლიდერობის მისაღწევად მიმდინარე დაპირისპირების შედეგი უკვე იყო ძალის გამოყენების შემაკავებელი მექანიზმების ეროზია არატრადიციული მეთოდებით მისი გამოყენების ალბათობის გაზრდით, რამაც თავად სამყაროს სისტემის „კარკასის“ დისბალანსი და მისი სტაბილურობის შესუსტება გამოიწვია.¹⁸

COVID-19-ის გავრცელების დროს, ეგრეთ წოდებული ციფრული სუვერენიტეტის მოპოვების დილემა კიდევ უფრო აქტუალური გახდა მრავალი სახელმწიფოსთვის. დასავლელმა ექსპერტებმა ჰიპოთეზაც კი გამოთქვეს, რომ კაცობრიობისთვის მთავარი გრძელვადიანი გამოწვევა შეიძლება იყოს „ციფრული პანდემია“ და მისი შედეგები. ასეთი განსჯები გამოწვეულია ახალი ტიპის კორონავირუსის გავრცელების დროს მოწინავე ტექნოლოგიების (პირველ რიგში

¹⁷ В. Д. Миловидов, „Услышать шум волны: что мешает предвидеть инновации?“, // Форсайт. 2018 г. Т. 12. № 1. С. 88-97.

¹⁸ K. Booth, N. Wheeler, „The Security Dilemma: Fear, Cooperation and Trust in World Politics“, N. Y.: Palgrave MacMillan, 2008 г.

ხელოვნური ინტელექტისა და 5G საკომუნიკაციო სისტემების) გამოყენების ფართო და წარმატებული გამოცდილებით. ამ დილემის გადაწყვეტა ჯერ არ ჩანს, რაც განპირობებულია ჩინეთისა და აშშ-ს გლობალურ ტექნოლოგიურ იერარქიაში მზარდი ამბიციებით, რომლებიც ძლიერ ციფრულ პოტენციალს ეფუძნება.¹⁹

მიზანშეწონილია ზემოაღნიშნული ფენომენები და პროცესები მივიჩნიოთ იმ მარკერებად, რომლებიც ავლენს შეუსაბამობას პოსტბიპოლარული მსოფლიო წესრიგის ფორმატსა და თანამედროვე პოლიტიკურ რეალობებს შორის, რომლებიც ხასიათდება სახელმწიფოთაშორისი კონკურენციის გაძლიერებით გავრცელებულ დიგიტალიზაციის პროცესების კონტექსტში. ტრადიციული და შედარებით ახალი ასპექტების სხვადასხვა კომბინაციიდან გამომდინარე, ჩვენ გამოვყოფთ, თუმცა ძალიან პირობითად, მსოფლიო წესრიგის მეტ-ნაკლებად სტაბილურ „სტაციონარულ მდგომარეობებსზე“ გადასვლის ყველაზე სავარაუდო სცენარებს, რაც შესაძლოა, მომავალი მსოფლიო წესრიგის საფუძველი გახდეს.

აშშ-ის კონგრესის კვლევითი ცენტრის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ამჟამად არსებული მონოპოლარული (ამერიკაზე ორიენტირებული) მსოფლიო წესრიგი, რომელიც ასევე პოზიციონირებულია, როგორც „ლიბერალური წესრიგი“, „ღია წესრიგი“ ან „წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო სისტემა“ წინაკრიზისულ მდგომარეობაშია. ამერიკულ პოლიტიკურ ელიტაში გაბატონებული შეხედულებაა, რომ ეს

¹⁹ Y. Bodansky, „After the Corona Virus // Institute for Strategic, Political, Security and Economic Consultancy“, 2020 y. March.
https://www.ispsw.com/wp-content/uploads/2020/03/679_Bodansky.pdf (03.05.2024).

ვითარება გამოწვეულია ჩინეთისა და რუსეთის, ისევე როგორც სხვა „რევიზიონისტული ძალების“ ქმედებებით, რათა გადახედონ და შეარყიონ მსოფლიო წესრიგის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ვაშინგტონის ინტერესების შესაბამისად განვითარდა.²⁰

დ. ტრამპის პრეზიდენტობის დასაწყისში აშშ-ში მიღებულ იქნა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია (2017 წლის დეკემბერი) და ეროვნული თავდაცვის სტრატეგია (2018 წლის იანვარი). ამ დოკუმენტების ავტორები მიუთითებენ „ახალ გეოპოლიტიკურ ვითარებაზე“, რომელსაც ისინი „დიდი ძალების კონკურენციას“ უწოდებენ. ამავდროულად, ამერიკის ხელისუფლება აცხადებს მზადყოფნას გამოიყენოს ყველა სახის ღონისძიება (ეკონომიკური, პოლიტიკური, დიპლომატიური, სამხედრო, საინფორმაციო სივრცის რესურსები და ა.შ.) შესაძლო ოპონენტებთან დასაპირისპირებლად, რათა შეინარჩუნოს აშშ-ის, როგორც მსოფლიო ჰეგემონის, პოზიცია.²¹

იმავდროულად, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს არაერთი ექსპერტი მიუთითებს, რომ ამერიკამ უკვე გადალახა „უკანდაუხველობის ზღვარი“. ამრიგად, „რბილი ძალის“ კონცეფციის ავტორი, ჯოზეფ ნაი, ეჭვობს, რომ „ლიბერალური წესრიგი“ გადაურჩება მსოფლიო განვითარების ამჟამინდელი ეტაპის სირთულეებს. მისი აზრით, თანამედროვე კრიზისის მიზეზი ის არის, რომ უნიპოლარული წესრიგი შემოსაზღვრული იყო ატლანტის ოკეანის ორივე

²⁰R. O'Rourke, M. Moodie, „U.S. Role in the World“: Background and Issues for Congress // Congressional Research Service. 2019 y. <https://fas.org/sgp/crs/row/R44891.pdf> (04.05.2024).

²¹ Renewed Great Power Competition: Implications for Defense. Issues for Congress // Congressional Research Service. 2019 y. 05.08. <https://fas.org/sgp/crs/natsec/R43838.pdf> (дата обращения: 03.05.2024).

მხარეს კონცენტრირებული თანამოაზრე სახელმწიფოების წრით და „არ მოიცავდა თავის ორბიტას არადასავლური სამყაროს ქვეყნებს (ჩინეთი, ინდოეთი და საბჭოთა ბლოკის სახელმწიფოები)“.²²

გამორიცხული არაა, რომ ამ მიზეზით, აშშ-ის ამჟამინდელი ადმინისტრაციის საქმიანობაში შეიძლება ამოვიკითხოთ იმ მსოფლიო სისტემის მოდელის გარდაქმნის სურვილი, რომელიც დომინირებდა ბოლო დრომდე - და არა აუცილებლად ლიბერალური ღირებულებების აქცენტით ან მოკავშირეებისა და პარტნიორების მხარდაჭერით. ამას, კერძოდ, მოწმობს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თავად ვაშინგტონის მიერ დამკვიდრებული „მსოფლიო საზოგადოების“ პრინციპების „რღვევა“.

ამერიკული ისტებლიშმენტის სტრატეგია ასახავს იმის გაგებას, რომ ლიბერალური მსოფლიო წესრიგი თავისი დაცემისკენ მიიწევს და საჭიროა წინასწარ რაღაც ახლის შექმნა, მხოლოდ ამერიკის ინტერესებიდან გამომდინარე, რომელსაც ჯერ კიდევ აქვს გადამწყვეტი ხმა საერთაშორისო რეალობის ჩამოყალიბებაში. ეს საგარეო პოლიტიკური კურსი იწვევს ვაშინგტონის ევროპელი მოკავშირეების უარყოფას, რომლებიც შედიან (ჩინეთსა და რუსეთისგან განსხვავებით) „წესებზე დაფუძნებულ მსოფლიო წესრიგში“, რომელიც პატიოსნად მოქმედებს მის ფარგლებში. ეს ჩანს გერმანიის საგარეო პოლიტიკის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2017 წელს გამოქვეყნებულ „გერმანულ მანიფესტში“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ დ. ტრამპის ქმედებები ხიფათს უქმნიდა მსოფლიო წესრიგს და მძიმე დარტყმას აყენებდა დასავლური ლიბერალიზმის ნორმატიულ საფუძვლებს. ავტორე-

²² J. Nye, „Will the Liberal Order Survive? The History of an Idea//Foreign Affairs“, 2017 y. Vol. 96. №1. გვ. 10-16.

ბი ყურადღებას ამახვილებენ ტრანსატლანტიკური პარტნიორების ურთიერთობებში პოლიტიკური სტატუს კვოს შენარჩუნების მიზანშეწონილობაზე, მაგრამ პროგნოზირებენ ინტერესთა შემდგომ განსხვავებას გერმანიასა და შეერთებულ შტატებს შორის ენერგეტიკის, მიგრაციის, კლიმატის პოლიტიკის და ა.შ.²³

ბევრი დასავლელი ექსპერტი აღნიშნავს, რომ „ლიბერალური მსოფლიო წესრიგის“ კრიზისი აშშ-ის პრეზიდენტად დ. ტრამპის არჩევამდე დიდი ხნით ადრე წარმოიშვა. ამრიგად, „გერმანული მანიფესტის“ კრიტიკული ანალიზის ავტორი ჯომ ბასბი აღნიშნავს, რომ თეთრი სახლის ამჟამინდელი ხელმძღვანელი მხოლოდ ასეთი კრიზისის პროდუქტი იყო. მისი აზრით, ლიბერალური მსოფლიო წესრიგის დაშლის ძირითადი მიზეზები დაკავშირებულია გლობალურ მმართველობის ფუნდამენტურ ცვლილებებთან, კერძოდ, არასახელმწიფო აქტორების რაოდენობის ზრდასთან, გლობალური მმართველობის ფრაგმენტაციასთან, ახალი იდეებისა და ნორმების გაჩენასთან, რომელთაგან ბევრი არ არის ლიბერალური მმართველობის პროექტის ნაწილი, გლობალური და ფუნქციონალური ურთიერთდამოკიდებულების გაფართოებასთან, ამ პირობებში კი „ლიბერალურ წესრიგში“ დაბრუნება უკვე შეუძლებელად ჩანს.²⁴

²³ In Spite of It All, America. A Transatlantic Manifesto in Times of Donald Trump. A German Perspective // The New York Times. 2017 y.. October. — <http://trotdem-amerika.de> (04.04.2024).

²⁴ J. Busby, „Entering the Global Multilogue — A Replique to the German ZEIT Manifesto“ // Duck of Minevra. 2017 y. <https://duckofminerva.com/2017/10/entering-the-global-multilogue-a-replique-tothe-german-zeit-manifesto.html>»<https://duckofminerva.com/2017/10/entering-the-global-multilogue-areplique-to-the-german-zeit-manifesto.html>. (15.05.2024)

ამერიკაზე ორიენტირებული მსოფლიო წესრიგის მომავალთან დაკავშირებით დისკუსიები კიდევ უფრო გააქტიურდა ახალი კორონავირუსის გავრცელების ფონზე, რამაც საგრძნობლად გაამწვავა სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები. დასავლურ საზოგადოებაში მსოფლიო წესრიგის მანამდე ჩამოყალიბებულ სტრუქტურებში ტექტონიკური ძვრებისა და ძალთა ახალი გეოპოლიტიკური განლაგების ფორმირების მოლოდინი დაიღვარა.

2020 წელს ამერიკამ აჩვენა სისუსტე, ხოლო ჩინეთმა, „ისარგებლა მზარდი გლობალური ძალაუფლების ვაკუუმით“ და რეალურად დაიკავა მსოფლიო ლიდერის პოზიცია.²⁵

ამრიგად, დასავლურ ექსპერტთა საზოგადოებაში გაბატონებული შეხედულებაა, რომ ამერიკაზე ორიენტირებული მსოფლიო წესრიგი უახლოვდება დაცემას ტრადიციული ძალაუფლების ცენტრების დინამიური დაცემის და ახლის გაჩენის ფონზე. ამასთან, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ არსებული საერთაშორისო ვითარების არასტაბილური და გარდამავალი მდგომარეობა ითვალისწინებს ვაშინგტონის ელიტას, მაგრამ „განახლებული უნიპოლარობის“ დამყარების მეთოდები ზედმეტად რადიკალურია სახელმწიფოებისთვის, რომლებიც მიჩვეულნი არიან საერთაშორისო სამართლის წესების დაცვას. ისინი შეესაბამება ამერიკის ამჟამინდელი ხელ-

²⁵ K. M. Campbell, R. Doshi, „Coronavirus Could Reshape Global Order // Foreign Affairs“, 2020 y.. 18.03.

https://www.foreignaffairs.com/articles/china/2020-03-18/coronavirus-could-reshape-globalorder?utm_campaign=Center%20for%20Northeast%20Asian%20Policy%20Studies&utm_source=hs_email&utm_medium=email&utm_content=85459036
(15.05.2024)

მძღვანელობის ხედვას, მაგრამ არა შეერთებული შტატების ტრადიციულ მოკავშირეებსა და პარტნიორებს.

დასავლეთის ქვეყნებში მულტიპოლარობის იდეა ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა თანმიმდევრულ თეორიულ კონცეფციად პრობლემის სირთულის გამო, რაც გამწვავებულია დინამიური გეოპოლიტიკური, ტექნოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ცუდად პროგნოზირებადი შედეგებით. თუმცა, უცხოელი ანალიტიკოსები აღიარებენ, რომ საერთაშორისო ცხოვრების მიმდინარე ტენდენციები არ გამოირიცხავს მულტიპოლარული სამყაროს ჩამოყალიბებას რომელიმე ფორმატში. ისინი მას სხვაგვარად უწოდებენ: „თანამშრომლობითი მრავალპოლარულობა“, „ახალი ვესტვალური სისტემა“, „მრავალგანზომილებიანი მსოფლიო წესრიგი“. ამავდროულად, ექსპერტთა უმეტესობა პოლიცენტრულობის შესაძლებლობას საკმაოდ შეკვეცილ ისტორიულ პერიოდს უკავშირებს.

3. კისინჯერმა თავის წიგნში „მსოფლიო წესრიგი“, რომელიც გამოქვეყნდა 2014 წელს, მიუთითა უნიპოლარობის დაუცველობაზე. მან ეს როგორც მრავალმხრივი ინსტიტუტების საქმიანობაში მზარდ შეუსაბამობას დაჩქარებული გლობალიზაციის კონტექსტში, ასევე გლობალურ პრობლემებზე გადაუდებელი რეაგირების ეფექტური მექანიზმის არარსებობას დაუკავშირა. შესაბამისად, მან დაინახა უნიპოლარული მსოფლიო წესრიგის ევოლუციური (არასამხედრო) ადაპტაციის შესაძლებლობა ოთხმხრივ მოდელად, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფოების ძირითად ცივილიზაციურ ღირებულებებს და ისტორიულ ტრადიციებს:

- ევროპული სისტემა - ეფუძნება სისტემის შიგნით თანაბარი სტატუსის მქონე სუვერენული სახელმწიფოების ვესტვალური მოდელი;

- ისლამური სისტემა - ისლამური რელიგიის კანონებზე დაფუძნებული საერთო სამყაროს იდეა;
- ჩინური სისტემა - „შუა სამეფოს“ ტრადიციული იდეები;
- ამერიკაზე ორიენტირებული სისტემა - აშშ-ის თავდაჯერებული პოლიტიკის მომხრეების ჩართულობით და მათი ხელმძღვანელობით.²⁶

2017 წელს ინდოელ-ამერიკელმა პოლიტოლოგმა ამიტავა აჩარიამ ჩამოაყალიბა „მრავალმხრივი სამყაროს“ კონცეფცია კოსინჯერული სულისკვეთებით. მეცნიერმა მსოფლიო განვითარების ამჟამინდელი ეტაპი შემდეგნაირად აღწერა: „მრავალმხრივი სამყარო, რომელშიც „ლიბერალური წესრიგის ელემენტები გადარჩა, მაგრამ შედის მრავალი გადაკვეთის საერთაშორისო წესრიგის კომპლექსში“. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საუბარია მრავალ კომპონენტზე და არა მრავალპოლარულ მსოფლიო წესრიგზე, რაც გულისხმობს, რომ ამ სისტემას მრავალ თანამედროვეობით, სადაც დასავლური ლიბერალური თანამედროვეობა (და მისი სასურველი გზები ეკონომიკური განვითარებისა და მმართველობისკენ) მხოლოდ ნაწილია იმისა, რაც შემოთავაზებულია თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებისათვის. მეცნიერი არ გამორიცხავდა, რომ სამყარო მალე გადაიქცევა ურთიერთგადაკვეთის (თუ არა კონკურენტი) „გლობალიზმების“ კომპლექსად. იმავდროულად, განვითარების ამ ეტაპზე მზარდი ძალები, ა. აჩარიას აზრით, ვერ ახერხებენ აიძულონ მსოფლიო გადასვლა პოლიცენტრულზე, ამიტომ მათთვის

²⁶ Г. Киссинджер, *Мировой порядок* / пер. с англ. В. Желнинова, А. Миллюкова. М. : АСТ, 2018 у.

ერთადერთი გზა არსებული საერთაშორისო ინსტიტუტების შენარჩუნება დარჩება.²⁷

ამრიგად, უცხოელი ექსპერტები არ გამორიცხავენ მულტიპოლარული სამყაროს რაიმე პროექციის ჩამოყალიბებას.

აღნიშნულია, რომ სახელმწიფოები და საერთაშორისო ასოციაციები, რომლებსაც შეუძლიათ შესთავაზონ ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების კონკურენტუნარიანი კონცეფცია, რომელიც უზრუნველყოფს ორმხრივ მისაღებ საფუძველს მისი პოტენციური მონაწილეების ინტეგრაციისთვის მათი ეროვნული უსაფრთხოებისა და ცივილიზაციური იდენტობის შენარჩუნებით, შეძლებენ გამოხატონ პრეტენზია ინტეგრაციის ბირთვის როლზე მრავალპოლარული სამყაროს თითოეულ ცენტრში. თუმცა, რიგი პოლიტოლოგი უარყოფს ასეთი სისტემის სიცოცხლისუნარიანობას და ამტკიცებს, რომ ის შეიძლება გახდეს მხოლოდ ერთგვარი „გარდამავალი სახელმწიფო“ უფრო სტაბილური სტრუქტურისკენ - ერთი ან ორპოლუსიანი წესრიგი.

1.3 სირიის კონფლიქტის არსი და წარმოშობის წანამძღვრები

სირია უძველესი ქვეყანაა, რომლის ტერიტორიაზე ადრეული პალეოლითის ხანის ყოფითი ნაშთებია დაფიქსირებული და ისტორიულად მუდმივად იყო მეზობელი ხალხების, სახელმწიფოებისა და იმპერიების (მესოპოტამია, ხეთები, ასურეთი, ბაბილონი, სპარსეთი, საბერძნეთი, სელევკიდები, რომის იმპერია, ბიზანტია, სასანიდები, მუსლიმი

²⁷ A. Acharya „After Liberal Hegemony“: The Advent of a Multiplex World Order // Ethics & International Affairs. 2017 y. Vol. 31. № 3. გვ. 271-285.

არაბები, სელჩუკი თურქები, ეგვიპტელები, ჯვაროსნები, მონღოლები, ოსმალეთის 400-წლიანი მმართველობა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი) დაინტერესების საგანი.

ძველი წელთაღრიცხვით IV-III ათასწლეულებიდან სირია იყო ერთ-ერთი მონათმფლობელური სახელმწიფო, რომელიც მოიცავდა ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებს არაბეთის უდაბნომდე და ხანგრძლივი ბრძოლები ჰქონდა ეგვიპტის, მითანის, ხეთების, ასირიელების, ირანის, საბერძნეთის, სელევკიდების, სომხეთის, რომის, ბიზანტიის და სხვა სახელმწიფოებრივ გაერთიანებებთან და სახელმწიფოებთან.

აღსანიშნავია, რომ თავიდან სირია ქრისტიანული იდეების მატარებელი ქვეყანა იყო. VI საუკუნეში სირიიდან ჩამოსული 13 ასურელი მამების მიერ მოხდა ქართველურ ტერიტორიებზე ეკლესიების დაარსება და სამონასტრო ცხოვრების საფუძვლის ჩაყრა.

სირიის ისტორიაში, VII საუკუნის 20-იანი წლების ბოლო წლებში, მნიშვნელოვანი ეტაპი დადგა - მოსაზღვრე ტერიტორიაზე - არაბეთის ნახევარკუნძულზე - მუჰამედის მიერ საკუთარი თავი ღმერთის (ალაჰის) მოციქულად გამოაცხა რის საფუძველზე არაბული ტომები ისლამის დროშის ქვეშ გაერთიანდნენ.

ისლამი მსოფლიოს ახალ მონოთეისტურ, ბუდიზმისა და ქრისტიანობის შემდეგ, მესამე მსოფლიო რელიგიად მოეწვინა. ისლამი ნიშნავს ალაჰისადმი მინდობილს, მისი მიმდევრები კი მუსლიმებად იწოდებიან.

VII საუკუნის პირველ ნახევარში არაბებმა მოახერხეს სირიის დაპყრობა, რომელიც ესპანეთიდან ინდოეთამდე იყო გაჭიმული და სახელმწიფოს სატახტო ქალაქი დამასკო გახდა. განხორციელდა სირიის ქრისტიანული მოსახლეობის

არაბიზაცია და ისლამიზაცია. სირია თანდათან არაბულ ქვეყნად იქცა. X საუკუნის მეორე ნახევრიდან სირია-პალესტინა ჯვაროსნული ომების ობიექტი იყო, ევროპელებმა დაიპყრეს პალესტინა, ხოლო სირიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ანტიოქიის სამთავრო.

XII საუკუნის მიწურულიდან სირია ეგვიპტის სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა და XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან კი აქ მამლუქები გაბატონდნენ.

XVI საუკუნიდან სირიაში თურქების 400-წლიანი მმართველობაა, ხოლო შემდეგ პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულმა ინგლისმა და საფრანგეთმა აქ თავიანთი ძალაუფლება დაამყარეს.

სირიას ტრადიციულად გამოკვეთილი ჰქონდა მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური პოზიცია ახლო აღმოსავლეთში; დიდი სირია (ბილად ალ-შამი) მოიცავდა SAB-ის, ლიბანის, პალესტინის და იორდანის ტერიტორიებს და ცენტრალურ როლს ასრულებდა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. იგი ბუფერული ზონაა ეგვიპტეს, ანატოლიას და მესოპოტამიას (ერაყი) შორის. სირია ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომი იყო XVI-XX საუკუნის დასაწყისში, ხოლო 1920-1946 წლებში იმყოფებოდა საფრანგეთის მანდატის ქვეშ და ჩამოყალიბდა ოთხი ავტონომიური ერთეული: ალავიტი სანაპირო ზონაში; დრუზები და ორი სუნიტი ოლქი.

თავის დროზე საფრანგეთის კოლონიალურ სისტემაში დამასკომ მოახერხა ადმინისტრაციული, ეკონომიკური და სასამართლო ცენტრად ჩამოყალიბება და XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე აქ ბურჟუაზიასა და ქალაქის წარჩინებულთა შორის დაიბადა და განვითარდა არაბული ნაციონალიზმის იდეოლოგია.

სირიაში სახელმწიფო ენად ფრანგული გამოცხადდა. ფრანგებმა დაიკავეს ადმინისტრაციის უმნიშვნელოვანესი თანამდებობები. 1930 წელს სირიაში კონსტიტუცია მიიღეს და იგი რესპუბლიკად გამოცხადდა, თუმცა საფრანგეთის კოლონიად რჩებოდა და მისი მანდატი მხოლოდ 1943 წელს გაუქმდა, როდესაც საფრანგეთის ჯარებმა დატოვეს სირია და 1946 წლის 17 აპრილი ეროვნული დამოუკიდებლობის დღედ გამოცხადდა.

1936 წელს საფრანგეთი დაეთანხმა სირიის დამოუკიდებლობას სამხედრო და ეკონომიკური დომინანტობით, თუმცა 1946 წლიდან სრული დამოუკიდებლობის მქონე ქვეყანაა და 1958 წლიდან ეგვიპტესთან ერთად ერთიანი სახელმწიფოს - არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის წევრია, მაგრამ 1961 წლიდან კვლავ დამოუკიდებლობა გამოცხადებული ქვეყანაა.

მანამდე, ჯერ კიდევ 1948 წელს, სირიასა და ისრაელს შორის პირველი კონფლიქტი დაფიქსირდა, როდესაც სამხედრო დაპირისპირება მოხდა ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის (ეგვიპტე, ტრანსილვანია, ერაყი, სირია, საუდის არაბეთი, იემენი), რასაც მოჰყვა მუსლიმის მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ სახლების დატოვება და დღეისათვის გოლანის მაღლობზე მხოლოდ 20 ათასი სირიელი ცხოვრობს.

ხანმოკლე აღმოჩნდა 1958 წლის თებერვალში ეგვიპტისა და სირიის გაერთიანების შედეგად შექმნილი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის (აგრ) არსებობა. სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების გამო, გაერთიანება, სამხედრო გადატრიალების გზით, 1961 წლის 28 სექტემბერს დაიშალა და სირიამ დატოვა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შემადგენლობა.

1963 წლის მარტში სირიაში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ძალაუფლება ბაასისტი ოფიცრების ჯგუფის ხელში აღმოჩნდა და ქვეყნის სათავეში 1947 წელს დაარსებული ბაასი (არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია) მოვიდა, რომელიც ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის დიდი ნაწილის, გლეხების, სტუდენტებისა და ინტელიგენციის ინტერესების გამტარებელი იყო.

ბაასის მიერ არ იყო გათვალისწინებული ერთ რომელიმე რელიგიასთან კავშირი, პარტიის პირველადი ორგანიზაციების შექმნა სხვადასხვა რელიგიურ დაჯგუფებებში ხდებოდა. მისი წევრებისთვის აუცილებლობას „არაბიზმის“ აღიარება წარმოადგენდა, რაც გულისხმობდა არაბი ერის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას და არაბული ხალხების სწრაფვას დემოკრატიულ საწყისებზე სოციალიზმის აშენებისაკენ.

ბაასისტური მთავრობის მიერ ძალაუფლების ხელში აღებისთანავე, თავისი პარტიული პროგრამის ფარგლებში დაიწყო მთელი რიგი ღონისძიებების გატარება ეკონომიკის სფეროში. ცვლილებები განახორციელა სირია-ეგვიპტის ერთიანობის პერიოდში აგრარულ სექტორში დაწყებულ რეფორმაშიც. 1963-1965 წწ. ჩატარებული ნაციონალიზაციის შედეგად სახელმწიფომ საკუთარი კონტროლი გაავრცელა ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა საკვანძო პოზიციაზე: საკრედიტო ფინანსურ სისტემაზე, მრეწველობის ყველაზე მსხვილ დარგებსა და საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვან ნაწილზე, რითაც ქვეყანაში საბოლოოდ მოხდა მსხვილი კაპიტალის პოლიტიკური და ეკონომიკური ბატონობის აღმოფხვრა.

1966 წლის თებერვალში ქვეყნის სათავეში რევოლუციური გადატრიალების გზით მოვიდა ბაასის მემარცხენე ფრთა, რომელმაც თავის მთავარ ამოცანად ყველა პროგრესულ

ღონისძიებათა ბოლომდე მიყვანა და სოციალისტური საზოგადოების (რა თქმა უნდა, არაბული სამყაროს კონკრეტული პირობების ფარგლებში) შენება დაისახა. ამ მიზნებში გათვალისწინებული იყო ყურადღების კონცენტრირება სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, აგრარულ სექტორში რეფორმის განხორციელებასა და ეკონომიკაში სახელმწიფო პოზიციების განმტკიცებაზე. მთავრობა იღებდა მუშა-მოსამსახურეების ცხოვრების დონისა და ამალღებისათვის საჭირო ზომებს, დიდი ყურადღება ექცეოდა მეგობრული და საქმიანი კავშირების განვითარება-გამყარებას. სირიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგად აქტიურდებოდნენ საშინაო რეაქციული წრეები.

1966-1967 წლებში გამოაშკარავდა რამდენიმე შეთქმულება ხელისუფლების წინააღმდეგ, სირია-ისრაელის სასაზღვრო ტერიტორიაზე კი, ისრაელის მიერ სამხედრო შენაერთების თავმოყრის გამო, თავი იჩინა დაძაბულობის გაძლიერებამ.

1967 წლის მაისში სირიის წარმომადგენელმა გაერო გააფრთხილა ისრაელის მხრიდან ზემოაღნიშნული აშკარა სამხედრო მუქარის შესახებ, თუმცა, უკვე იმავე წლის 5 ივნისს ისრაელის მხრიდან დაიწყო შეიარაღებული აგრესია არა მხოლოდ სირიის, არამედ ეგვიპტისა და იორდანის წინააღმდეგაც, რაც არაბულ სახელმწიფოთა მარცხით და ისრაელის მიერ სირიის ტერიტორიის ნაწილის - ალ-კუნაიტრა და გოლანის (ჯულანის) სიმაღლეები - დაკავებით დამთავრდა. ამასთანავე, ისრაელის მიერ მოხდა ღაზას სექტორის, სინაის ნახევარკუნძულის (ეგვიპტე), მდ. იორდანის დასავლეთ ნაპირისა და ქალაქ იერუსალიმის აღმოსავლეთ ნაწილის (იორდანია) ოკუპაციაც.

საბოლოოდ, იმ ეტაპზე, ისრაელის აგრესიის შეჩერება მხოლოდ საბჭოთა კავშირის და სხვა სოციალისტური ქვეყნების ჩარევით მოხერხდა, რომელთა აქტიური ძალისხმევით, ისრაელმა და მის უკან მდგარმა ძალებმა ვერ შეძლეს სირიის და ეგვიპტის რეჟიმების დამხობა.

1967 წლის ნოემბერში გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ იქნა რეზოლუცია (N242) მახლობელი აღმოსავლეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების შესახებ, რომელშიც გათვალისწინებული იყო ისრაელის შეიარაღებული ძალების გაყვანა მის მიერ ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან, თუმცა ეს გადაწყვეტილება ისრაელისათვის მიუღებელი აღმოჩნდა.²⁸

ბაასს შემუშავებული ჰქონდა სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების პოზიტიური პროგრამა, რომელიც მოიცავდა: ერის ინტერესებისთვის ეკონომიკური რევილუციის მოთხოვნას, ბუნებრივი სიმდიდრეების ნაციონალიზაციას, მოსახლეობის შემოსავლის სამართლიან განაწილებას, საშინაო და საგარეო ვაჭრობაზე კონტროლის დაწესებას, ეკონომიკის დაგეგმვის და სოციალური უზრუნველყოფის, მიწის საკუთრების შეზღუდვის და სხვა მოთხოვნებს.

ბაასის მიერ წამოყენებული ლოზუნგებით: „ერთობა“, „თავისუფლება“, „სოციალიზმი“ - მოხდა არმიაში, სამოქალაქო ინტელიგენციასა და წვრილ ბურჟუაზიაში პარტიის დასაყრდენების გაფართოების ხელშეწყობა.

1967 წელს, ისრაელის მიერ წარმოებული „ექვსდღიანი ომის“ შედეგად, რომელიც მან ეგვიპტის, იორდანისა და სირიის წინააღმდეგ აწარმოა, ღაზას სექტორი, სინას ნახევარ-

²⁸ UN Security Council Resolution No. 242 of November 22, 1967 r. [https://peacemaker.un.org/sites/peacemaker.un.org/files/SCRes242\(1967\).pdf](https://peacemaker.un.org/sites/peacemaker.un.org/files/SCRes242(1967).pdf) (25.05.2024)

კუნძული, მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირი და სირიის დედაქალაქ დამასკოთან 60 კილომეტრზე მდებარე სირიის გოლანის მაღლობი, ისრაელის კონტროლის ქვეშ მოექცა.²⁹

1971-2000 წლებში სირიაში არსებობდა ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობა, რომელიც შეიარაღებულ ძალებს, სპეცსამსახურებს და სამთავრობო პოლიტიკურ ძალებს ეყრდნობოდა. ეს დამახასიათებელი იყო ჯერ კიდევ პრეზიდენტ ჰაფეზ ასადის ხელისუფლებისათვის, რომელიც ისრაელთან კონფრონტაციით და საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის ჩამოყალიბებით გამოირჩეოდა.

ქვეყნის ძირითად პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა 1947 წელს ჩამოყალიბებული - სოციალისტური აღორძინების პარტია.

2000 წელს, ხელისუფლების სათავეში მოსულმა ბაშარ ასადმა ქვეყანაში დაიწყო ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ლიბერალიზაცია, უარყო ავტორიტარული რეჟიმის მემკვიდრეობა და შეეცადა მოეხდინა სირიის მოდერნიზაცია, ფორმულით „მემკვიდრეობა რეფორმებისათვის“, თუმცა ახალი ნაბიჯები მიუღებელი აღმოჩნდა კონსერვატორთა ჯგუფებისათვის.

ცხადია, მიღებული რეფორმები არარადიკალურ ხასიათს ატარებდა და საშინაო და საგარეო ვითარებით იყო შეზღუდული, თუმცა, ამავდროულად, ეს სახელმწიფო მმართველობის შეცვლის კურსს წარმოადგენდა და წინა მმართველობის ეპოქის საკმაოდ ხისტი მიდგომის ჩამნაცვლებლად მოიაზრებოდა. ამ პერიოდში ქვეყანაში მოხდა პარტიული ცხოვ-

²⁹ ექვსდღიანი ომი.

<https://konpliqtebi2017.wordpress.com/2017/11/23/%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98/> (25.05.2024)

რების აშკარა გამოცოცხლება და პოლიტიკურ არენაზე ზოგერთი ოპოზიციური ფიგურების გააქტიურება.

2011 წლამდე სირიის არაბულ რესპუბლიკაში მშვიდობიანად თანაარსებობდნენ სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები, ქრისტიანული ეკლესიები, მეჩეთები, სხვადასხვა სარწმუნოების მორწმუნეები. ხელისუფლება თანაბრად სცემდა პატივს ქრისტიანულ და ისლამურ სალოცავებს, იცავდა მათ და ეს ტრადიცია უძველესი დროიდან მომდინარეობდა, რადგან სირია იყო პირველი ქრისტიანული სახელმწიფო და დაცული იყო მსოფლიო კულტურის ძეგლები.

ადმინისტრაციული თვალსაზრისით, სახელმწიფოს ჰქონდა საკუთარი, კანონით მკაფიოდ დარეგულირებული შიდა დაყოფა, რომელიც უზრუნველყოფდა სახელმწიფო საზღვრების მთლიანობას და სახელმწიფო ადმინისტრაციის შიდა აპარატის კომპეტენტური დიფერენციაციის შესაძლებლობას, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარემოს სტაბილურობის თვალსაზრისით.

სირია დაყოფილი იყო 14 ადმინისტრაციულ ნაწილად - მუჰაბაზად, რომელთაც გააჩნდათ ხელმძღვანელი ადგილობრივი პარლამენტი. კუნეიტრას მუჰაფაზი 1973 წლიდან ისრაელის მიერ იყო ოკუპირებული, ხოლო მუჰაფაზების გარკვეული ნაწილი გაეროს ადმინისტრაციას ექვემდებარებოდა.

სირიის არაბთა რესპუბლიკაში სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარება აგებული იყო სეკულარულ საფუძველზე, ისტორიული, ეროვნული, რელიგიური და ტრადიციების საფუძვლების გათვალისწინებით. არ არსებობდა კონფესიური დაპირისპირება და სახელმწიფო მკაცრად აკონტროლებდა სამოქალაქო და რელიგიათა შორის მშვი-

დობის შენარჩუნებას, თრგუნავდა ისლამური და სხვა ექსტრემიზმის გამოვლინებას. ქვეყნის ხელმძღვანელობა სერიოზულ ყურადღებას უთმობდა განათლებას, სამეცნიერო ცოდნის განვითარებას, თანამედროვე ინდუსტრიების შექმნას.

სირია თანმიმდევრულად აგრძელებდა ბრძოლას ისრაელის მიერ არაბული ტერიტორიების ოკუპაციის წინააღმდეგ, დახმარება უწევდა პალესტინის წინააღმდეგობას, მხარს უჭერდა ლიბანის წინააღმდეგობას ისრაელის აგრესიაზე, ღებულობდა ერაყელ ლტოლვილებს და აერთიანებდა დამოუკიდებლობას ყველა კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკასთან. რესპუბლიკის ხელმძღვანელობის პოლიტიკური სტრატეგია იყო ქვეყნის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ორიენტაცია რუსეთზე და განვითარების დამოუკიდებელი კურსის უზრუნველყოფა.

თუმცა, ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში, ბევრი უარყოფითი მომენტი დაგროვდა, რაც მოსახლეობის ნაწილის უკმაყოფილებას იწვევდა, რაც უმაღვე იქნა სტიმულირებული საზღვარგარეთის ქვეყნების მიერ.

ხანგრძლივმა საგანგებო მდგომარეობამ და მის პირობებში უშიშროების სამსახურის საქმიანობამ შექმნა პოლიტიკური უკმაყოფილების პოტენციალი. გამოჩენილი სახელმწიფო და საერთაშორისო მოღვაწის, ქვეყნის პრეზიდენტის ჰაფეზ ალ-ასადის გარდაცვალების შემდეგ, 2001 წელს, ხელისუფლების სათავეში მოსულმა (შვილმა) ბაშარ ალ-ასადიმ იგრძნო სირიის სახელმწიფოს რეფორმების აუცილებლობა. თუმცა, სირიის ელიტის კონსერვატიზმი, გარე მტრული (ისრაელი) და ფრთხილი (მეზობლების მონარქისტული და პროამერიკული რეჟიმები) გარემო არ იძლეოდა ამის გან-

ხორციელების საშუალებას. სირიის სამთავრობო ძალების ქმედებები გაცილებით ეფექტური იყო, ვიდრე შეიარაღებული ოპოზიციის. თუმცა დასავლეთს ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონდა. აქცენტი კეთდებოდა სირიაში ისეთ პრობლემებზე, როგორც იყო სიტყვის თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის ნაკლებობა, სოციალური უთანასწორობის ზრდა, საზოგადოების კონფესიური სპეციფიკა.³⁰

ეკონომიკურ გარემოში ყველაზე გამოხატული პრობლემები 2012-2014 წლებში დაიწყო. 2014 წელს მშპ-ს კლება საერთაშორისო სანქციებმა, განადგურებულმა ინფრასტრუქტურამ, შიდა მოხმარებისა და წარმოების შემცირებამ და მაღალმა ინფლაციამ გამოიწვია. 2014 წელს ომმა და მიმდინარე ეკონომიკურმა ვარდნამ ჰუმანიტარული კატასტროფა შექმნა, სირიაში გაჭირვებულთა რიცხვი 9,4 მილიონიდან 12,2 მილიონამდე გაიზარდა, ხოლო ლტოლვილთა რაოდენობა 2,2 მილიონიდან 3,3 მილიონამდე გაიზარდა. სირიის პრობლემები გრძელვადიან პერსპექტივაში არის საგარეო სავაჭრო ბარიერები, ნავთობის მოპოვების შემცირება, მაღალი უმუშევრობა და წყლის რესურსების ნაკლებობა.³¹

ამრიგად, ზემოაღნიშნული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სამხედრო-პოლიტიკური მოქმედებების დაწყებამდე, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ხასიათის მთელი რიგი ფაქტორებისა და მიზეზების გამო, სირიის სახელმწიფო, როგორც სახელმწიფო, სო-

³⁰ А.В. Муха, В.В. Кихтан, „Освещение геополитических конфликтов СМИ на примере Сирийской Арабской Республики“, Сборник научных статей. Министерство образования и науки РФ; Российский университет дружбы народов. Москва, 2015 у. С.263.

³¹ Экономика Сирии. Место Сирии в мировой экономике.

<http://www.gecont.ru/articles/econ/siria.htm> (Дата обращения: 01.04.2017)

ციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისი, ხელსაყრელი იყო - ქვეყნის მშპ ყოველწლიურად იზრდებოდა, ეკონომიკური სიძლიერე - გაიზარდა, მოსახლეობა - აყვავებული. თუმცა, XXI საუკუნის ნულოვანი წლების შუა ხანებში სახელმწიფოს შეექმნა მრავალი პრობლემა, რამაც გამოიწვია გაჭიანურებული და დესტრუქციული სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტის დაწყება.

თავი 2.

გლობალური აქტორების ინტერესები და სირიის კონფლიქტი

2.1 სირიის კონფლიქტის განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპები

სირიაში შიდაკონფლიქტებსა და სამხედრო გადატრიალებებს მუდმივი ხასიათი ჰქონდა 1970 წლამდე - ასევე სამხედრო გადატრიალების გზით, ქვეყნის სათავეში ბაასის სამხედრო ფრთის ხელმძღვანელის, გენერალ ჰაფეზ ალ-ასადის მოსვლამდე. მას შემდეგ, რაც იგი, 1971 წელს ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს, მისმა მმართველობის ხანამ 30 წელი გასტანა. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ჰაფეზ ალ-ასადმა თავისი მმართველობის მთავარ ამოცანად ეროვნული უშიშროებისა და შიდასტაბილურობის მიღწევა დაისახა მიზნად.

ჰაფეზ ალ-ასადი სამხედრო კამპანიის წარმოებასაც კი არ ერიდებოდა საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ, რასაც ათასობით სირიელი შეეწირა. მისი პრეზიდენტობის დროს, 1973 წელს - ისრაელის ტერიტორიაზე სირიისა და ეგვიპტის ერთობლივი შეჭრით განახლდა სირია-ისრაელის დაპირისპირება, თუმცა ამან შედეგად ვერ მოიტანა იმ ტერიტორიების დაბრუნება, რომელთა ოკუპირებაც ისრაელმა 1967 წელს განახორციელა; ასევე ჰ. ალ-ასადის მმართველობის პერიოდში, 1976 წელს, ქრისტიანი მარონიტებს მხარდასაჭერად, მოხდა სირიის ჩართვა ლიბანის სამოქალაქო ომში.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ომის მიუხედავად, სირიაში რეფორმები არ შეჩერებულა. 1967 წელს სსრ კავშირის თანადგომით, რომელმაც სირიას როგორც ეკონომიკური, ასევე

ტექნიკური დახმარებაც გაუწია, მდ. ევფრატზე გრანდიოზული ჰიდროენერგეტიკული კომპლექსის მშენებლობა დაიწყო; ასევე, ნავთობის მოპოვების განსავითარებლად დიდი ყურადღება ეთმობოდა ქვეყანაში ნავთობმომპოვებელი მრეწველობის შექმნასა და გაძლიერებას.

1971 წლის მარტში რეფერენდუმზე პრეზიდენტად არჩეულმა ჰ. ასადმა კვლავ პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების კურსი განაგრძო. 1972 წელს სირიაში ჩამოყალიბებულ ეროვნულ ფრონტში გაერთიანდა ხუთი პარტია და ორგანიზაცია, რომელთა შორის იყო სირიის კომუნისტური პარტიაც. აღნიშნული ფრონტის შექმნა წარმოადგენდა პირველ ნაბიჯს, რომელიც მიმართული იყო ერთიანი არაბული მოძრაობისაკენ და მისი მთავარი მიზანი იყო ბრძოლა იმპერიალიზმისა და სიონიზმის წინააღმდეგ, რაშიც, პირველ რიგში, იგულისხმებოდა ისრაელის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლება, და ასევე, გაერთიანებული არაბული სოციალისტური საზოგადოების შექმნა.

1973 წელს, ოქტომბერში, სირია და ეგვიპტე გაერთიანდნენ ისრაელის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებში, რომელშიც ასევე გაერთიანდნენ ერაყის, ქუვეითისა და მაროკოს სამხედრო შენაერთები.

1974 წლის მაისში სირია-ისრაელის შეთანხმებების საფუძველზე განხორციელდა აღნიშნული ქვეყნების სამხედრო ნაწილების დაშორიშორება გოლანის სიმაღლეებზე. ისრაელმა დატოვა ოკუპირებული გოლანის სიმაღლეების ადმინისტრაციული ცენტრი.

1976-1979 წლებში ეგვიპტის პრეზიდენტის სადათის მიერ არჩეულმა ანტიარაბულმა კურსმა სირიასთან ურთიერთობის გაწყვეტა განაპირობა.

1979 წლის მარტში ეგვიპტე-ისრაელს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება, რაც პალესტინის არაბი ხალხის და სირიისა და იორდანის ღალატად შეფასდა. ისრაელმა შეინარჩუნა პოზიციები მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირსა და გოლანის სიმაღლეებზე. ამ მოვლენების შემდეგ ალჟირთან, იემენტან და პალესტინასთან ერთად, სირიამ შექმნა წინააღმდეგობის ეროვნული ფრონტი, რასაც 1978 წელს მოჰყვა კემპ-დევიდის შეთანხმება და არაბული ქვეყნების რესურსების მობილიზაცია ეგვიპტე-ისრაელის წინააღმდეგ. ამ პერიოდიდან სირიის ეროვნულ ფრონტსა და საბჭოთა კავშირს შორის დამყარდა მჭიდრო ურთიერთობა. სირიის საზოგადოებრიობა და პოლიტიკური ხელმძღვანელობა გამობდა ეგვიპტე-ისრაელის საზავო ხელშეკრულებას და მას ეროვნულ ღალატს უწოდებდნენ. ეგვიპტის წინააღმდეგ დაიწყო ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციები.

სირიელი ხალხის მიერ რეფერენდუმით მოწონებული 1973 წლის 12 მარტის კონსტიტუციით, სირიის არაბთა რესპუბლიკა სოციალისტურ სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა, ხოლო სირიელი ხალხი ჩაითვალა არაბი ერის შემადგენელ ნაწილად.

აღსანიშნავია, რომ იმ დროიდან სირიის სახელმწიფოს უახლესი ისტორია მჭიდროდ დაუკავშირდა საბჭოთა კავშირს და ამ ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა.

ჰაფეზ ასადმა გააძლიერა სახელმწიფო და არმია, ხოლო 1979 წელს, ეგვიპტესთან გაწყვეტილი ურთიერთობის შემდეგ გახდა არაბული ნაციონალიზმის ლიდერი და გრძელვადიანი სტრატეგიით შემუშავდა „დიდი სირიის“ შექმნის იდეა ლიბანის, იორდანისა და პალესტინადამასკოს ეგიდით; 1976 წელს სირიის ჯარები ლიბანში შე-

ვიდნენ, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 1990 წლამდე ამ ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო ომის მსვლელობაში.

ასადი, თავისი გეგმების განხორციელებისას, ეყრდნობოდა საბჭოთა კავშირის მხარდაჭერას, რომელთაგან იგი გრძელვადიან სტრატეგიულ ალიანში შევიდა.

პარალელურად, ჩამოყალიბდა სირია-ირანის ალიანსი, რომელიც ნაკარნახევი იყო არა რელიგიური სოლიდარობით, არამედ გეოპოლიტიკური მიზანშეწონილობის მოთხოვნებით. თეირანისათვის ეს იყო არაბულ სამყაროში ირანის გავლენის გავრცელების გარანტი და ლიბანში პროირანული ჰეზბოლას მოძრაობისთვის დასაყრდენის შექმნის შესაძლებლობა. ამრიგად, 1980 წლიდან სირია-ირანის ალიანსმა ორი ფლანგიდან მოიცვა მტრული ერაცი.

„ცივი ომის“ დროებითმა დასრულებამ, რაც დაკავშირებული იყო საბჭოთა კავშირის დაშლასთან და ერთპოლუსიანი, ამერიკული პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო სისტემის ჩამოყალიბების მცდელობასთან, მნიშვნელოვანი კორექტირება მოახდინა ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ პროცესებზე.

ზ. ბუეზინსკი წიგნში „დიდი საჭადრაკო დაფა“ ახლო აღმოსავლეთს მოიაზრებდა დიდ რეგიონად, ცენტრალურ აზიასთან და კავკასიასთან ერთად, სახელწოდებით „ევრაზიული ბალკანეთი“, ალფრედ მაკინდერის კლასიკური გეოპოლიტიკური სქემის გადასინჯვით გეოპოლიტიკოსი ამ რეგიონს ევრაზიაზე კონტროლის გასაღებად და აღმოსავლეთისა და სპარსეთის ყურის ქვეყნებში სტაბილურობის შენარჩუნების მთავარ ფაქტორად მიიჩნევდა. შესაბამისად, ვაშინგტონის მხარდამჭერი პოლიტიკოსები ფიქრობდნენ, რომ ამერიკული ძალის მიერ ახლო აღმოსავლეთის გაკონტროლება შესაძლებელს გახდიდა ევროპის დაშორებას აფრიკისა-

გან, შეასუსტებდა რუსეთის წვდომას სპარსეთის ყურესა და ინდოეთის ოკეანეში, ასევე ჩინეთის ყოფნას აფრიკის არეალში.³²

ერთპოლუსიანი სისტემის ეტაპზე (1900-2003 წწ.) ვაშინგტონმა აირჩია ახლო აღმოსავლეთის პროექტებში სირიის ჩართვის ტაქტიკა და მთავარი მომენტი იყო სპარსეთის ყურის პირველი ომი 1990-1991 წლებში, როდესაც შეიქმნა ანტიეროვნული კოალიცია და მასში მონაწილეობდნენ სირიის შეიარაღებული ძალები.

პოლიტიკური და სამხედრო კონფლიქტები ადამიანური ცხოვრების მუდმივად თანმდევი მოვლენაა, რომელიც შემდეგ დამახასიათებელ ფაქტად იქცა ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და იმპერიებისათვის, მით უმეტეს, ამაში დიდი როლი ითამაშა პირადი და კერძო საკუთრების ფენომენმა. არსებობს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო, კულტურული, ფსიქოლოგიური და სხვა კონფლიქტები, მათ შორის განსაკუთრებულია, პოლიტიკური კონფლიქტი, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკურ ინტერესებთან და მიზნებთან.³³

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიოში დაფიქსირდა 1000-ზე მეტი პოლიტიკური კონფლიქტი, მათ შორის 400-ზე მეტი იყო სამხედრო; ყველაზე დიდ და ხანგრძლივ პოლიტიკურ-სამხედრო კონფლიქტად, თავისი მასშტაბებით

³² ზ. ბუქინსკი „დიდი საჭადრაკო დაფა: ამერიკის ბატონობა და მისი გეოსტრატეგიული იმპერატივები“, თბილისი: არტანუჯი, 2014 უ.

³³ В. И. Иванова, Ю. Б. Киняшева, „Конструктивный потенциал политических конфликтов в современной России“// Известия тульского государственного университета. 2015. №1, с. 66-72. Аземкулова А. Ш., Политический конфликт – к вопросу о понятии и сущности//Наука. Новые технологии и инновации. 2014. №3. С.213-215.

და შედეგებით, მიჩნეულია 1939-1945 წლებში განვითარებული მეორე მსოფლიო ომი.³⁴

პოლიტიკური კონფლიქტები უშუალოდ უკავშირდება სამხედრო გამოვლინებებს და ამ მხრივ იგი საბოლოოდ წყვეტს შედეგებს, ანუ აგვარებს პრობლემებს და საუკეთესო შემთხვევაში ქმნის მხოლოდ წინაპირობებს მათ მოსაგვარებლად.

2011 წელს დაწყებული საშინაო შეიარაღებული კონფლიქტები დამასკოსათვის მასტიმულირებელ ძალად იქცა ისეთი ახალი რეფორმებისა, როგორც იყო: „კანონი პარტიების შესახებ“ და ახალი კონსტიტუციის მიღება, მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ უთანხმოებები მეტისმეტად ხისტი ხასიათის იყო, თავი იჩინა ოპოზიციასთან წინააღმდეგობებისა და დაპირისპირებების ზრდამ. დამასკოში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ არც დასავლეთი და არც რეგიონის ზოგიერთი სხვა ქვეყანა, რომლებიც უპირობოდ ბ. ასადის ხელისუფლებიდან წასვლის მომხრეები იყვნენ, არ იყო მოწოდებული იმისკენ, რომ რაიმე ცვლილებები დადებითად აღექვათ.

ასე რომ, რეფორმების გატარების აზრსაც ვერ ხედავდნენ და თვლიდნენ, რომ ამით მხოლოდ საკუთარი სახელმწიფოებრიობის დასუსტებას მიიღებდნენ შედეგად. ასეთ ვითარებაში რუსეთი ურჩევდა ბ. ასადს დემოკრატიული ნაბიჯები გადაედგა ოპოზიციისაკენ, მაგრამ არ ითხოვდა კარდინალური ზომების მიღებას. კონფლიქტში ჩართული რუსეთი მხარს უჭერდა სიიის სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას

³⁴ П.А. Лукьяненко, „Несилевые саособы урегулирования военно-политических конфликтов“ //Международная научно-практическая конференция, посвященная 50-летию юбилею кафедры Социальных наук и государственного управления МНОУ. Ответственный редактор Г. И. Пищеров. 2015. с. 278.

კონსტიტუციური ცვლილებებით, თუმცა სირიის ხელმძღვანელობას არ აძლევდა რეფორმების ჩატარების სტიმულს, რომლებიც სახელმწიფოებრიობის სიმყიფის ფონზე სირიისთვის შეიძლებოდა დამანგრეველი ყოფილიყო.

დასავლეთმა თანადგომა გამოუცხადა სირიის პოლიტიკურ და შეიარაღებულ ოპოზიციას, შეჩერდა დიპლომატიური კავშირები აშშ-ის, საფრანგეთის, ინგლისის, კატარის სახელმწიფოებთან; დაიწყო ასადის რეჟიმის პოლიტიკური და სამხედრო ოპერაცია.

სირიაში 2011 წლის 15 მარტს საპროტესტო აქციებით განვითარდა არეულობა, რომლებიც აპრილისათვის უკვე მთელი ქვეყანა მოიცვა. ეს აქციები იყო იმ ფართო ახლოაღმოსავლური საპროტესტო მოძრაობის ნაწილი, რომელიც „არაბული გაზაფხულის“ სახელითაა ცნობილი. აქციის მონაწილეთა მოთხოვნა პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის გადადგომა და 1963 წლიდან დაწყებული ბაასის პარტიის მმართველობის დასრულება იყო.

2011 წლის აპრილში სირიის არმიის მიერ აქციის მონაწილეებისათვის ცეცხლის გახსნისა და მთელი ქვეყნის მასშტაბით რამდენიმეთვიანი სამხედრო დაპირისპირების შემდეგ, პროტესტი იმდენად გამძაფრდა, რომ შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა.³⁵

მოვლენების ანალიზი ცხადყოფდა, რომ კრიზისი სირიაში დიდი ხნის განმავლობაში იგეგმებოდა; ბაშარ ალ-ასადის არასწორმა ეკონომიკურმა გათვლებმა, ავტორიტარულმა რეჟიმმა, ხელისუფლების ყველა დონეზე კორუფციამ და მთავრობაში მხოლოდ ალავიტების არსებობამ გამოიწ-

³⁵ როგორ დაიწყო ომი სირიაში და ვინ ვის ებრძვის. <https://imedineews.ge/theme/232/rogor-daitsko-omi-siriashi-da-vin-vis-ebrdzvis> (15.05.2024)

ვია მოსახლეობის უკმაყოფილება. თუმცა ასეთ ვითარებაში ბაშარ ალ-ასადის მთავრობა, სიტუაციის სტაბილიზაციის მიზნით, დათმობაზე წავიდა დემონსტრანტებთან. ეს ფაქტი ცხადყოფდა, რომ ბ. ასადი აღიარებდა და მზად იყო გამოეწეოდა წორებინა პოლიტიკური შეცდომები, თუმცა ეს ყველა პოლიტიკურ ლიდერს არ ძალუძდა. მიუხედავად იმისა, რომ აქციის მონაწილეთა მოთხოვნების უმეტესობა დაკმაყოფილდა, არეულობები არ შეწყვეტილა. ოპოზიციამ წარმოაყენა ახალი ლოზუნგები და მოთხოვნები, რაც ძირითადად ბ. ასადის ხელისუფლებიდან ჩამოშორებას და, „ფაქტობრივად, სირიის ყოფილი ლიდერის ბედის გაზიარებას - „სიკვდილით დასჯას“ ეხებოდა.

ასეთ ვითარებაში ბ. ასადმა დაიწყო შეიარაღებული და პოლიტიკური ბრძოლა შიდა და გარეშე მტრული ძალების მიმართ; ეს იყო:

1. სირიის პოლიტიკური და სამხედრო ოპოზიცია;
2. ქურთების სახელმწიფოს შექმნის მომხრე პოლიტიკური და სამხედრო ძალები;
3. ტერორისტული ორგანიზაცია - „ისლამური სახელმწიფო“, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა მსოფლიო ხალიფატზე და ოფიციალურად იყო აკრძალული რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე და მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში;
4. სირიის მიმართ მტრულად განწყობილი უცხო ქვეყნების შეიარაღებული ძალები - თურქეთი, ისრაელი, საუდის არაბეთი, კატარი;
5. სირიის მოწინააღმდეგე ქვეყნები (აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი);

სამთავრობო ძალები და სირიის ოპოზიციის გაერთიანება, ტერორიზმის წინააღმდეგ, აშშ-ის ხელისუფლება აგრძელებდა მასზე დაქვემდებარებული „ზომიერთა“ შეიარაღებული დაჯგუფების შექმნას, რომლის პროგრამას „ასწავლე და შეიარაღე“ ეწოდა.

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებდა 2300 მეგრძოლის სრულყოფილ მომზადებას - იარაღის მიწოდებას, წრთვას, სადაზვერვო მონაცემების გადაცემას, რომლებსაც უნდა შეესრულებინათ აშშ-ის ხელისუფლების მოთხოვნები და არ უნდა ყოფილიყვნენ „მტკიცე ისლამისტები“.

პროგრამა მიზნად ისახავდა აშშ-ის მიერ სირიაში ახალი სამხედრო-პოლიტიკური ძალის შექმნას, რომელიც დაუპირისპირდებოდა სირიის რეჟიმს, დაამყარებდა ორხელისუფლებიანობას, რის შემდეგაც განხორციელდებოდა სამხედრო-პოლიტიკური აგრესია სირიის სახელმწიფოს მიმართ, საბოლოოდ კი მთლიანად დაექვემდებარებოდა აშშ-ის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო დიქტატს.

ცხადია, ვაშინგტონი მოკავშირეებს მიმართავდა მხარი დაეჭირათ აღნიშნული პროგრამისათვის, რომელიც ითვალისწინებდა ე.წ. ბრძოლას „ექსტრემიზმისა და ტირანის წინააღმდეგ“.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი სირიულ კონტექსტში იყო ტერორიზმთან ბრძოლის ამერიკული სტრატეგია, რაც გაერო-ს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებიდანაც მომდინარეობდა, თუმცა ვაშინგტონი ამ საკითხს უკავშირებდა მისთვის არასასურველი დიქტატორული რეჟიმების დამხობას; მით უმეტეს, ტერორიზმთან ბრძოლის პროცესში ამერიკელები არ თანამშრომლობდნენ სირიის ხელისუფლებასთან, რადგან მიიჩნევდნენ, რომ პრეზიდენტი ასადი იყო დიქტატორი.

ამერიკის პოლიტიკურ წრეებში მიღებული პოლიტოლოგი ფ. ფუკუიამა თავის სტატიაში პირდაპირ აცხადებდა: „ჩვენ ვერ ვხედავთ ისლამური სახელმწიფოს სრული განადგურების აუცილებლობას, თუკი ეს ყოველივე ხელს შეუწყობს ბ. ასადს, ალადგინოს სრული კონტროლი სირიის მთელ ტერიტორიაზე“.⁷²

საკუთარი პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად, აშშ-ს არ სურდა თანამშრომლობა რეგიონალურ ლიდერ სახელმწიფო ირანთანაც. შესაბამისად, ისინი 2014 წლის სექტემბერში პარიზში გამართულ კონფერენციაზეც არ მიიწვიეს, სადაც იხილებოდა რეგიონში მშვიდობისა და უშიშროების საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხები, მით უმეტეს, ტერორისტული დაჯგუფება აცხადებდა, რომ ერაყისა და სირიის ტერიტორიებზე იქმნებოდა ისლამური ხალიფატი, რომლის დედაქალაქად მოიაზრებოდა რაქა (სირიის ქალაქი). ფაქტობრივად, ასადის რეჟიმის დამხობა სირიაში ნიშნავდა გამარჯვებას რეგიონში.

სირიის და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების კონფლიქტების კვლევა გვიჩვენებს, რომ პოლიტიკურ კონფიგურაციას განაპირობებდნენ რეგიონის შიგნით და გარეთ არსებული ძლიერი ქვეყნები, რომელთაც განსხვავებული მიზნები ამოძრავებდათ რეგიონთან მიმართებაში - ირანი, საუდის არაბეთი, თურქეთი, აშშ, რუსეთი, ევროპული და სხვა ქვეყნები, რომელთა ბრძოლა განსაკუთრებით გამოიკვეთა „არა-

⁷² Р.Мамедов, Фрэнсис Фукуяма впервые в Ираке: разговор о либеральной демократии.

<https://russiancouncil.ru/analytics-and-comments/columns/ruslan-mamedov/frensis-fukuyama-vpervye-v-irake-razgovor-o-liberalnoy-demokratii/> (24.05.2024)

ბული გაზაფხულის“ სახელით ცნობილ მოვლენებში და ორ ძირითად ცენტრად ჩამოყალიბდა:

1. საუდის არაბეთი და მისი მომხრეები;
2. შიიტური და პროირანული ძალები.

ირანს, როგორც ბაშარ ასადის რეჟიმის მომხრეს საკმაოდ ძლიერი პოზიციები ეჭირა და მთავარ ინტერესად სირიაში ასადის რეჟიმის შენარჩუნებას უჭერდა მხარს. აქ გამოკვეთილი იყო აშშ-ის პრიორიტეტულობა ირანის ინტერესების წინააღმდეგ ბრძოლაში, მით უმეტეს, ვაშინგტონის ირანთან ურთიერთობის დაძაბვის უმთავრესი მიზეზი ირანის ბირთვული პროგრამა იყო.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის აქტიურობით შეიქმნა სირიის მხარდამჭერთა საერთაშორისო ჯგუფი, ხოლო რუსეთი აშშ-ის მიერ ამ ჯგუფის თანათავმჯდომარედ (აშშ-სთან ერთად) იქნა მიწვეული, ჯგუფის წევრებად კი მიწვეულნი იყვნენ რეგიონის ქვეყნები (თითქმის ყველა). რუსეთის თანათავმჯდომარეობის იდეა ამერიკული მხარეს ეკუთვნოდა და მოაზრებული იყო იმისათვის, რომ რუსეთი პოლიტიკური ხაზით ყოფილიყო მიბმული, ვინაიდან ის სამხედრო ოპერაციებს სირიის მმართველი რეჟიმის პირდაპირი თხოვნით ახორციელებდა და არა გაეროს მოწვევით.

გარკვეული დადებითი მომენტების მიუხედავად, რუსეთ-აშშ-ის თანამშრომლობაში მთელი რიგი წინააღმდეგობებიც არსებობდა, რომელთაგან ერთ-ერთი მთავარი ვაშინგტონის ხელმძღვანელობის ძირითად წარმომადგენელთა ანტირუსული განწყობილებები და ბ. ობამას ადმინისტრაციაში რუსოფობიის გამოვლინებები იყო, რაც აშშ-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად იყო ქცეული. თუ, მაგალითად, ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯ. კერი ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში რუსეთთან თანამშრომ-

ლობის მომხრე იყო, აშშ-ის ყოფილი თავდაცვის მინისტრის, ე. კარტერის მიერ გამუდმებით ჰქონდა ადგილი რუსულ-ამერიკული შეთანხმებების სხვადასხვა გზებით ბლოკირების მცდელობებს.

რუსულ-ამერიკული თანამშრომლობამ გააჩინა პასუხისმგებლობის ზონებად დაყოფის შესაძლებლობები ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ეფექტური საბრძოლო მოქმედებებისათვის. ასეთმა კოორდინირებულმა თანამშრომლობამ მდ. ევფრატის ორივე ნაპირზე ტერორისტების სრულ განადგურებამდე გასტანა. რუსი და ამერიკელი სამხედრო ექსპერტების აღიარებით, მხარეებს (რუსეთსა და აშშ-ს) შორის სერიოზული პოლიტიკური წინააღმდეგობების არსებობის მიუხედავად, ამ „დეკონფლიქტინგმა“ საკმაოდ პროფესიონალური და პატრიოტული ხასიათი შეიძინა. მოსკოვისა და ვაშინგტონის ერთობლივი ძალისხმევით, უშიშროების ზომების მისაღებად, შეიქმნა ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლის სტაბილური სისტემა, რამაც ხელი შეუწყო ანტი-ტერორისტულ მოქმედებების განხორციელებას.

ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ აშშ-რუსეთის კოორდინაციით მკაფიოდ წარმოჩინდა, რომ ამ ორი დიდი სახელმწიფოს თანამშრომლობა, „ორმხრივი თანამშრომლობის უარყოფითი დინამიკის“ მიუხედავად, არამხოლოდ შესაძლებელი, არამედ სავსებით პროდუქტიულიც კი აღმოჩნდა. მოსკოვს და ვაშინგტონს შეეძლოთ შეექმნათ საერთაშორისო თანამშრომლობის მთელი სისტემა.

ანალიტიკოსები, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები და მებრძოლი მხარეები. ვარაუდობდნენ, რომ აღნიშნული პროცესები ტუნისის, ეგვიპტის და ლიბიის სცენარების ან იმ მოვლენების იდენტური იქნებოდა, რომლებიც სხვა არაბულ სახელმწიფოებში განვითარ-

და ე.წ. „არაბული გაზაფხულის“ შედეგად. თუმცა რეჟიმის ცვლილების კურსის მხარდამჭერთა იმედგაცრუების თვალსაზრისით, სირიის კონფლიქტი იმაზე გაცილებით მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ ასადის ძალაუფლებიდან ჩამოშორება. იგი წარმოადგენდა განგრძობით და გამალებულ დაპირისპირებას მსოფლოს გადანაწილებისათვის.

საერთოდ, პოლიტიკური პროცესების გადაწყვეტა ურთულეს პრობლემებთან არის დაკავშირებული მრავალპოლუსიანი წესრიგის მქონე მსოფლიოში, მით უმეტეს, სირიაში ერთმანეთს ეჯახებოდა სხვადასხვა წესრიგების მატარებელი სახელმწიფოები. აშშ და მისი მხარდამჭერები ცდილობდნენ სირიაში გამოეცადათ ლიბიური მოდელი, რაც ითვალისწინებდა არსებული, მაგრამ მიუღებელი სახელმწიფოს ხელისუფლების წინააღმდეგ ყველა ბერკეტის ამოქმედებას (ცივი ომი, რბილი ძალა, იდეოლოგია, ეკონომიკა, დიპლომატია, საზოგადოებრივი აზრი, სამხედრო, დაზვერვა, სახელმწიფო გადატრიალება მშვიდობიანი ან შეიარაღებული გზით და ა.შ.).

სირიული პრობლემის მრავალმხრივ კვლევას მიყვავართ იმ აზრამდე, რომ აშშ-ის პოლიტიკა არ ითვალისწინებდა მოცემულობის მშვიდობიან გადაწყვეტას დიალოგის და შეთანხმების გზით და აქ მთავარი იყო ქვეყნის სათავეში სასურველი ხელისუფლების მოსვლა, რომელიც სრულ თანხმობაში იქნებოდა ვაშინგტონის სტრატეგიულ მიზნებთან და ამოცანებთან.

ცხადია, აქ არც რუსეთი იყო „მფარველი ანგელოზი“ და მოსკოვსაც ასეთივე პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ზრახვებიც ამომრავებდა, მაგრამ სხვა „ტაქტიკური დიპლომატიით“.

საბჭოეთის დაშლის შემდეგ რუსეთმა რეგიონში დაკარგა გავლენები და ის აშშ-მა დაიკავა, მაგრამ 2015 წელს, მოსკოვის აქტიურმა სამხედრო ჩარევამ ასადის რეჟიმის სასარგებლოდ მას კვლავ დაუბრუნა ზოგიერთი სტრატეგიული ინტერესები ახლო აღმოსავლეთში და იგი საკმაოდ ანგარიშგასაწევ „მოთამაშედ“ იქცა.

თავის დროზე, ტრამპი ისრაელის სახელმწიფოს დიდ მხარდამჭერად მოევლინა, რომელმაც ისტორიაში პირველად, შეძლო ყველაზე დიდი პრობლემის - იერუსალიმის საკითხსათვის - დაესვა წერტილი, რის შედეგადაც 2017 წლის დეკემბერში იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად იქნა აღიარებული და უკვე 2018 წლის მაისში ამ ახლადგამოცხადებულ დედაქალაქში აშშ-ის საელჩოც გაიხსნა.

მანამდე, 1990 წლიდან აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი აღმოჩნდა ერაყის წინააღმდეგ მებრძოლი კოალიციური ძალები, რომლის შემადგენლობაში იყო სირიაც, რასაც ვაშინგტონთან და ეგვიპტესთან ურთიერთობის გაუმჯობესება მოჰყვა.

1991 წლიდან სირიასთან ურთიერთობა ახალი ნიშნულებით განაახლა რუსეთის პოსტსაბჭოურმა სახელმწიფომ, რომელსაც იგი სჭირდებოდა, როგორც თავისი სამხედრო მოკავშირე ახლო აღმოსავლეთში.

ამერიკული დომინირების შედარებით შესუსტების მიზეზები ახლო აღმოსავლეთში რუსეთისა და ჩინეთის გაძლიერებას უკავშირდებოდა. ამ მხრივ, საინტერესოა ჯერ კიდევ არნ. ტონის (1889-1975 წწ.) ჩამოყალიბებული კლასიკური თეორია (რომელსაც კენედიც იზიარებდა) იმის შესახებ, რომ დიდი ძალების არათანაზომიერი, ზედმეტად გადაძაბვა კრახთან არის დაკავშირებული, რადგან პოლიტიკური სისტემის ეკონომიკას და სამხედრო მანქანას, სხვადასხვა

წერტილში, ერთდროულად წარმოქმნილი გამოწვევების გამკლავება აღარ შეეძლო. ხდებოდა რესურსების არარაციონალური გადანაწილება, რაც მთავარია, ქვეყანა იდეოლოგიურად იყო გამოფიტული და მოსახლეობა ვეღარ ხვდებოდა რატომ უნდა ეომათ ათასობით კილომეტრით დაშორებულ ქვეყნებში და ამის თვალსაჩინო მაგალითი იყო უკრაინა, სადაც ასეულობით მილიონი დოლარი იხარჯებოდა. მსგავს მდგომარეობაში იყო, თავის დროზე, ავღანეთში მეზრძოლი საბჭოთა კავშირიც, როდესაც სხვა მიზეზებთან ერთად დაჩქარდა საბჭოეთის სისტემის დაშლა.

თურქეთი თავისი ქვეყნის ინტერესებს აყენებდა ყველა დანარჩენზე წინ და წარმატებითაც ახორციელებდა ამ პოლიტიკას. ეს განსაკუთრებით გამოიხატა რუსეთ-უკრაინის ომის დროს, როდესაც ის არ შეუერთდა აშშ-ის ინიციატივით რუსეთის წინააღმდეგ დაწყებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სანქციებს და 2022 წლის პერიოდში და შემდეგ თითქმის 200 პროცენტით გაიზარდა ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობა თურქეთსა და რუსეთს შორის.

2.4 რუსეთის როლი სირიის კონფლიქტის დარეგულირებაში

მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვებული აღმოჩნდნენ: საბჭოთა კავშირი და აშშ. ჩამოყალიბდა ორი ბანაკი - სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემები, რომელთა დაპირისპირება „ცივ ომში“ გადაიზარდა.

საბჭოთა კავშირმა თავის გავლენას დაუქვემდებარა აღმოსავლეთ ევროპის ცალკეული ქვეყნები, კორეისა და ვიეტნამის კომუნისტური რესპუბლიკები, მონგოლთა სახალ-

ხო რესპუბლიკა, საბჭოთა კავშირის მეგობრული სახელმწიფო გახდა ჩინეთი; საბჭოთა კავშირის მხარეს დადგნენ: ირანი, ერაყი, სირია, ეგვიპტე, თუმცა ანგლოსაქსურ გაერთიანებას მიემხრნენ: ისრაელი, იორდანია, საუდის არაბეთი, კუვეითი. 90-იანი წლების დასაწყისში, შიდაპოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში მყოფი რუსეთი ბალკანეთის მოლაპარაკებების პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენდა.

მიუხედავად ამისა, სწორედ იმ პერიოდში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი განსხვავებები რუსულ და დასავლურ მიდგომებში მოლაპარაკებების პროცესისა და კონფლიქტების მოგვარების მიმართ. რუსეთი მოლაპარაკების პროცესს მართავდა კონფლიქტის ყველა მხარესთან და დაჟინებით მოითხოვდა პირდაპირ და ღია დიალოგს (2012 წელს ირანთან დაკავშირებული მოლაპარაკებების პროცესი 5+1 ფორმატში).⁷³

აშშ თანამედროვე კონფლიქტების მოგვარების პროცესის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე იყო, მაგრამ მეტწილად ამჯობინებდა კონფლიქტებში უშუალო სამხედრო ჩარევას და მოლაპარაკებების პროცესში ულტიმატუმის პირდაპირ კარნახს.

პოლიცენტრული მსოფლიო წესრიგისთვის და ყველა ქვეყნისთვის თანაბარი და განუყოფელი უსაფრთხოების მისაღწევად რუსეთს საკუთარი გზა ჰქონდა არჩეული.

აშშ-სა და რუსეთს შორის განსხვავებული მოსაზრებები არსებობდა სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის როლთან დაკავშირებით და ამ შემთხვევაში ამერიკული მიდგომა უაღრესად მკაცრი იყო.

⁷³ Дмитрий Тренин, Россия и кризис в Сирии <https://carnegieendowment.org/research/2013/02/the-mythical-alliance-russias-syria-policy?lang=ru¢er=russia-eurasia>

მსოფლიოს და, კერძოდ, ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურ განზომილებაში სირიაში განვითარებული მოვლენები გამოიკვეთა, რომელიც გარედან ორგანიზებულ ანტისამთავრობო დემონსტრაციებად იქცა და „არაბული გაზაფხულის“ გაგრძელება იყო, რადგან სწორედ სირიაში მიიღო მან სრულმასშტაბიანი სამოქალაქო ომის ხასიათი, ევროპის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე იქონია სერიოზული გავლენა და დაბრკოლება გახდა მსოფლიოს ყველა განვითარებული ქვეყნისათვის.

სირიაში არსებობდა ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობა, რომელიც შეიარაღებულ ძალებს და სპეცსამსახურებს ეყრდნობოდა.

2012 წელს დაწყებული რუსეთ-სირიის ურთიერთობები აქტიურ ფაზაში გადავიდა და სირიას დიდძალი სხვადასხვა სახის იარაღი მიეწოდა. საზღვაო გზების პარალელურად რუსეთი სირიის მომარაგებას სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებითაც ახორციელებდა.

თუ წარმოვიდგენთ რუსეთ-სირიის ურთიერთობების ისტორიულ პერიოდიზაციას, მათი დაახლოება ძირითადად XX საუკუნიდან იწყება, როდესაც ჯერ საბჭოთა კავშირის და შემდეგ რუსეთის სახელმწიფოს ფუნქციონირების პერიოდში აღნიშნული ქვეყნები აქტიურად მოქმედებდნენ აშშ-ისა და მის მოკავშირეთა წინააღმდეგ.

სირიის პრობლემა გახდა მრავალპოლარული მსოფლიოს ფორმირების სარკე, რომელშიც გამოიკვეთა რუსეთის ახალი როლი, მეორე მხრივ წარმოიშვა მსოფლიო საქმეებში ნდობის კრიზისი, რომელიც გამომდინარეობდა აშშ-ისა და მისი მხარდამჭერებისაგან ერთპოლუსიანი მსოფლიო მოწყობის სისტემის შენარჩუნების მიზნით.

საბჭოთა კავშირის და მსოფლიო სოციალისტური ბანაკის დაშლამ გამოიწვია საერთაშორისო ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულობების, ნარკოტიკებისა და იარაღის ბიზნესის გაფართოება, ეთნოპოლიტიკური და კონფესიონალური კრიზისების გაძლიერება. მსოფლიოს დიდი, მაგრამ დაპირისპირებული ქვეყნები - აშშ და რუსეთი - ვერ აღმოჩნდნენ მზად ურთიერთმისაღები სტრატეგიები შეემუშავებინათ.

2015 წლის 30 სექტემბერს რუსეთმა სამხედრო კოსმოსური ძალების ოპერაცია დაიწყო სირიაში, რაც კონფლიქტის ახალი განმსაზღვრელ მომენტად იქცა და როგორც კრიზისის სამხედრო, ასევე პოლიტიკურ პროცესებზე აისახა.

რუსეთისა და პროირანულმა სამხედრო დაჯგუფებებმა სირიის სამთავრობო ძალებთან ერთად შეძლეს ფართო ტერიტორიების დაკავება და მათზე კონტროლი დააწესეს.

ვაშინგტონმა მისი გადაწყვეტა ვერ შეძლო, ვინაიდან, თუ რუსეთისთვის საკუთარი გეგმების განხორციელებისათვის საკმარისი იყო მხოლოდ სირიის თანხმობა, აშშ-ს იგი უნდა შეეთანხმებინა იქ მოქმედ ყველა სამხედრო დაჯგუფებასთან, რომლებსაც, რეგიონის სხვა ქვეყნების სახით, საკუთარი დამფინანსებლები ჰყავდათ. ყველაზე ძლიერი დაჯგუფებები თურქეთის მიერ კონტროლირდებოდა. ამიტომ შტატების მიერ შეთანხმება ვერ განხორციელდა.

ამ პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონის ქვეყნებს გაეზარდათ დამოუკიდებლად მანევრირების უფლება, კონფლიქტების დარეგულირების მთავარი განმსაზღვრელები იყვნენ რუსეთი და აშშ.

ერთ საკითხში რუსეთს უწევდა ვაშინგტონთან შეთანხმების დარღვევაზე წასვლა, მეორეში - სეპარატისტული მოლაპარაკებების წარმოება დაინტერესებულ მხარეებთან. ამის

მაგალითი იყო აშშ-ის გარეშე 2016 წლის ნოემბერში რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკება აღმოსავლეთ ალექსის საკითხის მოსაწესრიგებლად; მესამე საკითხი იყო მრავალმხრივ დიპლომატიკაში ჩართვა გლობალურ მხარეთა და რეგიონის ქვეყნების მონაწილეობით.

ასეთ ვითარებაში სირიის კონფლიქტი გახდა ის ადგილი, რომელიც რეალურ ომად გადაიქცა აშშ-ის, რუსეთის და მათი მოკავშირეების მონაწილეობით, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ უნდა დაეცვათ ე.წ. საკუთარი „კანონიერი“ ინტერესები და შეენარჩუნებინათ მსოფლიო „არბიტრის“ სტატუსი ახლო აღმოსავლეთის, ბალკანეთის, სამხრეთ კავკასიისა და სხვა რეგიონების მიმართ.

2015 წელს რუსეთის ინიციატივით მოხდა სამშვიდობო მოლაპარაკებების ფორმატის შექმნა ჟენევაში, რომელიც რამდენიმე ეტაპად გაიმართა; პარალელურად მოსკოვის წინადადებით, ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში რუსეთს, თურქეთს, ყაზახეთს, ირანსა და სირიას შორის დაიწყო დიალოგი ცეცხლის შეწყვეტის და ტერორიზმთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

ჟენევაში სირიის კონფლიქტის მოგვარების რამდენიმე რაუნდთან შეხვედრა უნაყოფო გამოდგა, მით უმეტეს, საუბრის არაბეთის დედაქალაქში გამართულ კონფერენციაში 150-მდე სირიელმა ოპოზიციონერმა მიიღო მონაწილეობა. ამ შეხვედრის შედეგად კი ჩამოყალიბდა უმაღლესი მოლაპარაკებების კომიტეტის (HCP) ახალი შემადგენლობა, შეიმუშავა განცხადების ტექსტი და გაერო-ს მოუწოდა, დაეწყო პირდაპირი მოლაპარაკებები სირიის პრეზიდენტის თანამდებობის დატოვების შესახებ.

ამ ფაქტმა წინასწარ განსაზღვრა 2017 წლის დეკემბერში გამართული ჟენევის შეხვედრის უშედეგობა, რაც გამოიხ-

ატა სირიის პრეზიდენტის წარმომადგენლის მიერ ფორმატის დატოვებაში.

ასეთ ვითარებაში რუსეთის დიპლომატიამ 2017 წლის დეკემბერში გაააქტიურა ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში მიმდინარე შეხვედრები რუსეთის, ირანის და თურქეთის მონაწილეობით, რომელთა თანხმობით მიღებულ იქნა კიდევაც ოფიციალური დოკუმენტები, რომლებშიც დადასტურებული იყო დადებითი დამოკიდებულება სირიის არაბთა რესპუბლიკის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ; აღინიშნებოდა კმაყოფილება სირიის არაბთა რესპუბლიკაში დეესკალაციის ზონების შექმნის შესახებ 2017 წლის 4 მაისის მემორანდუმის განხორციელებით;

2017 წლისათვის დაიწყო სირიის კონფლიქტის მოგვარების პროცესი. ამ დროისთვის გეოპოლიტიკური კონფრონტაცია (აშშ-ისა და რუსეთის გარდა) კონფლიქტის ყველა ძირითად პროცესსა და რეგიონის რიგი ქვეყნების ნაწილობრივ, სხვადასხვა ბლოკების სახით (რეჟიმის მხარდამჭერები, რეჟიმის მოწინააღმდეგეები) გაერთიანებებში, გამოვლინდა; გაჩნდა კრიზისში გამავალი „დროებითი ძაფები“, რომლებიც მას არასიმეტრიულ ხასიათს სძენდნენ.

ყოველივე ეს სირიის კრიზისში ქმნიდა მყიფე და არამდგარ სიტუაციებს.

რუსეთში ფიქრობდნენ, რომ სირიის კრიზისის გადასაწყვეტად საჭირო იყო საერთაშორისო ნაბიჯების აუცილებლობა. 2254 რეზოლუციის დებულებების შესაბამისად, სირიის კონსტიტუციის გათვალისწინებით, რომელსაც მხარს დაუჭერდნენ სირიელი ხალხები, ჩატარდებოდა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ყველა უფლებამოსილი

სირიელის მონაწილეობით გაეროს შესაბამისი ზედამხედველობის ქვეშ.

ასტანაში გამართულ ფორუმზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სირიის ეროვნული დიალოგის კონგრესის მომზადებას, რომელიც 2018 წლის 29-30 იანვარს სოჭში იყო დაგეგმილი. მხარეებმა მომავალი კონგრესი განიხილეს, როგორც ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავდა ბიძგის მიცემას ჟენევაში გაერო-ს ეგიდით მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესისათვის და ხელს შეუწყობდა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე სირიულ შეთანხმებების მიღწევას.

2018 წლის 30-31 იანვარს სოჭში გაიმართა სირიის ეროვნული დიალოგის კონგრესი, სირიაში გაერო-ს სპეციალური წარმომადგენლის, სტეფან დე მისტურას მონაწილეობით, რომლის ინიციატორი იყო კონგრესის სამი გარანტორი ქვეყანა - რუსეთი, ირანი და თურქეთი. კონგრესზე მოწვეულნი იყვნენ გაეროს უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივი წევრი. რუსეთის რიგი რეგიონული და საერთაშორისო პარტნიორობის წარმომადგენლები.

სოჭის კონგრესის მთავარი თემა სირიაში საკონსტიტუციო რეფორმის განხორციელება უნდა ყოფილიყო. გაეროს გენერალური მდივანი აცხადებდა, რომ სამშვიდობო პროცესის მნიშვნელოვან ეტაპზე იდგნენ. ანტონიო გუტერეშის თქმით, გაეროს ყოფნა სოჭში ეფუძნებოდა „გაეროსა და რუსეთის ფედერაციას შორის მიღწეულ გაგებას, ამ შეხვედრის ბუნებასა და შედეგებთან დაკავშირებით და მის წვლილს ჟენევის პროცესში. ყრილობა დასრულდა იმ განცხადებით, რომელიც სრულად შეესაბამება ჩვენს საერთო გაგებას“ - აღნიშნავდა ა. გუტერეში.

სოჭის საბოლოო განცხადებაში ფიქსირდებოდა:

1. სირიის არაბთა რესპუბლიკის/სირიის სახელმწიფოს სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა და ერთიანობა;
2. სირიის ხალხის მიერ სირიის მომავლის განსაზღვრის აუცილებლობა დემოკრატიული არჩევნების გზით, გარე ზეწოლისა და ჩარევის გარეშე, სირიის საერთაშორისო უფლებების და ვალდებულებების შესაბამისად;
3. სირიის, როგორც დემოკრატიული და არაფრაქციული სახელმწიფოს აშენების სურვილი, პოლიტიკური პლურალიზმისა და თანაბარი მოქალაქეობის პრინციპებზე, განურჩევლად რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობისა და სქესის, კანონის უზენაესობის სრული პატივისცემისა და დაცვის, ხელისუფლების დანაწილების, დამოუკიდებლობის პრინციპებზე. სასამართლო სისტემა, ყველა მოქალაქის სრული თანასწორობა, სირიის საზოგადოების კულტურული მრავალფეროვნება;
4. აქტიური ბრძოლა ტერორიზმის, ფანატიზმის, ექსტრემიზმის, რელიგიათმორისი დაპირისპირების წინააღმდეგ ყველა გამოვლინებით.

დოკუმენტში ასევე ნათქვამი იყო, რომ სირიის საკონსტიტუციო კომისია ჩამოყალიბდებოდა გაერო-ს ეგიდით და 2254 რეზოლუციის შესაბამისად. კომიტეტში უნდა შესულიყვნენ ჟენევის შიდასირიულ მოლაპარაკებებში მონაწილე ხელისუფლებისა და ოპოზიციის, სირიელი ექსპერტების, წარმომადგენლების, სამოქალაქო საზოგადოების, ეთნიკური და რელიგიური თემების, დამოუკიდებლების, ადგილობრივი ლიდერებისა და ძალების წარმომადგენლები. საბოლოო გადაწყვეტილება საკონსტიტუციო კომისიის წევრების მანდატის, მუშაობის რეჟიმის, უფლებამოსილების, რეგლამენტისა და შერჩევის კრიტერიუმების შესახებ ჟენევის პრო-

ცესით მიიღებოდა. ამ შეხვედრამ ხელი შეუწყო ყოვლისმომცველი ინტერსირიული დიალოგის განვითარებას გაერო-ს უშიშროების საბჭოს 2254 რეზოლუციის საფუძველზე. რუსული მხარე გამოთქვამდა რწმენას, რომ კონგრესის შედეგები დაეხმარებოდა გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს სირიაში, სრაფან დე მისტურას, გააქტიურდებოდა ჟენევის პროცესი საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ სირიის მთავრობის წარმომადგენლებთან და ფართო სპექტრთან ერთად.

30 იანვარს გავრცელდა სოჭში გამართული სირიის ეროვნული დიალოგის კონგრესის დასკვნითი განცხადება და იგი გაერო-ს უშიშროების საბჭოს ოფიციალურ დოკუმენტად გავრცელდა.

2018 წლის 17 იანვარს სტენფორდის უნივერსიტეტში, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის რ. ტილერსონის გამოსვლის გაანალიზებით, ირკვეოდა, რომ ამერიკის მთავრობა ძირითადად კვლავ ორიენტირებული იყო პრეზიდენტის ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლებიდან „ჩახსნაზე“ და ამერიკის განუსაზღვრელ სამხედრო ყოფნაზე სუვერენული სირიის ტერიტორიაზე. და შეერთებული შტატების ქმედებები უკავშირდებოდა ჩრდილოეთ სირიაში, ძირითადად ქურთებით დასახლებული „სასაზღვრო უსაფრთხოების ძალების“ შექმნას და იარაღის მიწოდებას სირიის დემოკრატიული ძალებისთვის. აშშ მხარს უჭერდა ალტერნატიული ხელისუფლების შექმნას სირიის ტერიტორიის დიდ ნაწილზე.

2018 წლის 22 იანვარს სირიის ეროვნული დიალოგის კონგრესის წინა დღეს, შეერთებულმა შტატებმა დაადანაშაულა მოსკოვი და დამასკო სირიის აღმოსავლეთ ღუტაში განხორციელებულ ქიმიურ თავდასხმაში, რისი ფაქტიც არ დადასტურდა. ამავდროულად, ამერიკული მხარის ინიციატი-

ვით, 20 და 24 იანვარს გაიმართა სატელეფონო საუბარი რუსეთს ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვსა და აშშ-ის სახელმწიფო მდივანს ტილერსონს შორის. განიხილეს ერთობლივი დღის წესრიგის საკითხების ფართო სპექტრი, მათ შორის, სირიის კრიზისი. მხარეები შეთანხმდნენ მჭიდრო კონტაქტზე სირიის მოგვარების საკითხზე. ლავროვი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ მხოლოდ თავად სირიელებს ჰქონდათ უფლება განესაზღვრათ თავიანთი ქვეყნის მომავალი.

საბოლოო მიზანი სირიის მოგვარების ფარგლებში - სირიის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, საკონსტიტუციო რეფორმა და ამ საფუძველზე თავისუფალი არჩევნების ჩატარება გაერო-ს ზედამხედველობით, როგორც ეს გათვალისწინებული იყო 2254 რეზოლუციით, მოითხოვდა შემდგომ სერიოზულ ძალისხმევას, როგორც სამხედრო თვალსაზრისით სიტუაციის სტაბილიზაციისთვის, ასევე დიპლომატიურ დონეზე. ამ მიზნის განხორციელება მოითხოვდა რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის საერთო მიდგომის შემუშავებას გარკვეული ტერორისტული ჯგუფების, პირველ რიგში, ჯაბჰათ ალ-ნუსრას წინააღმდეგ, რომელიც კონცენტრირებული იყო აღმოსავლეთ იდლიბში, რაც რეგულარულად ახდენდა სიტუაციის დესტაბილიზაციას.

ცხადია, სირიის გარანტორ ქვეყნებს შორის არსებობდა გარკვეული წინააღმდეგობები: კერძოდ, თურქეთის რესპუბლიკა ცდილობდა ქურთების პრობლემის მოგვარებას სირიის კონფლიქტის ფარგლებში. 2018 წლის 20 იანვარს თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა განაცხადა სირიის აფრინში ქურთების ფორმირებების წინააღმდეგ ოპერაციის „ზეთისხილის რტო“ დაწყების შესახებ;

თურქეთთან პარალალურად აქ მოქმედებდნენ „სირიის თავისუფალი არმიის“ ბოვეიკებიც.

დამასკო მკაცრად გამოხატა თურქეთის ქმედებებს აფრინში და აღნიშნავდა, რომ ის სირიის განუყოფელი ნაწილი იყო.

2018-2019 წლებში სირიასა და, ნაწილობრივ, ერაყში, განვითარებული მოვლენების ფონზე მსოფლიოში ნაწილობრივ შეიქმნა სირიის კონფლიქტის დასრულების ფაზაში შესვლისა და ბაშარ ასადის მიერ რუსეთის დახმარებით, პრეზიდენტობის შენარჩუნების შესაძლებლობის შთაბეჭდილება, თუმცა 2020 წლის დასაწყისში თურქეთის მიერ ე.წ. ბუფერულ ზონაში კონტროლის დამყარების მცდელობას ისევ მოჰყვადაპირისპირებები სირიასა და თურქეთს და რუსეთსა და თურქეთს შორის, რომელიც ახლო აღმოსავლეთის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის არ იყო მისაღები.

ხისტი მიმართულება ახასიათებდა დასავლეთს, რომელიც „ბლოკური დიპლომატიის“ პოზიციაზე იდგა, რუსეთის „იძულებითი“ შეჩერების ტაქტიკას აძლევდა უპირატესობას.

მკვლევარები განმარტავენ, რომ აშშ არ მიეკუთვნებოდა დიდი და ხანგრძლივი ომების მწარმოებელ სახელმწიფოს (რუსეთი, გერმანია), მას არ დაუწყია მსოფლიო ომები, მაგრამ ყოველთვის იღებდა მონაწილეობას პირდაპირი თუ არაპირდაპირი ნიშნულებით და ყოველთვის იღებდა სხვადასხვა სახის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სარგებელს (პირველი და მეორე მსოფლიო ომები, ახლოაღმოსავლური სამხედრო დაპირისპირებები და ომები, ევროპული, აზიური, კავკასიური და სხვა ომები).

რუსეთის შეიარაღებული ძალები სირიის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ სირიის საბრძოლო მოქმედებების დროს, რადგან მოსკოვს ამ სივრცეში არ გააჩნდა შესაბამისი

ინფრასტრუქტურა და მხოლოდ ტარტუსის საზღვაო ბაზას იყენებდნენ, განსაკუთრებულ საიდუმლო ვითარებაში და დროში.

რუსეთის მიერ სირიის საბრძოლო მოქმედებებში ჩართვის პერიოდში აქ უკვე მოქმედებდა საერთაშორისო კოალიცია აშშ-ის ხელმძღვანელობით, რომელმაც სამხედრო ოპერაციები 2012 წლის სექტემბერში დაიწყო, ბ. ობამას ადმინისტრაციის მიერ, უკრაინისა და, განსაკუთრებით, „ყირიმის მოვლენების“ გამო, აშკარა ანტირუსული პოლიტიკა ტარდებოდა. ამ მიზეზით, ვაშინგტონი თავს არიდებდა რუსეთის ფედერაციასთან სამხედრო-პოლიტიკურ თანამშრომლობას.

2015 წელს, რუსეთმა შეძლო ასადიის რეჟიმი გადაერჩინა და რეგიონში მნიშვნელოვან მოთამაშედ ქცეულიყო.

სირიისადმი პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერის სანაცვლოდ, რუსეთმა სამხედრო-საზღვაო ბაზის განსათავსებლად ხმელთაშუა ზღვაზე ნავსადგურის ნაწილი, სამხედრო-საჰაერო ბაზის დასაფუძნებლად კი ხმეიმის აეროდრომი მიიღო.

რუსეთი, რეგიონულ მთავრობებთან ურთიერთობის გაღრმავებით, ცდილობდა რეგიონში პოლიტიკური გავლენები მოეპოვებინა. გარდა სირიისა და ირანისა, იგი ისრაელსა და საუდის არაბეთთან დაახლოებითაც იყო დაინტერესებული. ამასთანავე, რუსეთმა ურთიერთობა აღადგინა თურქეთთან. ამ პროცესს მოჰყვა ახლო აღმოსავლეთში რუსეთისა და ირანის გავლენების გაძლიერება.

ვაშინგტონი დე-ფაქტოდ აღიარებდა რუსეთის სამხედრო კოსმოსური ძალების ოპერაციას სირიის ტერიტორიაზე, მაგრამ აყალიბებდა თეზას თანამედროვე მსოფლიოში ამერიკის ლიდერობის შესახებ და მის მიერ გამოწვევად იყო

აღქმულია სირიაში რუსული სამხედრო-კოსმოსური ძალების ოპერაცია.

ვამინგტონში შემუშავდა სტრატეგია რუსეთის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი საერთაშორისო ტერორიზმის მებრძოლად ცხადდებოდა სირიაში და ზესახელმწიფოების სამხედრო ბაზები წინააღმდეგობებს არ უქმნიდნენ ერთმანეთს.

„ისლამურ სახელმწიფოს“ წინააღმდეგ მებრძოლი ერაყი, რუსეთის სამხედრო ოპერაციას არ ეწინააღმდეგებოდა და საკუთარ საჰაერო სივრცეს უთმობდა საჰაერო ძალებს. ერაყის საინფორმაციო ცენტრი ითავსებდა სადაზვერვო ფუნქციებსაც, ისლამურ სახელმწიფოს სამხედრო ობიექტების შესახებ, რომლებიც შემდგომ რუსეთის თვითმფრინავების სამიზნედ იქცეოდა. ამ ცენტრის საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩართული ირანელებიც, თუმცა, ეს მიუღებელი აღმოჩნდა აშშ-ისა და თურქეთისათვის.

რუსეთის მხარდაჭერით სირიამ კონტროლის დაწესება დაიწყო ახალ ტერიტორიებზე და პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესების გააქტიურების (ვენა, ჟენევა, ნიუ-იორკი) და ორმხრივი მოლაპარაკებების გასამართად (რუსეთი-აშშ; რუსეთი-თურქეთი; რუსეთი-ერაყი და ა.შ.) რეალური პერსპექტივაც გაჩნდა.

ისახებოდა პერსპექტივა, რომ კონფლიქტის დარეგულირება მოხდებოდა დასავლეთის მონაწილეობის გარეშე, ამიტომ ვამინგტონი იძულებული გახდა გაეაქტიურებინა თავისი დამოკიდებულება სირიის საკითხებთან მიმართებაში.

2.5 რეგიონალური სახელმწიფოები და მათი პოლიტიკის მოტივაცია

ადრეულ საუკუნეებში რეგიონის მთავარ მოთამაშეებს სპარსეთი (ირანი) და თურქეთი (ოსმალეთი) მოგვიანებით ჩაენაცვლნენ დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, რუსეთის იმპერიები და სახელმწიფოები, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რეგიონში გააქტიურდნენ საბჭოთა კავშირის (ამჟამად, რუსეთი), აშშ, თურქეთი, ირანი და ისრაელი.

ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ პროცესებში აქტიური იყო ძლიერი გავლენიანი მოთამაშის - თურქეთის - პოზიცია, რომლის სტრატეგიულ მიზნებში შედიოდა რეგიონში გავლენების გაძლიერება, ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფა და, შესაბამისად, უპირისპირდებოდა ირანული და საუდის არაბეთის გავლენების განვრცობას.

„არაბული გაზაფხულის“ მოვლენების შემდეგ თურქეთი რეგიონში ზომიერი ისლამისტური პოლიტიკური ძალების გაძლიერების მომხრე იყო და სამოქალაქო ომში ზომიერი სირიელი მემბოხეების მხარეს დადგა, თუმცა სირიელ მემბოხეთა შორის, არა ზომიერი ისლამისტები, არამედ რადიკალი სუნიტი ისლამისტები გაძლიერდნენ, მათ შორის იყვნენ, ალ-ქაიდასთან დაკავშირებული ჯგუფებიც.

ამის მიუხედავად, თურქეთი მაინც ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანის ძალის პოზიციას და, რაც მთავარია, ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატებისთვის აღმოსავლეთში ერთ-ერთ საყრდენის ძალის პოზიციას ინარჩუნებდა.

არსებობდა თურქეთის მიერ შემუშავებული, სირიის სახელმწიფო რეფორმირების გეგმა, საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური იერსახის ტრანსფორმაციის პროექტი.

შესაბამისად, ანკარისათვის ცნობილი იყო „არაბული გაზაფხულის“ გეგმის რამდენიმე ვარიანტიც:

1. სირიის სოციალურ-პოლიტიკური რეფორმების თურქული გამოცდილების გაზიარება;
2. თურქეთის მიერ დამასკოზე აქტიური პოლიტიკურ-ეკონომიკური ზეწოლის განხორციელება „დაერეგულირებინათ პრობლემა“ რეგიონალურ დონეზე; არაბულ სახელმწიფოთა ლიგის წამყვანი როლის აღიარება სირიის საკითხის მოგვარებაში;
3. თურქეთის მიერ სირიის ოპოზიციისათვის ღია მხარდაჭერის გამოცხადება;
4. სირიის ოპოზიციის პირველი ფორუმის გამართვა თურქეთის ტერიტორიაზე, 2011 წლის მაისში ქალაქ ანტალიაში, სირიის ნაციონალური საბჭოს შექმნა და კონკრეტული პოლიტიკური მოქმედებების დაწყება;
5. აშშ-თურქეთის გაერთიანება და სირიის მიმართ პოლიტიკურ-ეკონომიკური და სხვა სანქციების შემუშავება, რომელიც 9 პუნქტისაგან შედგებოდა;
6. მაღალი დონის სტრატეგიული თანამშრომლობის შექმნა სირიის ხელისუფლებასთან, ლეგიტიმური მთავრობის მოსვლის მომენტამდე;
7. თურქეთის ტერიტორიაზე სირიის ხელისუფლების წარმომადგენლების შესვლის აკრძალვა და რეჟიმის მხარდამჭერების ქონების დაყადაღება თურქეთის ტერიტორიაზე;
8. სირიის ოპოზიციისთვის ნებისმიერი სახის შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების მიყიდვა;
9. თურქეთის ტერიტორიაზე სირიისათვის განკუთვნილი ნებისმიერი სახის შეიარაღების, საბრძოლო მასალების და ა.შ. აკრძალვა და დაყადაღება;

10. სირიისათვის ნებისმიერი სახის შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების მიყიდვის აკრძალვა;
11. მესამე ქვეყნის მიერ თურქეთის ტერიტორიის გავლით ნებისმიერი სახის შეიარაღების, საბრძოლო მასალების ტრანზიტის აკრძალვა სირიის არმიისათვის;
12. ურთიერთობების შეჩერება სირიის ცენტრალურ ბანკთან;
13. თურქეთში განთავსებული სირიის მთავრობის აქტივების გაყინვა;
14. სირიის მთავრობის დაკრედიტების შეჩერება; ურთიერთობის შეჩერება სირიის კომერციულ ბანკთან.

2002 წელს თურქეთში მოხდა ქემალ ათა თურქის სეკულარული პოლიტიკური მემკვიდრეობის შეწყვეტა, ხოლო 2007-2009 წლებში, როდესაც თურქეთს უარი ეთქვა ევროკავშირში გაწევრიანებაზე, დაიწყო თურქი ისლამისტების გააქტიურება, რაც გამოიხატა თურქეთის პრემიერ-მინისტრის აჰმედ დავითოღლუს მიერ ახალი საგარეო პოლიტიკის კონტურების გამოკვეთაში, რაც ითვალისწინებდა საზღვრების გაფართოებას ერაყსა და სირიასთან ანუ ახლო აღმოსავლეთი ისლამისტური ელიტის მიერ თურქეთის უკანა ეზოდ უნდა აღქმულიყო.

თურქეთის პოლიტიკური ნაბიჯი იყო 2005-2011 წლებში თურქეთ-სირიის ურთიერთობების დათბობაც, შესაბამისად, გაუქმდა სირიის ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის მიმართ (ჰათაის პროვინცია) და ჩამოყალიბდა თავისუფალი სავაჭრო ზონა, რის შედეგად ვაჭრობის გაზრდამ 2000 წლის 730 მილიონი დოლარიდან 2010 წლისათვის 2,5 მილიარდი დოლარი შეადგინა.

2015 წელს, რუსული ავიაციის, ირანისა და ჰეზბოლას სახმელეთო მხარდაჭერით, ასადის რეჟიმმა შეძლო სირიის

უმეტეს რეგიონზე კონტროლი დაებრუნებინა. თუმცა ასადის მმართველობის წინააღმდეგ გამოსულმა აშშ-მ, საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა მას ბრალი დასდეს ქიმიური იარაღის გამოყენებაში. ვაშინგტონმა მხარდაჭერა გამოუცხადა ქურთების შენაერთებს და მათ წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენების საბაზით რეჟიმის მიმართ დასავლეთის დამოკიდებულება კიდევ უფრო გამკაცრდა. დამასკოს წინააღმდეგ გააქტიურდა თურქეთიც, რომელმაც ლოგისტიკური მხარდაჭერა გამოუცხადა ასადის რეჟიმის მოწინააღმდეგე ოპოზიციურ ძალებს. თურქეთი უპირისპირდებოდა შენაერთებს და მათ წინააღმდეგ სირიის ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციებიც ხორციელდებოდა, თუმცა უკმაყოფილებას გამოთქვამდა აშშ-ის მხრიდან სირიელი ქურთების მხარდაჭერის თაობაზე.

2018 წლისათვის ასადის რეჟიმმა მოახერხა გაენადგურებინა სხვადასხვა ქვეყნების მიერ მხარდაჭერილი ოპოზიციური ძალები, თუმცა გაძლიერდნენ პროქურთული ძალები. სირიის ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციებს („ვეფრატის ფარი“ და „ზეთისხილის რტო“) აწარმოებდა თურქეთის მხარეც, რომლებმაც ასეულობით ადამიანის და, მათ შორის, სამოქალაქო პირები იმსხვერპლა.

რუსეთის ავიაციის მოქმედებები რეალური საფრთხის მომცველი იყო თურქეთის რესპუბლიკისთვის. ამიტომ მოხდა ორი ქვეყნის პოზიციების დაახლოება, რამაც ასახვა ჰპოვა აღმოსავლეთ ალექსოს საკითხზე შეთანხმებასა და 2017 წელს ასტანის ფორმატის დამკვიდრებაში; ეს იყო უპრეცედენტო მაგალითი ნატო-ს წევრი თურქეთის მიერ რუსეთისაგან ულტრათანამედროვე საზენიტო სარაკეტო კომპლექსის ს(C)-400 შეძენა, ძალიან დიდ ფასად და ეს მოხდა აშშ-ის წინააღმდეგობის მიუხედავად.

თურქეთის, რომელიც რამდენიმე შეიარაღებული და-
ჯგუფების სპონსორი და ძირითადი კოორდინატორი და,
ამავე დროს, სირიული ნავთობით უკანონო ვაჭრობის ძირი-
თადი ბენეფიციარი იყო, პოლიტიკურ მიზანს წარმოადგენ-
და სირია-თურქეთის მთელ საზღვარზე ხელოვნური ბუფე-
რის შექმნა და უსაფრთხოების ზონების მოწყობა, სირიის
რესპუბლიკის იმ ტერიტორიებზე, სადაც ძირითადად, ცხოვ-
რობდნენ ქურთები, რომლებთანაც თურქებს ძალიან დამა-
ბული, მტრული ურთიერთობები ჰქონდათ.

თურქეთი თავისი ქვეყნის ინტერესებს აყენებდა ყველა
დანარჩენზე წინ და წარმატებითაც ახორციელებდა ამ პოლი-
ტიკას. განსაკუთრებით გამოიხატა ეს რუსეთ-უკრაინის ომის
დროს, როდესაც ის არ შეუერთდა აშშ-ის ინიციატივით რუ-
სეთის წინააღმდეგ დაწყებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ
საწეობებს და 2022 წლის პერიოდში და შემდეგ თითქმის 200
პროცენტით გაიზარდა ეკონომიკური და სავაჭრო თანამშ-
რომლობა თურქეთსა და რუსეთს შორის.

მანამდე თურქეთისა და რუსეთის ინტერესები სირია-
შიც გადაიკვეთა და როდესაც 2010 წელს ტუნისიდან დაწყე-
ბული „არაბული გაზაფხული“ მთელი აზიის რეგიონში გავ-
რცელდა და სხვა ქვეყნებთან ერთად სირიასა და იქ არსებულ
ბაშარ ასადის რეჟიმსაც შეუქმნა საფრთხე, ანკარამ ასადის
რეჟიმის შეცვლას დაუჭირა მხარი და სირიის სათავეში მის-
თვის სასურველი სუნიტური მთავრობის მოსვლას მიემხრო,
მაგრამ მოგვიანებით რუსეთის ხელისუფლებასთან ურთი-
ერთობის გაფუჭების შიშის გამო „შეცვალა დამოკიდებულე-
ბა დამასკოს მიმართ.

„არაბულმა გაზაფხულმა“ დიდი გავლენა მოახდინა
რეგიონის ვითარებაზე და როგორც ახლო აღმოსავლეთის
ქვეყნებმა, ისე მსოფლიო ძალებმა შეცვალეს საგარეო პოლი-

ტიკა და ძალთა რეგიონულმა ბალანსმა მნიშვნელოვანი კორექტირება განიცადა.

სირიის კონფლიქტის არსი ე.წ. ისლამური სახელმწიფოს ფენომენის ძიებასთან იყო დაკავშირებული და მნიშვნელობა ენიჭებოდა ერაყისა და სირიის ტერიტორიებს.

ე.წ. კვაზი-სახელმწიფოებრივი სტრუქტურების შექმნის და ტერიტორიული ექსპანსიის საკითხი, რადიკალური და ტერორისტული ორგანიზაციების მიზნებთან და მოქმედებებთან იყო დაკავშირებული და მოიცავდა სახელმწიფოებრივი სტრუქტურების შექმნას, საკუთარი დედაქალაქით, მთავრობით, ჯარით, სამართლის სისტემით, სანავთობო ეკონომიკით, შესაბამისად, სწორედ მუსულმანური კვაზი-სახელმწიფოებრივი გაერთიანება წარმოადგენდა მსოფლიო მუსულმანური წესრიგის ერთ-ერთ დიდ საყრდენს, რომელიც რელიგიური დოგმების იდეოლოგიით იქნებოდა წარმოდგენილი მთელ მსოფლიოში.

მკვლევარები მიუთითებდნენ, რომ „ისლამური სახელმწიფო“, უნდა გადაქცეულიყო ინტერნაციონალურ მოძრაობად, რომლის რიგებსაც მთელი მსოფლიოდან შეუერთდებოდნენ მომხრეები. მოკლე ხანში ევროკავშირის 5000 მოქალაქე გახდა ისლამური სახელმწიფოს წევრი.

ე.წ. „ისლამურ სახელმწიფოს“ გააჩნდა ეკონომიკურად მნიშვნელოვანი რესურსები, მათ შორის ნავთობი, რომლითაც ვაჭრობდა შავ ბაზარზე და აკონტროლებდა 11-ზე მეტ საბადოს. ამასთან, ნავთობის ფასი ბარელზე 25-დან 100 დოლამდე მერყეობდა. ჯგუფის ლიდერები მიღებულ თანხებს ხარჯავდნენ თავიანთი ჯარის იარაღის მიწოდებაზე. ამიტომ ისლამურ სახელმწიფოს შეეძლო აქტიური წინააღმდეგობა გაეწია მოწინააღმდეგეებისათვის, მაგრამ დახმარებოდა პარტნიორ ქვეყნებს, მათ შორის - თურქეთს.

„ისლამური სახელმწიფო“ საფრთხეს უქმნიდა არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს, არამედ მთელ მსოფლიოს, რადგან აგრძელებდა აქტიურ შევსებას სხვა ქვეყნებში ადამიანების რეკრუტირების გზით. მაგალითად რუსეთის ფედერაციის შესაბამისი სტრუქტურების მონაცემებით, 2011 წლისათვის, 2400-ზე მეტი რუსეთის მოქალაქე იბრძოდა ისლამური სახელმწიფოს ჯარებში“.

აღსანიშნავია, რომ სირიის, რუსეთის და ირანის ურთიერთობები სამი ქვეყნის შეხედულებების გამოხატული იდენტურობა იყო, ისინი გრძელვადიანი პარტნიორები და სტრატეგიული მოკავშირეები იყვნენ.

ირანისა და სირიის უახლოესი კავშირის დაწყება 1978-1979 წლებით თარიღდებოდა, ირანის ისლამურ რევოლუციასთან იყო დაკავშირებული და გამოიხატებოდა თანამშრომლობით პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში.

სირია და ირანი აქტიურად თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან 1980-1988 წლებში ირან-ერაყის ომის დროს და სირიაში ანტისამთავრობო გამოსვლებისთანავე ერთმანეთის გვერდით დადგნენ; ირანმა სირიას მიაწოდა დემონსტრანტებთან საბრძოლველად აღჭურვილობა და დაზვერვისა და მონიტორინგის ცალკეული სისტემები. სირიის არმია მომარაგდა იარაღით და სამხედრო მრჩეველებით; ამ პარტნიორობის გვერდით იდგა რუსეთიც.

სამი ქვეყნის პარტნიორობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ბრძოლა „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ, რომელიც აკონტროლებდა სირიის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს. ასეთ ვითარებაში რუსეთისა და ირანის სახელდახელო ინიციატივით ბაღდადში ჩამოყალიბდა „ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო საკოორდინაციო ცენტრი“.

რუსეთისა და ირანის ავიაცია ახორციელებდა ათასობით გაფრენას და ანადგურებდა მოწინააღმდეგის ათასობით სამხედრო ობიექტებს, ამდენად რუსეთი და ირანი სირიას უმაღლეს და ეფექტურ მხარდაჭერას უწევდნენ, განსხვავებით დასავლეთის წამყვანი ქვეყნებისაგან, რომელთაგან განსაკუთრებული ქმედებები არ შეინიშნებოდა.

საინტერესოა, რომ სწორედ რუსეთის ფედერაციის ქმედებების წყალობით მოხდა 2011-2016 წლებში სირიაში ოპოზიციის ჯარების წინააღმდეგობის შეჩერება და მოსკოვისა და ვაშინგტონის განცხადება სირიაში საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ.

2013 წლის ივლისისათვის სირიის ხელისუფლების კონტროლქვეშ ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 30-40 პროცენტი და სირიის მოსახლეობის 60 პროცენტი იყო. ამ დროისათვის გაერო კონფლიქტის სექტანტურ ხასიათს უსვამდა ხაზს და ადასტურებდა, რომ დაღუპულთა რაოდენობა ნახევარ მილიონს უახლოვდებოდა, ხოლო ათასობით ათასი მომიტინგე ციხეში იმყოფებოდა.

საუდის არაბეთის მთელი სტრატეგია „არაბული გაზაფხულის დროს მდგომარეობდა იმაში, რომ მხარი დაეჭირა მომიტინგეებისთვის საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. კერძოდ, ეგვიპტეში სამეფო მიესალმებოდა „ძალაუფლების მშვიდობიან გადაცემას, იმის იმედით, რომ ეგვიპტეს ისტორიული როლი აღუდგებოდა არაბულ, ისლამურ და საერთაშორისო ასპარეზზე. საბოლოო ჯამში, ეგვიპტეში და ტუნისში საუდის არაბეთის წილი განისაზღვრა ისლამისტური საპარლამენტო უმრავლესობის ჩამოყალიბებით და შარიათის შემოღებით.

საუდის არაბეთი „არაბული გაზაფხულის“ პერიოდში ყველა ფრონტზე სხვადასხვა მეთოდების, ორმაგი სტანდარ-

ტების გამოყენებით იბრძოდა. იგი თავს სუნიტური სახელმწიფოების ბლოკში სათავეში მდგომ სახელმწიფოდ მიიჩნევდა და ღიად უპირისპირდებოდა რეგიონის პოლიტიკურად და ეკონომიკურად არასტაბილურ სახელმწიფოებს.

სირიის წინააღმდეგ განსაკუთრებული აგრესიით გამორჩეული საუდის არაბეთი ასადის მოწინააღმდეგე მებრძოლ მეამბოხეთა პირდაპირ მხარდამჭერად გამოვიდა, ანტი-ირანულ ძალებს ლიბანში უპირისპირდებოდა, ერაყში კი სუნიტური პოლიტიკური ძალების გაძლიერებას მიესალმებოდა. საუდის არაბეთისთვის მიუღებელი იყო ირანის გავლენა საკუთარ ტერიტორიებზე, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას შიიტები წარმოადგენდნენ.

სირიაში არსებული საპრეზიდენტო მმართველობა, რომელიც შეიარაღებულ ძალებს, სპეცსამსახურებს და სამთავრობო პოლიტიკურ ძალებს ეყრდნობოდა, მიუღებელი აღმოჩნდა დასავლური სახელმწიფოებისათვის და თანადგომა გამოუცხადა სირიის პოლიტიკურ და შეიარაღებულ ოპოზიციას და დაიწყო რეჟიმის წინააღმდეგ პოლიტიკური და სამხედრო ოპერაცია, რომელმაც „არაბული გაზაფხულის“ სახელწოდება მიიღო და პოლიტიკურ სივრცეში დაამკვიდრა პოლიტიკური ტემრინი „ისლამური სახელმწიფო“, რომელიც საფრთხეს უქმნიდა არამხოლოდ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს, არამედ მთელ მსოფლიოს.

თავი 3.

სირიის კონფლიქტი და ძალთა თანაფარდობის ახალი მოცემულობა რეგიონში

3.1 სირიის კონფლიქტის გავლენა ახლო აღმოსავლეთის რეგიონალურ პოლიტიკაზე

ეგრეთ წოდებული „არაბული გაზაფხულის“ მოვლენები არაბი ხალხებისთვის რთული გამოცდა აღმოჩნდა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონი გარკვეული პერიოდის განმავლობაში სერიოზულ კრიზისში იყო ჩაფლული. სირიის კრიზისი „არაბული გაზაფხულის“ ჯაჭვის ერთ-ერთ რგოლად (ან შედეგებად) ითვლება. ამასთანავე, სწორედ აქ განვითარდა დესტრუქციული პროცესი განსაკუთრებული დრამატიზმით: დაწყებული ადგილობრივი არეულობებით, რომელმაც მალევე მოიცვა თითქმის მთელი ქვეყანა, სირიის შიდა კონფლიქტი გადაიზარდა სამოქალაქო ომში და თავისი გავლენა გაავრცელა სირიის ფარგლებს გარეთაც.

შიდა სირიულ წინააღმდეგობებს აძლიერებდა ოპოზიცია გარე მფარველების დახმარებით და, ძირითადად, დასავლეთის ზედამხედველობით, რომელთა მთავარი ამოცანა იყო ეროვნული საზოგადოების გახლეჩვა და საქმის მიყვანა კანონიერი ხელისუფლების დამხობამდე. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ძლიერ იქნა გამოყენებული კონფლიქტური პოტენციალის კონფესიური კომპონენტი. და ეს იმის მიუხედავად, რომ ისტორიული სირია იყო მთელი რიგი ცივილიზაციისა და განსხვავებული რწმენის აკვანი.

რეჟიმის მოწინააღმდეგე ოპოზიციის საფუძველზე ჩამოყალიბებული კოალიციების სიმრავლე და პირობითობა მნიშვნელოვნად ართულებდა კონფლიქტის სტრუქტურას

და მისი მოგვარების პერსპექტივებს. სირიაში მოვლენების დაწყებიდან მალევე გამოჩნდა მრავალი შეიარაღებული ბანდა, რომლებიც სარგებლობდნენ სხვადასხვა გარე მოქმედი პირების მფარველობით, რომლებმაც ტერიტორიის გარკვეული ნაწილები დაიკავეს და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გაფართოებასა და კონტროლის დამყარებაში.

ფორმალურად შიდაკონფლიქტში მესამე მხარის მოთამაშების უშუალო ჩარევამ კიდევ უფრო გაამწვავა სიტუაცია და გააფართოვა მისი ფარგლები. სირია იქცა გეოპოლიტიკური მეტოქეობისა და გარე, მათ შორის ექსტრარეგიონული ძალების ინტერესთა მრავალმხრივი შეჯახების არენად.

ამ კუთხით გაჩნდა უცხოური აქტორების შემდეგი ჯგუფები: ისინი, ვინც ცალსახად უჭერდა მხარს ლეგიტიმურ მთავრობას (რუსეთი, ირანი მოკავშირე ძალებთან ერთად, ჩინეთი); აქტორები, რომლებიც პრიორიტეტს არ ანიჭებდნენ კონფლიქტში მონაწილე არცერთ მხარეს და მხოლოდ საკუთარ ინტერესებს იცავდნენ (ისრაელი); ძალები, რომლებმაც დაიკავეს ზოგადად ლეგიტიმური ძალაუფლების მოწინააღმდეგეების ან მათი ცალკეული ფრაქციის მხარე (აშშ, ევროკავშირი და მისი ცალკეული წევრები, თურქეთი, KSA და სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნები).

დამასკოში ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ გარე ძალებს ჰქონდათ პრიორიტეტული ინტერესები და მიზნები, რომლებიც მოიცავდა, მაგალითად, კონტროლის მოპოვებას სირიის ტერიტორიულ ზონებზე და მის რესურსებზე, ასევე დომინირების მიღწევას იდეოლოგიურ (მათ შორის რელიგიურში), პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში.

სირიაში კონფლიქტის ორი ძირითადი ეტაპი გამოიკვეთა:

პირველი გაგრძელდა 2011 წლიდან 2015 წლამდე, რომლის დროსაც ანტისამთავრობო პროტესტი გადაიზარდა ომში, რომელმაც ცენტრალური ხელისუფლება მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. მეორე ეტაპი 2015 წლის შემოდგომაზე დაიწყო რუსეთის სამხედრო ინტერვენციით სირიის ლეგიტიმური მთავრობის მოთხოვნის საპასუხოდ. ამან მოვლენების მიმდინარეობის რადიკალური ცვლილება გამოიწვია. ამ პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა იყო ISIS-ის ინფრასტრუქტურის სახით ტერორისტული საფრთხის აღმოფხვრა.

სირიაში კონფლიქტის ზრდა სერიოზულ პრობლემად იქცა, რაც უარყოფითად აისახება რეგიონულ სიტუაციაზე და შემდგომ საერთაშორისო პოლიტიკურ კლიმატზე. მართალია, აღნიშნული კონფლიქტის საკითხი არაერთხელ იქნა განხილული რეგიონალურ და საერთაშორისო ორგანიზაციებში, თუმცა, ამ ფორმატებში არამეგობრული ლიდერების დომინირების გამო (აშშ, დიდი ბრიტანეთი, KSA და სხვები) დამასკო იქ ძირითადად თავდაცვით პოზიციაში ხვდებოდა.

სირიის მოვლენების კონტექსტში, კონკრეტულ აქტორებს შეუძლიათ შეინარჩუნონ სიტუაციური პარტნიორობა ერთმანეთთან სხვადასხვა კომბინაციებში, კოორდინაცია გაუწიონ პოლიტიკურ და სამხედრო ძალისხმევას, გადაჭრან არამხოლოდ მსგავსი ამოცანები (მათ შორის ერთობლივად), არამედ, ამავე დროს, განახორციელონ აშკარად განსხვავებული მიზნებიც. არსებითად, თითოეული მათგანის მონაწილეობა განისაზღვრება საკუთარი ინტერესებით, თუმცა, ზოგადად, მათი იდენტიფიცირება შესაძლებელია მთავარი მახასიათებლით - მხარს უჭერენ ისინი სირიის ლეგიტიმურ მთავრობას თუ ცდილობენ მის დათრგუნვას, მოქმედებენ მისი ოპონენტების სასარგებლოდ.

ახლო აღმოსავლეთი პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძალიან მობილური კონგლომერატია, სადაც მიმდინარეობს ხედვათა აქტიური კრისტალიზაცია სახელმწიფოს მომავალ სტრუქტურაზე, ეროვნული იდეების შინაარსზე, ეკონომიკური აღორძინებისა და სოციალური პროგრესის გადაუდებელი პრობლემების გადაჭრის მიდგომების ერთობლიობაზე.⁷⁴

ასეთმა ფართომასშტაბიანმა ამოცანებმა არ შეიძლება არ გამოიწვიოს აზრთა სასტიკი ურთიერთბრძოლა კონკრეტულ ქვეყნებს შორის, მათში სხვადასხვა პოლიტიკური ძალების დაპირისპირება, პირდაპირი ბრძოლა იდეოლოგიასთან, რომელსაც ქადაგებენ სხვადასხვა სოციალური ჯგუფები, რომლებიც იცავენ საკუთარ ინტერესებს.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონულ დონეზე არის სერიოზული წინააღმდეგობები, დაწყებული სასაზღვრო კონფლიქტებითა და სადავო ტერიტორიებით და დამთავრებული ღარიბი და მდიდარი არაბული ქვეყნების განსხვავებულობით. ეს, სხვა პრობლემებთან ერთად, იწვევს ფარულ დამაბულობას და უკმაყოფილების ღია გამოვლინებებს მათში, ვინც არაბულ სამყაროში თავს შეზღუდულად თვლის და მიაჩნია, რომ იმ ქვეყნებისაგან, რომლებიც მდიდარი ცხოვრების წესის დემონსტრირებას ახდენენ, მეტ დახმარებას იმსახურებს.⁷⁵

სირიის ასპექტის მნიშვნელობა ახლო აღმოსავლეთის რეგიონის პოლიტიკაში მდგომარეობს იმაში, რომ მისი მაგალითი ცხადყოფს არა მხოლოდ სირიის საზოგადოების სო-

⁷⁴ О.В. Матвеев, „Исламский фактор во внутрисирийском конфликте: исторический аспект“ // Право и образование. №7. 2018. გვ. 157-165

⁷⁵ Ф.Джаззан, „Отношения Сирии со странами персидского залива в начале XXI века: особенности и перспективы“ // Социально-политические науки. №3. 2016, გვ. 86-88

ციალურ-რელიგიურ ფენებს შორის შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებას, არამედ მსოფლიო აქტორთა გეოპოლიტიკურ კონკურენციასაც.

გარე მოთამაშეები სწრაფად ჩაერივნენ სირიის შიდა-კონფლიქტში და მაქსიმალურად ცდილობდნენ კრიზისის თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებას. „ცივი ომის სამყარო ნახევრად გაიყო: ქვეყნები უსმენდნენ ან ვაშინგტონს ან მოსკოვს და წითელი ხაზები ორივე მხარისთვის ნათელი იყო. სამყარო, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ, უფრო რთული და არაპროგნოზირებადია. ეს ჩანს ახლო აღმოსავლეთში, სადაც რეგიონალური ლიდერები აღარ უყურებენ ექსკლუზიურად მოსკოვს ან ვაშინგტონს, არამედ იცავენ საკუთარ ინტერესებს“, - თქვა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა.⁷⁶

რეგიონულ მოთამაშეებს შორის, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ სირიის კონფლიქტზე, არის თურქეთი, ირანი, ისრაელი, ლიბანის ჰეზბოლა, ისლამური სახელმწიფო, სპარსეთის ყურის ქვეყნები - საუდის არაბეთი, კატარი და ა.შ.

ამრიგად, ახლო აღმოსავლეთის რეგიონის პოლიტიკურ პროცესებზე სირიის კონფლიქტის გავლენის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი გამოვლინება არის დამაბულობის ესკალაცია ამ ქვეყნის საზღვრების პერიმეტრზე, ლიბანსა და ერაყში სიტუაციის განსაკუთრებული გართულებით. ეს იქცა პრაქტიკულ ასახვად დიდი რაოდენობით რეგიონული საფრთხის შესახებ, რომლის გამოსავალი ჯერჯერობით არ არის ნაპოვნი. რეგიონის ქვეყნებში მსგავსი პრობლემებისა და წინა-

⁷⁶ Frank-Walter Steinmeier: "Die Lage ist gefährlicher als im Kalten Krieg" <https://www.handelsblatt.com/>

აღმდეგობების მთლიანობამ შეიძლება შიდა კონფლიქტების საერთაშორისოში გადაზრდა გამოიწვიოს.

კლანთაშორისი ბრძოლის გააქტიურება, ახლო აღმოსავლეთის მოგვარების შესახებ მოლაპარაკებების მუდმივი რღვევის პარალელურად, ქმნის წინაპირობებს რეგიონში სრულმასშტაბიანი ომის დაწყებისთვის. ასევე, სირიის კონფლიქტი ჯერჯერობით ერთადერთია „არაბული გაზაფხულის“ მოვლენების სიაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფართომასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთის ფარგლებს გარეთაც.

მიუხედავად იმისა, რომ სირიის ომს არ მიუღია სისტემური მნიშვნელობა, მან შექმნა მთელი რიგი ახალი გამოწვევები და საფრთხეები, გაათანაბრა ან პირიქით, რომელთა ესკალაცია ცალკეული გეოპოლიტიკური მოთამაშეების ინტერესს იწვევს. ამრიგად, სირიაში შეტაკებებმა ჩამოაყალიბა ერთგვარი „გეოპოლიტიკური ღერძი“, რომელიც ცდილობს დისტანციურად მოახდინოს გავლენა ქვეყანაში მოვლენების მიმდინარეობაზე და ამით გააცნობიეროს თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები ახლო და შუა აღმოსავლეთის რეგიონში.

უნდა აღინიშნოს, რომ სირიის კრიზისმა ძალიან ძლიერი გავლენა იქონია მრავალი რადიკალური ექსტრემისტული დაჯგუფების გაჩენაზე, რომელთა გენეზისი ნათლად ჩანს სირიის კონფლიქტის შიდა განზომილების ევოლუციაში. ეს კონფლიქტი თავიდან ძირითადად პოლიტიკურ დონეზე დაიწყო, როდესაც სირიელი ხალხის მისწრაფებებზე სპეკულირებით სწრაფად გაჩნდა და ჩამოყალიბდა ოპოზიციური ძალები, რამაც გამოავლინა უთანხმოება ბ. ასადის საშინაო და საგარეო პოლიტიკასთან.

შემდგომში ოპოზიციამ შეძლო მიეღო სამხედროების მხარდაჭერა, რომლებიც ნებისმიერ არაბულ ქვეყანაში ტრადიციულად შიდა პოლიტიკური ვექტორის განსაზღვრაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ამ ეტაპზე ევზოგენურმა ფაქტორმა დაიწყო აქტიური მონაწილეობა კონფლიქტის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის ფორმირებაში. თავდაპირველად, სირიის კონფლიქტის ცალკეული მონაწილეების არაპირდაპირი პოლიტიკური მხარდაჭერის სახით, შემდეგ კი, შიდა გარემოს დახმარებაზე დაყრდნობით, თანდათან გაჩნდნენ ახალი სუბიექტები, რომლებმაც დაიწყეს მნიშვნელოვანი, და ზოგიერთ ასპექტში, გადამწყვეტი როლის შესრულება. საუბარია ეგრეთ წოდებულ ოპოზიციურ სამხედრო ფორმირებებზე, მათ შორისაა: სირიის თავისუფალი არმია, გამარჯვების ფრონტი და ა.შ.⁷⁷

2014 წლის შუა რიცხვებში „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ გაჩენამ სირიის ქაოსის ცეცხლი კიდევ უფრო გააღვივა. მას შემდეგ, ასადის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მრავალრიცხოვან ჯგუფებს შორის დაპირისპირების გარდა, ISIS ერთდროულად ებრძოდა ყველას წინააღმდეგ.⁷⁸

სირიის კრიზისი დაემატა კიდევ ერთ კონფლიქტს - საერთაშორისო კოალიციის ომს ISIS-ის წინააღმდეგ. ISIS-ის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობა, რაც ყველაზე დიდი საფრთხეა ახლო აღმოსავლეთში, სირიის პრობლემის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული, რადგან ისლამურ სახელმწი-

⁷⁷ McLauchlin, Theodore The Loyalty Trap: Regime Ethnic Exclusion, Commitment Problems, and Civil War Duration in Syria and Beyond // Security studies. Volume 27, Number 2. 2018, გვ. 296-317

⁷⁸ Clark, Peter Nikolaos Van Dam. Destroying a Nation: The Civil War in Syria; Dawn Chatty. Syria: The Making and Unmaking of a Refugee State // Asian affairs. Volume 49: Number 3. 2018. გვ. 527-530

ფოსთან დაპირისპირების წარმატებას ართულებს სირიაში მრავალი აქტორის უკომპრომისო ინტერესები, რომლებიც სამოქალაქო ომის ნაწილებად იყოფა.

ცალკე, ყურადღება უნდა გამახვილდეს სირიაში ძალა-უფლებისათვის კლანთაშორისი ბრძოლის შემდგომ გამწვავებაზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ამ რეგიონში, როგორც შეერთებული შტატების, ასევე მისი და ნატოს მოკავშირეების - საფრანგეთისა და გერმანიის სამხედრო ყოფნის პროგნოზირებადი მომავლის ზრდა. ახალი რეჟიმები აშშ-ის/ნატოს დიპლომატიური, სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური ზეწოლის შედეგად, თავიანთ ქვეყნებში სტაბილურობის შენარჩუნების საფრთხეების გათვალისწინებით იძულებულები გახდებიან დაეთანხმონ აშშ-ისა ან ნატოს სამხედრო ბაზების განთავსებას თავიანთი სახელმწიფოების ტერიტორიაზე.

მოვლენების ასეთი განვითარება შეესაბამება აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიას, რომელიც თავის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დასახული დიდი ახლო აღმოსავლეთის დაპყრობა აქვს. გარდა ამისა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მსოფლიოს და გაეროს წამყვანი გეოპოლიტიკური მონაწილეების მიერ რეგიონული უსაფრთხოების მექანიზმების უფლებელყოფა, კერძოდ, არაბული სახელმწიფოების ლიგის (LAS) განსაკუთრებული ხედვა შუაში არსებული ვითარების შესახებ. აღმოსავლეთი და სირია, ისევე როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების ორმაგი ინტერპრეტაცია არარეგიონული აქტორების მიერ, ეჭვქვეშ აყენებს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობას და მათი განხორციელების უფლებას.

ამრიგად, გაეროს წესდების 51-ე მუხლის ინტერპრეტაციის გაფართოებამ საბოლოოდ უზრუნველყო მსოფლიოს

საკვანძო ქვეყნების უფლება, იმოქმედონ საკუთარი გეოპოლიტიკური პასუხისმგებლობის ზონის გარეთ და გაამართლონ ნებისმიერი ტერიტორიის შეჭრა.⁷⁹

თავდაცვის უფლების ტრადიციულ გაგებაზე დაყრდნობით, კონფლიქტების მოგვარების სფეროში უფრო ფართო რეგიონული ორგანიზაციებისთვის უფლებამოსილების მინიჭება მათ მისცემს შესაძლებლობებს რეგიონული კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა განიხილოს, როგორც აგრესიაზე რეაგირების საშუალება, არ დატოვებს მისი გამოყენების შესაძლებლობას უშუალოდ რეგიონის გარეთ. თუმცა, ასეთი ინტერპრეტაცია არ შეესაბამება თანამედროვე გეოპოლიტიკურ რეალობას და წამყვანი სახელმწიფოების ინტერესებს, რაც ხელახლა განსაზღვრავს განსაკუთრებულ პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში.

არსებული გარემოებების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ არაბული ლიგის ფარგლებში ახლო აღმოსავლეთის რეგიონში სიტუაციის სტაბილიზაციის მიზნით, მიზანშეწონილია შემუშავდეს საერთო ხედვა ქვეყნების უსაფრთხოების რისკებისა და საფრთხეების შესახებ როგორც ეროვნულ და რეგიონულ, ასევე რეგიონთაშორის დონეზე. ეს ხედვა მომავალში განსაზღვრავს პროცესის კონსტრუქციული განვითარების კონტურებს ახლო აღმოსავლეთში რეგიონული უსაფრთხოების სისტემის უზრუნველსაყოფად, კერძოდ, სამხედრო შეჭრაზე და ქვეყნებისა და ბლოკების თავდაცვის უფლებაზე. ახლო აღმოსავლეთის რეგიონის პოლიტიკურ პროცესებზე სირიის კონფლიქტის გავლენის გათვალისწინებით, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ისლამის პოლიტიკური როლის გაძლიერებაზე. აღმოსავლეთის ქვეყ-

⁷⁹ Д.А. Данилов, Сирия: геополитическая алхимия // Научно-аналитический вестник Института Европы РАН. №2. 2018., вв. 210-216.

ნებისთვის დამახასიათებელი ნიშანია ნებისმიერ პრობლემასა და წინააღმდეგობაზე რელიგიური შეფერილობის დამატება.

თანამედროვე სახელმწიფოებრიობის ფორმირების პროცესების, პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის, სოციალური და ჰუმანისტური ღირებულებების სისტემის დაუსრულებულობა და არასრულყოფილება გარდაუვალს ხდის ისლამის გავლენის ზრდას. ისლამი, რომელიც სახელმწიფოსა და კანონისგან განუყოფლად ითვლება, ბუნებრივ თავშესაფარად იქცევა მათთვის, ვინც მუსულმანურ ტრადიციონალიზმში ეძებს ეროვნული გადარჩენის საფუძველს დასავლური ღირებულებების დომინირების საფრთხის წინაშე.

ექსტრემისტული მუსლიმური მოძრაობებისა და ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ტერორის გზებს მიმართავენ, პერიოდულად იწვევს დამაბულობის მკვეთრ ზრდას ახლო აღმოსავლეთში.

პრო-ისლამური რეჟიმების ხელისუფლებაში მოსვლამ დასავლეთის მხარდაჭერით ახლო აღმოსავლეთის რეგიონში დემოკრატიული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის მშენებლობის ლოზუნგებით, გამოიწვია ისეთი ფენომენის გაჩენა, როგორცაა დებატები ისლამის პოლიტიკური კომპონენტის გაძლიერების პრობლემის გარშემო. ამას მოწმობს ბოლოდროინდელი ანტაგონიზმის გაძლიერება პროისლამურ რეჟიმებს შორის, რომლებიც ხელისუფლებაში მოვიდნენ „რევოლუციის“ შედეგად და რადიკალ ისლამისტებს შორის, რომლებიც მტრულად არიან განწყობილნი პოლიტიკური სისტემების მოდერნიზაციის იდეებისადმი დასავლური ხა-

ზით, ასევე სეკულარული ისლამური ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის.⁸⁰

ისლამს პოლიტიკური პროცესის სამივე ძალა იყენებს არა მხოლოდ როგორც რელიგიას, რომელსაც შეუძლია შეასრულოს კონსოლიდაციური ფუნქცია, არამედ როგორც სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების განხორციელების მექანიზმი. რეგიონის ქვეყნების მიერ მიღებულმა „რევოლუციურმა“ გამოცდილებამ დაამტკიცა პოლიტიკური ისლამური დოქტრინის მოქნილობა, რომელსაც შეუძლია დროულად უპასუხოს შიდა და გარე გამოწვევებს.

ამავე დროს, აღსანიშნავად მიგვაჩნია, რომ არც მთავრობები და არც მუსლიმური მოძრაობები არ აპირებენ თავიანთი ქვეყნების ისლამური პრობლემის საერთაშორისო საკითხად გადარეფორმირებას.

ამ კონტექსტში მიგვაჩნია, რომ ისლამური ფაქტორი საკმაოდ დიდხანს შეინარჩუნებს თავის რეალურ და პოტენციურ გავლენას ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სახელმწიფოების საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. მისი დინამიკა და სიძლიერე განისაზღვრება იმით, თუ რამდენად წარმატებული იქნება რეგიონის ქვეყნების საგარეო და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა პოლიტიკურ წინა პლანზე ისლამის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების იდეოლოგიური ალტერნატივის გაჩენის თავიდან ასაცილებლად. ეჭვგარეშეა, რომ სოციალურ თუ კონფესიურ და რასობრივ-ეთნიკურ ნიადაგზე წინააღმდეგობების გამწვავება დაუყოვნებლივ გამოიწვევს სიტუაციის დესტაბილიზაციას და კრიზისს რეგიონში, რითაც საფრთხეს შეუქმნის რეგიონული და ექსტრარეგიონული სახელმწიფოების სასიცოცხლო ინტერესებს, რაც ამ

⁸⁰ А.Н. Севастьянов, «Дивиденды» Сирии: десять сомнений // Наш современник. №6. 2016, кв. 148-157.

ინტერესების დასაცავად პოლიტიკურ ან სამხედრო ჩარევაში მდგომარეობს.

როგორც ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩანს, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების შემდგომი განვითარების შესახებ პოლიტიკური შეთანხმება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამყარდება ურთიერთქმედება ყველა პოლიტიკურ დაჯგუფებას შორის, რომლის საბოლოო შედეგი უნდა იყოს კონსენსუსის მიღწევა რეგიონში საზოგადოებრივი ცხოვრების მოდერნიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ.

სირიის კონფლიქტის გავლენა ახლო აღმოსავლეთის რეგიონის პოლიტიკურ პროცესებზე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, როგორც ტერორიზმის მზარდი საფრთხე. ოპოზიციური ძალების წარმომადგენლები სულ უფრო ხშირად მიმართავენ ტერორისტული თავდასხმების ორგანიზებას, რომელთა რიცხვი იზრდება სირიაში შიდაპოლიტიკური სიტუაციის სტაბილურობა/არასტაბილურობიდან გამომდინარე. რაც უფრო არამყარი მდგომარეობაა ქვეყანაში, მით უფრო მეტი ოპოზიციური ორგანიზაცია ირჩევს ტერორის ტაქტიკასა და სტრატეგიას.

მეორე მხრივ, ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენების შედეგად, დასავლეთ ევროპაში ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობა გააქტიურდა. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ ევროპის რეგიონში არის 312 სხვადასხვა ტიპის ტერორისტული ორგანიზაცია, ხოლო ახლო აღმოსავლეთში (ჩრდილოეთ აფრიკის გამოკლებით) 283-ს შეადგენს.⁸¹

⁸¹ Ф. Джаззан, Отношения Сирии со странами персидского залива в начале XXI века: особенности и перспективы // Социально-политические науки. №3. 2016. გვ. 86-88.

სავარაუდოა, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში ვიქნებით ნაციონალისტური ორგანიზაციების მიერ ტერორისტული თავდასხმების მოწმენი, რომლებიც მათ იყენებენ, როგორც ძალის „ერთადერთ სწორ“ საშუალებას საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მიზნით, რათა ხელისუფლებას გარკვეული ქმედებებისაკენ უბიძგონ.

სირიაში ომის დესტაბილიზაციის შედეგების სიაში დამოუკიდებელი ადგილი უკავია შეიარაღების რბოლას და რეგიონის მილიტარიზაციას, რაც ბირთვული და სხვა სახის მასობრივი განადგურების იარაღის უკონტროლო გავრცელების პრობლემასთან არის დაკავშირებული.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნების ტენდენცია - გამოიყენონ ძალა, როგორც ეროვნული და რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალება - შეიარაღების მოპოვების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. ახლო აღმოსავლეთში გაჩნდა კონკრეტული გეოპოლიტიკური ზონა იარაღის მაღალი კონცენტრაციით და კრიზისული და კონფლიქტური სიტუაციების კომპლექსით.

შეიარაღების რბოლა რეგიონში ხასიათდება მაღალი მაჩვენებლებით, ტექნოლოგიური გაუმჯობესებითა და იარაღის სისტემების გართულებით (ე.წ. „ტექნოლოგიური“ შეიარაღების რბოლა ხშირ შემთხვევაში იწვევს ჩვეულებრივი იარაღისა და მასობრივი განადგურების იარაღს შორის განსხვავების ვირტუალურ აღმოფხვრას) და ტაქტიკური და სტრატეგიული ტიპის შეტევითი იარაღისა და ბირთვული იარაღის შესაძლებლობების არსებობით.

კვლევის შედეგების შეჯამებისას უნდა აღინიშნოს, რომ სირიის კონფლიქტი დღეს მნიშვნელოვან გამოწვევებსა და საფრთხეებს ქმნის საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის. ის ფაქტობრივად მთლიანად გასცდა „არაბული გაზაფხუ-

ლის“ მოვლენების საგნობრივ სფეროს, რის შედეგადაც იგი ფაქტობრივად განსაზღვრავს წამყვანი რეგიონული და ექსტრარეგიონული ქვეყნების მთავარ მიზნებს მათი გეოპოლიტიკური დაპირისპირების ფარგლებში ახლო აღმოსავლეთის მიმართ საკუთარი ინტერესების კონტექსტში.

რეგიონში პოლიტიკური პროცესების გენეზისი დამოკიდებული იქნება ამ კონფლიქტის ფარგლებში მოვლენების შემდგომი განვითარების ვარიანტებზე. კონფლიქტის წარმატებულ გადაწყვეტას ამძიმებს ის ფაქტი, რომ ახლო აღმოსავლეთში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა საერთაშორისო ორგანიზაციების (პირველ რიგში, გაეროს) დაბალი ეფექტურობა რეგიონში არსებული სიტუაციის გადაწყვეტაში. ახლო აღმოსავლეთში უსაფრთხოების მრავალმხრივი სისტემის არარსებობა, რომელიც მიმართული უნდა ყოფილიყო არაბულ ქვეყნებს შორის ურთიერთობების ნორმალიზებაზე და დადებითად აისახულიყო რეგიონულ თანამშრომლობაზე, არის ნაკლოვანება, რომელიც პოტენციურ საფრთხეს უქმნის რეგიონში სტაბილურობას. სირიის კონფლიქტი კი, თავის მხრივ, წარმოადგენს მრავალ შეტაკებათა წყაროს და კატალიზატორს ახლო აღმოსავლეთში. ახლო აღმოსავლეთში საფრთხეების დონის მატება და უსაფრთხოება განგაშის ეფექტს ახდენს მსოფლიო საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაზე. იზრდება წინააღმდეგობები წამყვან საერთაშორისო მოთამაშეებს შორის (აშშ, ევროკავშირი, ჩინეთი, რუსეთი, თურქეთი), რაც დამოკიდებულია მხარეთა მიერ სირიის კონფლიქტში ამა თუ იმ პოზიციის მიღებაზე.

3.2. არაბული ქვეყნების ლიგის და რეგიონული ორგანიზაციების როლი კონფლიქტის დარეგულირებაში

მსოფლიოს რეგიონებს შორის ახლო აღმოსავლეთი ერთადერთი რეგიონი იყო, რომელიც წარმოადგენდა პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური, სამხედრო, ტერორისტული და ა.შ. ყველაზე უფრო რთულ ცხელ წერტილს, რომლითაც დაინტერესებული იყვნენ: რუსეთი, აშშ, თურქეთი, ირანი, ისრაელი, ევროკავშირის და პლანეტის სხვა სახელმწიფოები, რომლებსაც, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, თავისი სხვადასხვა ინტერესები გააჩნდათ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ახლოაღმოსავლური რეგიონი უფრო არასტაბილური გახდა, მაგრამ მისი მართვის ბერკეტები შეინარჩუნეს აშშ-მა და რუსეთმა. ამ ზესახელმწიფოებს შორის განსაკუთრებული დაინტერესების საგანი გახდა სირიის რესპუბლიკა.

სირიაში განვითარებული პოლიტიკური და სამხედრო ნეგატიური მოვლენების გაძლიერების, შენელების თუ მოწესრიგების საკითხი ძირითადად დაკავშირებული იყო აშშ-ის, რუსეთის, თურქეთისა და ირანის სახელმწიფოებთან და სწორედ ამ ქვეყნების შიგნით არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ინტერესების ამკარა წინააღმდეგობების გამო მოხდა „არაბული გაზაფხულის“ ურთულესი საომარი პერიპეტიების წარმოშობა და განვითარება, რომლის უკან შიდა და გარეშე ძალები იდგნენ.

სირიის წინააღმდეგ ერთობლივად დაირაზმნენ აშშ-ის, ბრიტანეთის, თურქეთისა და სხვა შეიარაღებული ძალები, ხოლო სირიის გვერდით დადგნენ რუსეთი, ირანი და მათი მხარდამჭერები. ომმა გაჭიანურებული ხასიათი მიიღო და დიდი ადამიანური და მატერიალური დანაკარგები მოჰყვა.

ჯერ კიდევ 1990 წელს შეერთებულმა შტატებმა მწვანე შუქი აუნთო ტაიფის შეთანხმების ხელმოწერას, რომელმაც გააძლიერა სირიის ჰეგემონია ლიბანში. სირია ერთგვარ ალიანსში შევიდა ეგვიპტესთან და სპარსეთის ყურის მონარქიებთან, ხოლო საუდის არაბეთისგან მიიღო 2 მილიარდი დოლარის ეკონომიკური დახმარება. შეერთებული შტატების შუამავლობით ასადის მთავრობა ხელმძღვანელობდა (1992, 1993 და 1977 წლებში) ისრაელთან გამართულ მოლაპარაკებებს გოლანის მაღლობების დაბრუნების თაობაზე, თუმცა დიდი წარმატების გარეშე.

2000 წელს ხელისუფლების სათავეში ჯორჯ ბუშის ნეოკონსერვატიული ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ, აშშ-ის კურსი სირიის მიმართ შეიცვალა, რაც მიზნად ისახავდა რეგიონში სირიის გავლენის შეზღუდვას.

2004 წლის ოქტომბერში მიღებული იქნა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რომელმაც სირიის სამხედრო კონტინგენტის გაყვანა მოითხოვა. ამერიკელები დიდი მონდომებით ცდილობდნენ დაეშალათ სირია-ირანის ალიანსი, რაც მკაფიოდ გაისმოდა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის დიკ ჩეინისა და საუდის არაბეთის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის საუბრებში.

2011 წლის მარტში, ქვეყანაში საპროტესტო გამოსვლების დაწყების შემდეგ, სპარსეთის ყურის მონარქიების პოზიციები სირიასთან დაკავშირებით მთლიანად ემთხვეოდა ამერიკელების ინტერესებს, რომლის ანალიზი გაცხადდა ცნობილი ამერიკელი ანალიტიკოსის ჯორჯ ფრიდმანის სტატიაში: „სირია, ირანი და ძალთა ბალანსი ახლო აღმოსავლეთში“, ის სცილდებოდა წერილის დანიშნულებას და გადმოცემული იყო, ამერიკელების რეალური ინტერესები ახლო აღმოსავლეთში, სტატიაში იხატებოდა შიში ამერიკის

ჯარების გაყვანის შემდეგ რეგიონში ძალთა ბალანსის მასიური ცვლილებების შესახებ, რაც ირანს მარგინალური ქვეყნიდან ზესახელმწიფოდ გარდაქმნიდა.

ფრიდმანი აანალიზებდა ირან-სირიის სტრატეგიული პარტიონორობის მიზეზებსაც, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ირანის ისლამისტური ხელისუფლება სირიის სეკულარულ რეჟიმს ანიჭებდა იმუნიტეტს ლიბანში შიიტური ფუნდამენტალიზმისაგან დასაცავად.

აშშ და რუსეთი სირიაში კრიზისის დაწყებისთანავე გამოვიდნენ მოწოდებებით - შეეჩერებინათ ძალადობა დიპლომატიური არხების მეშვეობით და საერთაშორისო სამართლის საფუძველზე. კონფლიქტის დარეგულირებისათვის რუსეთის აზრით, გლობალურ მოთამაშეთა გარდა, დიდი როლი უნდა შეესრულებინათ რეგიონის სახელმწიფოებს.

2011 წლის დასასრულს გაეროში გავრცელებული რეზოლუციის პროექტით რუსეთი გამოვიდა მოწოდებით სასწრაფოდ შეეჩერებინათ შეიარაღებული დაპირისპირებები, კონფლიქტის გადაწყვეტა გადაეყვანათ დიალოგის ფორმატში და აღეკვეთათ ძალადობის აღკვეთის ხელშეწყობა, საიდან ან ვისი მხრიდანაც უნდა ყოფილიყო ის წახალისებული და უნდა დაეწყო საერთო ნაციონალური, ფართომასშტაბიანი დიალოგი.

რუსეთის ინიციატივები მიუღებელი აღმოჩნდა დასავლეთის ქვეყნებისათვის, რომლებმაც შეიმუშავეს პროექტი, რომელიც ამტყუნებდა სირიის რეჟიმს.

რუსეთის პარალელურად, წინააღმდეგობების დეესკალაციის პროცესში ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც ჩართო უმსხვილესი არაბული ორგანიზაცია - არაბული სახელმწიფოების ლიგა (ასლ), რაც მის მიერ სირიის პროცესებში

საერთაშორისო დამკვირვებლების მოწვევით განახორციელა.

2011 წლის ნოემბერში არაბული სახელმწიფოების ლიგამ ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, სირიაში სუდანელი დიპლომატის ბ. ად-დაბის ხელმძღვანელობით, მუშაობა დაიწყო ლიგის მონიტორინგის მისიამ. შეთანხმება მიზნად ისახავდა დამოუკიდებელი კონტროლის მექანიზმების შემუშავებას, სირიის მოქალაქეების დაცულობას და ვითარების სტაბილიზაციას.

სირიის ხელისუფლებამ დამასკოში დიალოგი გამართა ლიგის მონიტორინგის მისიასთან და ადასტურებდა თანხმობას მათთან თანამშრომლობაზე. მისიის მიერ მომზადებული მოხსენებიდან ირკვეოდა, რომ ქვეყანაში სიტუაცია იმაზე ბევრად უფრო მძიმე იყო, ვიდრე დასავლეთის საინფორმაციო საშუალებებიდან ჩანდა, თუმცა ეს მიუღებელი აღმოჩნდა დასავლეთის ქვეყნებისათვის. შესაბამისად, გაერო-ს უშიშროების საბჭოს ამერიკული ხაზის მატარებელმა ქვეყნებმა აშშ-ის დასტურით უარყვეს რუსეთის წინადადება უშიშროების საბჭოში განეხილათ ასლ-ის მიერ მომზადებული დოკუმენტური მასალები რამდენიმე მიზეზის გამო:

პირველი - მონიტორინგის მისიას არ ჰქონდა არავითარი შეზღუდვები გადაადგილების, ინფორმაციის მიღების, სირიის მოქალაქეებისაგან ინტერვიუს აღებისა და იმათგანაც, ვინც იარაღით ხელში გამოდიოდა ბ. ასადის რეჟიმის წინააღმდეგ, თუმცა არ აღინიშნებოდა, რომ ანტისამთავრობო დემონსტრაციებისთვის მთავრობის მიერ ტყვიების დაშენის ფაქტები;

მეორე - ასლ-ის წარმომადგენლები უარყოფდნენ დასავლეთის რიტორიკას, იმის შესახებ, რომ სირიის

მთავრობას მთლიანად ჰქონდა დაკარგული მხარდაჭერა საკუთარ მოსახლეობაში მხარდაჭერა და, ამის მიუხედავად, მაინც ცდილობდა ხელისუფლების შენარჩუნებას;

მესამე - მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მანიპულირებდნენ კონკრეტული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად; მისიას არ ჰქონდა საიმედო პოლიტიკური მხარდაჭერა და თვითონ ხდებოდა მათ წინააღმდეგ მიმართული დიდი კამპანიის სამიზნე; თუმცა აღინიშნებოდა, რომ მებრძოლების მხრიდან საბრძოლო მოქმედებების დროს ნაღმსატყორცნების გასროლილი ტყვიების მსხვერპლები ხდებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტები;

მეოთხე - დოკუმენტები მრავლად მოიცავდა ინფორმაციებს მებრძოლთა მიერ ჩადენილი დანაშაულებების შესახებ სირიაში და ეს ეხებოდა სირიის „თავისუფალ არმიასაც“, რომელსაც დასავლეთი „დემოკრატიისთვის მებრძოლ“ მამაც მეომრებად სახავდა. დამკვირვებლები აღნიშნავდნენ, რომ მებრძოლთა მიერ ადგილი ჰქონდა ადამიანთა გატაცების ფაქტებს, საბოტაჟს, სასურსათო და სხვა პროცესების ბლოკირებას, აფეთქებებს, თავდასხმებს ინფრასტრუქტურის ობიექტებზე და ა.შ.

მეხუთე - მისია ამ ეტაპზე, კონფლიქტის მშვიდობიანი გზითა და საერთაშორისო ჩართულობის გარეშე დარეგულირების ინიციატივით გამოდიოდა.

მონიტორინგის მისიის მოხსენება მიუღებელი აღმოჩნდა აშშ-ისა და მისი მოკავშირეებისათვის, რადგან აქ დადასტურებული იყო, რომ სირიის მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლ ძალას არა „დაუცველი მოქალაქეები“, არამედ დაქირავებული და კარგად შეიარაღებული მებრძოლები წარმოადგენდნენ, რაც სიტუაციის დარეგულირების აუცილებლობად საგარეო ჩაურევლობის უზრუნველყოფას წარმოაჩენდა.

იმის გამო, რომ ასლ-ის მისიის წევრები აფიქსირებდნენ ობიექტურ მდგომარეობას, მათ წინააღმდეგ ამოქმედდა აშშ-ის და სხვა ქვეყნების პოლიტიკური სანქციები. დღის წესრიგში დადგა მისიის ხელმძღვანელის გამოცდილი პოლიტიკოსის მ. ად-დაბის გადადგომის საკითხი. ადგილი ჰქონდა მისი მოსყიდვის მცდელობასაც, სოლიდური თანხების შეთავაზებით, რომელიც პატიოსანი გენერლის მიერ არ იქნა მიღებული.

საბოლოოდ სუდანის პრეზიდენტის ალ ბაშირის ჩარევის შედეგად მისიის ხელმძღვანელი გაწვეულ იქნა, ხოლო სუდანის პრეზიდენტმა არაბეთის ქვეყნებიდან მიიღო 2 მილიარდი დოლარის შემოწირულობა.

არაბული სახელმწიფოების ლიგის დამკვირვებელთა მისიის საქმიანობა შეწყდა იმ დროს, როდესაც უკვე გამოკვეთილი იყო სირიის კონფლიქტის რეალობა. ნათელი გახდა ახლო აღმოსავლეთის ამ ქვეყნის მიმართ დასავლეთის, რუსეთის, თურქეთის, ირანის, ევროპული და სხვა ქვეყნების ინტერესებიც.

მისიის მუშაობის შეჩერება აშშ-ისა და მათი მოკავშირეების მიერ იყო მძიმე პოლიტიკური შეცდომა; ამ გადაწყვეტილებით ვაშინგტონმა და სხვა ქვეყნებმა მთლიანად დაკარგეს წვდომა სირიის მიმართ საერთაშორისო ჩართულობაზე და ზემოქმედებაზეც, ყოველგვარი ძალადობის გარეშე.

ფაქტობრივად ეს იყო ავღანური გამოცდილების გათვალისწინება ახლო აღმოსავლეთში - ისლამისტური საპირისპირო ძალის შექმნა, რომელიც ამავე დროს ასადის რეჟიმს დაუპირისპირდებოდა, მაგრამ ეს იყო მცდარი მიდგომა, რადგან ავღანეთში „თალიბების“ პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და იდეოლოგიური „წონა“ უფრო იზრდებოდა. საქმე ის იყო, რომ ამერიკელების მიერ ყოველმხრივ

„დაპურებული“ ისლამისტები საკმაოდ მომძლავრდნენ „ყველა მიმართულებით“ და მტკიცედ დაუპირისპირდნენ ყოფილ მფარველებს, რაც ავღანეთიდან ამერიკული სამხედრო კონტიგენტის გამოყვანით დამთავრდა.

ანალოგიური სურათი იხატებოდა ახლო აღმოსავლეთში და, კერძოდ, სირიაში, როდესაც „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციების დაბომბვის შედეგად ასეულობით მშვიდობიანი მოსახლეობა დაიღუპა და იგი გაერო-ს მშვიდობის კომიტეტის შედეგად გახდა ცნობილი რეგიონის და მსოფლიოს პოლიტიკური წრეებისათვის.

რუსულ-ამერიკული თანამშრომლობის შედეგად მოხდა პასუხისმგებლობის ზონებად დაყოფა ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ეფექტური საბრძოლო მოქმედებებისათვის. ასეთი კოორდინირებული თანამშრომლობა გრძელდებოდა ტერორისტების სრულ განადგურებამდე მდინარე ევფრატის ორივე ნაპირთან. რუსეთისა და აშშ-ის სამხედრო ექსპერტები აღიარებდნენ, რომ მიუხედავად სერიოზული პოლიტიკური წინააღმდეგობისა, „დეკონფლიქტინგ-მა“ მიიღო პატრიოტული და პროფესიონალური ხასიათი. მოსკოვმა და ვაშინგტონმა შეძლეს შეექმნათ სტაბილური სისტემა უშიშროების ზომების მისაღებად, ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლებში, რამაც ხელი შეუწყო კოლექტიურ ძალისხმევებს, ანტიტერორისტულ მოქმედებებში.

აშშ-ისა და რუსეთის კოორდინაციამ ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოაჩინა, რომ თანამშრომლობა, ამ ორ ქვეყანას შორის, მიუხედავად „ორმხრივი თანამშრომლობის უარყოფითი დინამიკისა“, არა მარტო შესაძლებელი, არამედ ძალიან პროდუქტიულიც იყო. მოსკოვს და ვაშინგტონს შეეძლოთ შეექმნათ საერთაშორისო თანამშრომლობის მთელი სისტემა.

ანალიტიკოსები, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები და მეზრძოლი მხარეები ვარაუდობდნენ, რომ აღნიშნული პროცესები უნისის, ეგვიპტის და ლიბიის სცენარების ან იმ მოვლენების იდენტური იქნებოდა, რომლებიც სხვა არაბულ სახელმწიფოებში განვითარდა ე.წ. „არაბული გაზაფხულის“ შედეგად. თუმცა რეჟიმის ცვლილების კურსის მხარდამჭერთა იმედგაცრუების თვალსაზრისით, სირიის კონფლიქტი იმაზე გაცილებით მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ ასადის ძალაუფლებიდან ჩამოშორება. იგი წარმოადგენდა განგრძობით და გამალებულ დაპირისპირებას ზესახელმწიფოთა შორის, ომისათვის დამახასიათებელი ელფერით. დასავლური მედიასაშუალებები ასადის წინააღმდეგ საერთაშორისო საზოგადოებისაგან გარიყულის, დამამცირებელ ნარატივს ავრცელებდნენ, მაგრამ ნაცვლად მოსალოდნელი იზოლაციისა ასადმა მნიშვნელოვანი მოკავშირეები შეიძინა რუსეთისა და ირანის სახით.

სირიის კრიზისი იყო გლობალურ და რეგიონულ დონეზე ძალთა ბალანსის ღრმა ცვლილებების, მსოფლიო პროცესების არასრულფასოვნებისა და მრავალმხრივობის შედეგი. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ აქ იყო თავმოყრილი 21-ე საუკუნის გეოპოლიტიკური, იდეოლოგიური, სოციალური და ეთნოკონფესიური კატაკლიზმების უმეტესი ნაწილი.

დასავლეთის პოზიცია არაბთა ლიგის სრულფულებიან წევრად აღიარებისა სირიის სავარაუდო აღდგენასთან დაკავშირებით საკმაოდ პასიური იყო. აშშ საკმარისად აქტიური არ იყო ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენი აზრით, ეს განპირობებულია ახლო აღმოსავლეთის საკითხებიდან აშშ-ის ჩამოშორების ზოგადი ტენდენციით. ძირითადი მოთამაშეები, როგორცაა რუსეთი და ირანი, თუმცა

მათ არ აქვთ ხელშესახები გავლენა არაბთა ლიგაზე, მხარს უჭერდნენ სირიის დაბრუნებას. ამგვარად, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ამ ინიციატივას პოლიტიკური მოგვარების მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევდა.

ერთი მხრივ არაბული ლიგა თამაშობს სულ უფრო მნიშვნელოვან როლს მსოფლიოში, აიძულებს მსოფლიო საზოგადოებას მოისმინოს მისი აზრი ასე თუ ისე და გააქარწყლოს ყველა ეჭვი, რომ ის მხოლოდ ხელოვნური ფორმირებაა, რომელიც ჩამოყალიბდა მხოლოდ დიდი ბრიტანეთის ქმედებებისა და ძალისხმევის წყალობით. მეორე მხრივ, არაბთა ლიგა უკვე დიდი ხანია აღარ არის დამოუკიდებელი და დამოუკიდებელი რეგიონული ორგანიზაცია გადაწყვეტილების მიღების საკითხებში და გადაიქცა დასავლეთის გეოპოლიტიკურ ინსტრუმენტად არაბულ სამყაროში, დაიკავა ერთ-ერთი მხარის პოზიცია.

3.4 სირია გაეროს პოლიტიკაში

გაჭიანურებულმა სირიულმა კრიზისმა სერიოზული გამოწვევა შეუქმნა საერთაშორისო საზოგადოებას: კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა საკითხი, შეუძლია თუ არა მას კონფლიქტის ფეთქებადი კერების სტაბილიზაცია ერთობლივი ძალისხმევით, თუ ასეთი ვითარება გააძლიერებს მეტოქეობას გეოპოლიტიკური ინტერესებისა და ძალაუფლების რეგიონული ცენტრების გადაჭარბებული ამბიციების ზრდას.

ნაციონალისტური აღმავლობის წლებში ეგვიპტეს უწოდებდნენ „არაბიზმის თავს“, ხოლო სირიას – მის „გულს“. ამაში არის რაღაც ისტორიულად წინასწარ განსაზღვრული, თუმცა მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. არაბიზმის ცნებამ დაკარგა თავისი ყოფილი მნიშვნელობა, ეგვიპტემ დაკარგა

ლიდერის პოზიცია, გაჩნდა ფინანსური და პოლიტიკური გავლენის ახალი ცენტრები სპარსეთის ყურეში და გაიზარდა „არაარაბული რეგიონალური სახელმწიფოების“ როლი, როგორცაა თურქეთი, ირანი და ისრაელი.

რეგიონულ დონეზე შეცვლილმა ძალთა ბალანსმა სირია ასპარეზად აქცია, სადაც ირიბად და სხვადასხვა ისტორიულ პირობებში მოხდა შეტაკება სუნიტურ საუდის არაბეთსა და შიიტურ ირანს შორის (ორი რელიგიური ცენტრი და ისლამური სამყაროს წამყვანი მოძრაობების აპოლოგეტები).⁸²

რელიგიურ ნიადაგზე წარმოიშვა საერთაშორისო ტერორიზმის ისეთი ახალი გამოვლინება, როგორცაა შუა საუკუნეების სახელმწიფოს მშენებლობა არაბული ხალიფატის სახით, რამაც კონფლიქტს მრავალგანზომილებიანი ხასიათი მისცა.

არაბული სამყაროს ცენტრში სრულმასშტაბიანი სამოქალაქო ომის გაჩაღებით, ბევრი მონაწილე მხარის კონფლიქტური და გარკვეულწილად თანხვედრილი ინტერესები მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული, რამაც გაართულა ურთიერთშეთანხმების მიღწევა და კოალიციური კავშირები არამყარი და ორაზროვანი გახადა. ამ ყველაფერმა საბოლოოდ განსაზღვრა დაპირისპირების ხანგრძლივობა, სისხლისღვრა და სისასტიკე.

სირიის კრიზისის სპეციფიკა და ამავდროულად მისი მოუგვარებლობა იმაში მდგომარეობს, რომ მრავალმხრივი მოლაპარაკებები სამომავლო სახელმწიფო სტრუქტურაზე მიმდინარეობდა სამხედრო ოპერაციების ფონზე, ხანმოკლე

⁸² The Iranian–Saudi Hegemonic Rivalry // Belfer Center. 2017. October 25. <http://www.belfercenter.org/publication/iranian-saudi-hegemonic-rivalry>

შესვენებებით, ცეცხლის შეწყვეტის მყიფე შეთანხმებებისა და „დეესკალაციის ზონების“ თაობაზე.

რეგიონული კონფლიქტების საერთაშორისო პრაქტიკაში ინსტიტუციური რეფორმები ჩვეულებრივ იწყება სამხედრო ფაზის დასრულების შემდეგ. სირიის კონფლიქტის მოგვარებისას, კონფლიქტის უშუალო მონაწილეებს შორის საერთაშორისო დახმარებით ამგვარი რეფორმების შესახებ შეთანხმებები, ფაქტობრივად, უნდა გახდეს საომარი მოქმედებების შეწყვეტის პირობა და ტერორისტული საფრთხის წინააღმდეგ საერთო ძალისხმევის მიმართულება.

2012 წლის თებერვალში დაიწყო გაეროს მეშვეობით საერთაშორისო შუამავლობის ათვლა მას შემდეგ, რაც გაეროს უშიშროების საბჭომ ვერ შეძლო შეთანხმებული გადაწყვეტილებების შემუშავება (დასავლეთის ხაზი, სპარსეთის ყურის არაბულ ქვეყნებთან ერთად, ინტერვენციის საერთაშორისო ლეგალიზაციის შესახებ რუსეთისა და ჩინეთის გადამწყვეტ ვეტოს ეჯახებოდა), გენერალურმა ასამბლეამ გენერალურ მდივანს დაავალა საკუთარი სპეციალური წარმომადგენელი დაენიშნა სირიაში. ეს იყო გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი კოფი ანანი, რომელსაც სამშვიდობო სფეროში დიდი გამოცდილება ჰქონდა.

საერთაშორისო შუამავლის მიერ შემუშავებული ექვსპუნქტიანი გეგმა მოიცავდა ზომებს საომარი მოქმედებების დასასრულებლად, გაეროს სადამკვირვებლო მისიის განლაგებასა და საერთაშორისო დახმარებით სირიულ მოლაპარაკებებზე გადასვლას.⁸³ თუმცა ამ მარტივ და თეორიულად სწორ გეგმას გაეროს უშიშროების საბჭოში ერთსულოვანი მხარდაჭერა არ მიუღია და მისი განხორციელება

⁸³ Letter of UN Secretary General BAN Ki-Moon to Ms. Susan Rise, President of the Security Council. New York. 2012. April 18. P.1.

თავად სირიულმა მხარეებმა ჩაშალეს. გაეროს დამკვირ-
ვებლებმა ვერ გააგრძელეს თავიანთი საქმიანობა მიმდინარე
სამხედრო ოპერაციების, სხვადასხვა მხარის პროვოკაცი-
ებისა და სირიის ხელისუფლების მიერ გადაადგილების
ხელოვნური შეზღუდვის ფონზე. 2012 წლის ივნისში, ანანმა
თანამდებობა დატოვა მას შემდეგ, რაც თანამდებობაზე ექვს
თვეზე ნაკლები მსახურობდა.

ასლ-ის მისია წარმოადგენდა პირველ საერთაშორისო
მცდელობას, მონიტორინგის მექანიზმის ამოქმედებით,
მშვიდობიანი გზებით, შეეჩერებინათ ან შეენელებინათ რთ-
ული პოლიტიკური და სამხედრო პროცესები.

სირია 2011 წლის ნოემბერში გააძევეს ლიგიდან მას
შემდეგ რაც ხელისუფლებამ სასტიკად ჩაახშო მიტინგეები.

ამ ხნის განმავლობაში ასადმა უკმაყოფილოებს არ და-
უთმო, საპროტესტო აქციები სისხლში ჩაახრჩო. მან
მოახერხა ძალაუფლების შენარჩუნება რუსეთისა და ირანის
სამხედრო დახმარების წყალობით, მაგრამ ახლა დახმარება
სურს თავისი გადატაკებული ქვეყნის აღდგენაში.

12 წელზე მეტი ხნის განმავლობაში კონფლიქტი,
რომელიც თანდათან გადაიზარდა სრულმასშტაბიან ომში,
რომელშიც სხვა ქვეყნები მონაწილეობდნენ, ნახევარ მი-
ლიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა. მსხვერპლთა რიცხვი, სა-
ვარაუდოდ, კიდევ უფრო მაღალია, გაერომ მათი დათვლა
შეწყვიტა რამდენიმე წლის წინ. 100 ათასზე მეტი "გაუ-
ჩინარდა" ან დაიღუპა .

სირიის ომამდელი მოსახლეობის ნახევარზე მეტი - 12
მილიონზე მეტი - იძულებული გახდა დაეტოვებინა სახლე-
ბი. მათ შორის 6,6 მილიონმა დატოვა სირია, დანარჩენი 6
მილიონი იძულებით გადაადგილებული იყო. ბავშვების
მთელი თაობა ემიგრაციაში დაიბადა. ამ 6,6 მილიონიდან

უმეტესობამ - დაახლოებით 5,5 მილიონმა თავი შეაფარა მეზობელ ქვეყნებს - თურქეთს, ლიბანს, იორდანიასა და ერაყს. თითქმის მილიონი ადამიანიმა გაიქცა ევროპაში, რაც ლტოლვილთა ყველაზე დიდი გადასვლაა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

პირველი დიპლომატიური ნაბიჯები ჯერ კიდევ 2018 წელს არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა (UAE) გადადგა. მათ ხელახლა გახსნეს საელჩო დამასკოში და დაიწყო სირიის ლიგაში დაბრუნების ლობირება. ცოტა მოგვიანებით, ბაჰრეინი და იორდანია შეუერთდნენ UAE-ს.

მხოლოდ ბოლო თვეებში საუდის არაბეთმა ჩამოართვა დიპლომატიური ინიციატივა არაბეთის გაერთიანებულ სამიროებს და აიღო რეგიონში მშვიდობისმყოფელის როლი. მოლაპარაკებებს კოორდინაციას უწევდნენ რუსი დიპლომატები.

არაბთა ლიგამ სირიის წევრობა აღადგინა 2023 წლის 7 მაისს ეგვიპტეში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ორგანიზაციის 22 ქვეყნიდან 13 საგარეო საქმეთა მინისტრი.

სირიის კონფლიქტში მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო მოთამაშეები, მათ შორის ირანი, რუსეთი და თურქეთი, მაგრამ ამჟამად არც ერთი არაბული ქვეყანა არ თამაშობს მასში მნიშვნელოვან როლს და არ აქვს რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა.

7 მაისს ეგვიპტეში გამართულ შეხვედრაზე, როდესაც გადაწყდა სირიის წევრობის აღდგენა, არაბთა ლიგის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ცალსახად ხაზი გაუსვეს „სირიის არაბულ გარემოში დაბრუნების“ მნიშვნელობას და „არაბების სურვილს, ითამაშონ წამყვანი როლი პრობლემის მოგვარებაში“ სირიის კრიზისში.

ვამინგტონი შიშობდა, რომ „დახურულ კარს მიღმა პირად საუბრებში“ არაბი ლიდერები შეთანხმდნენ მსხვილი პროექტების განხორციელებაზე, რის გამოც შეერთებულმა შტატებმა გააძლიერა ძალისხმევა ახალი სანქციების შემოღების მიზნით.

სირიის კონფლიქტი იყო არა მხოლოდ მხოლოდ სამოქალაქო ომი, არამედ ომი ახლო აღმოსავლეთის რესურსების (მტკნარი წყალი, ნავთობი, ბუნებრივი აირი, მილსადენის ტრანსპორტირებისა და სხვა კომუნიკაციებისთვის მოსახერხებელი ტერიტორია, უძველესი არტეფაქტები), რომელსაც აწარმოებს სხვადასხვა ეკონომიკური და პოლიტიკური ძალები, რომლებიც იმალებიან შესაბამისი სახელმწიფოების უკან. ეს არის „ძველი“ გლობალური და ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ მე-19-20 საუკუნეებში და „ახალი“ კორპორაციები, რომლებიც წარმოიქმნენ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის დაშლის შემდეგ და შემდგომში. წარმოების საშუალებებისა და მინერალური რესურსების ოდესღაც ერთიანი საზოგადოებრივი საკუთრების დენაციონალიზაციის შედეგად.

იმის მიუხედავად, რომ დიდ სახელმწიფოებში არსებობდა სურვილი და აუცილებლობა, საერთაშორისო ძალები გაერთიანებულიყვნენ ტერორიზმთან საბრძოლველად. ამ მიმართულებით ეფექტურობა მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, როცა ის დაეფუძნებოდა საერთაშორისო სამართლის პრინციპებს და ნორმებს და შეიქმნებოდა გაეროს უშიშროების საბჭოს ეგიდით, როდესაც გარანტირებული იქნებოდა კოალიციის მანდატი და ამ გზით შეიძლებოდა „ჯიჰადისტების“ დამარცხება.

2012 წლის აპრილში გაერო-ს გენერალური მდივნის პან გი მუნის თანხმობით გამართულმა გაერო-ს უშიშროების

საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სირიაში გაეგზავნათ დამკვირვებელთა მისია 300 ადამიანის რაოდენობით, რომლებსაც უნდა ეწარმოებინათ საქმიანობა მხარეთა შორის შეთანხმებაზე ცეცხლის შეწყვეტის და მისი მონიტორინგის განხორციელების შესახებ.

სირიის მთავრობის და დამკვირვებელთა მისიის მუშაობის შედეგად მიღებული დოკუმენტი ითვალისწინებდა სამთავრობო სამხედრო ძალების გამოყვანას ქალაქების საცხოვრებელი უბნებიდან და ცეცხლის შეწყვეტას მთელი ქვეყნის მასშტაბით, შესაბამისად, გაერო-ს გენერალურ მდივანს გაეგზავნა სირიის მთავრობის გადაწყვეტილება რესპუბლიკის სამხედრო ძალების მუდმივი დისლოკაციის ადგილებზე გადაადგილების, საომარი ოპერაციების შეჩერების და დაზავების პროცესის დაწყების შესახებ.

თუმცა, გაერო-ს ეს პოზიცია მიუღებელი აღმოჩნდა მშვიდობიანობის პროცესის მოწინააღმდეგეებისათვის, რომლებმაც იმავე დღეს განახორციელეს საბრძოლო ოპერაციები და ტერორისტული აქტები, სამთავრობო, საპოლიციო, სამხედრო, სამოქალაქო მოსახლეობის, აეროპორტების, ტრასების და ა.შ. წინააღმდეგ.

გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოსული პანგი მუნი ადასტურებდა, რომ სირიის პრეზიდენტი მზად იყო თანამშრომლობის, მშვიდობიანი გზით მოეხდინათ კონფლიქტის მოწესრიგება და პრობლემა ოპოზიციის არსებობაში კი არ მდგომარეობდა, არამედ აგრესიული, უცხოეთიდან შეიარაღებული დაჯგუფებების მოქმედებებში.

დასავლეთის ცალკეული ქვეყნები - „სირიის მეგობართა ჯგუფი“ არ მიესალმებოდა გაერო-ს და სირიის ასეთ ურთიერთობებს.

2012 წლის 23 თებერვალს გაერო-ს ყოფილი გენერალური მდივანი კოფი ანანი დაინიშნა გაერო-ს სპეცწარმომადგენლად სირიის რესპუბლიკაში, რომელიც ერთდროულად გახდა ა.ს.ლ.-ის წარმომადგენელიც.

გაერო-ს სპეცწარმომადგებლის მანდატი ითვალისწინებდა ყოველგვარი ძალადობისა და ადამიანთა უფლებების ხელყოფის წინააღმდეგ ბრძოლის სირიის რესპუბლიკაში, ასევე კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირებისთვის ხელშეწყობას, პოლიტიკური დიალოგების დაწყებას არამხოლოდ სირიის მთავრობასა და შეიარაღებულ დაჯგუფებებთან, არამედ რეგიონსა და საერთაშორისო მოთამაშეთა შორის.

კოფი ანანის მიერ შემუშავდა „მშვიდობიანი გეგმა“ რომელიც 6 პუნქტისაგან შედგებოდა და ითვალისწინებდა ცეცხლის შეწყვეტას, პოლიტიკური დიალოგის დაწყებას და გაერო-ს კონტროლის ქვეშ მდგომარეობის სტაბილიზაციას.

გეგმა მისაღები იყო სირიის მთავრობისა და ასევე, რუსეთისათვის. თუმცა იგი მიუღებელი აღმოჩნდა, „სირიის თავისუფლების არმიისათვის“. დოკუმენტი არ იქნა გაზიარებული მთელი რიგი საერთაშორისო სპონსორების მიერ. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ყველა პროამერიკული მოთამაშე არ იზიარებდა გეგმას და, შესაბამისად, მოუწოდებდა ოპოზიციას გაეგრძელებინათ საომარი მოქმედებები, მოეხდინათ ანანის გეგმის საბოტაჟი, რაც ხორციელდებოდა კიდევაც გაერო-ს სპეცწარმომადგებლის მუშაობის პროცესშიც.

კოფი ანანი გამოვიდა წინადადებით სირიაში საერთაშორისო დამკვირვებლების გაგზავნის შესახებ, რაც განხორციელდა კიდევაც და ძალადობის დონემ იკლო. მისი ხელმ-

ძღვანელი ნორვეგიელი გენერალი რ. მუდი შეეცადა სწორად გაკრვეულიყო ორივე მხარეს მომხდარ ინციდენტებში. ეს იყო პოზიტიური ნაბიჯები. მით უმეტეს, ამას ადასტურებდნენ საზღვარგარეთული სააგენტოები და ჟურნალისტები. განახლდა ჰუმანიტარული დახმარებების შეუფერხებელი მიწოდება. მისიის წარმომადგენლები ავლენდნენ შეიარაღებულ დაჯგუფებებს, ტერაქტებს, ძალადობის ფაქტებს. ამასთან გენერალი არ მალავდა, რომ საგარეო მოთამაშეებს ამომრავებდათ თავისი პოლიტიკური მიზნები.

კოფი ანანი და ბ. ასადი თანხმდებოდნენ, რომ ეცდებოდნენ მდგომარეობის სტაბილიზაციას სირიის ისეთ გუბერნიებში, სადაც კრიზისი ყველაზე მახინჯ ფორმებს ღებულობდა. მათ შორის ძალიან მძაფრი იყო კონფესიური დაპირისპირებები, თუმცა გაერო-ს „მშვიდობიანი გეგმის“ განხორციელება არ იყო ადვილი საქმე. თავის მხრივ, რუსეთს გააჩნდა კონკრეტული გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მხარეების მიერ დაპირისპირების შეწყვეტის ინტერესებს, მაგრამ მთავარი მაინც იყო გაერო-ს მისიის აქტიური ჩართულობა. ამ კონკრეტულ გეგმაში მოაიზრებოდა საბრძოლო რაზმების და მძიმე ტექნიკის გაყვანა, ცეცხლის შეწყვეტის ინდივიდუალური გეგმის შემუშავება ცალკე აღებული დასახლებული პუნქტებისათვის, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას მთელი ქვეყნის მასშტაბით და სხვა გადაწყვეტილებებს.

2012 წლის აპრილში გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სირიაში დამკვირვებლების მისიის გაგზავნის შესახებ, რომელთა რაოდენობა განისაზღვრა 300 ადამიანით, რომლებსაც უნდა ემუშავათ კ. ანანის გეგმის პრაქტიკულად განსახორციელებლად, რაც, ძირითადად, ითვალისწინებდა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

გაერო-ს დამკვირვებელთა და სირიის მთავრობის მუშაობას მოჰყვა სამთავრობო სამხედრო ძალების გამოყვანის გადაწყვეტილება ქალაქების საცხოვრებელი უბნებიდან და ახალი ინიციატივის შემუშავება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ქვეყნის მასშტაბით. შეჩერდა საომარი ოპერაციები და დაიწყო დაზავების პროცესი, თუმცა ამ მომენტიდან მოკლე ხანში მშვიდობიანობის პროცესის მოწინააღმდეგეებმა განახორციელეს საბრძოლო ოპერაციები და ტერორისტული აქტები, სამთავრობო ობიექტებზე. სირიის კონფლიქტში ჩართულ ყველა ქვეყანას გავლენა უნდა მოეხდინა მათ დამი დამოკიდებულ მებრძოლთა დაჯგუფებაზე, მაგრამ პრაქტიკულად ეს ვერ განხორციელდა.

საბოლოოდ, აშშ-მა ვერ შეძლო სირიაში შეექმნა „დეესკალაციის ზონები“ სხვადასხვა პროვინციებში და შეინარჩუნა შეიარაღებული დაჯგუფებები მხოლოდ სირიის სამხედრო ნაწილში.

მალე ისლამურმა სახელმწიფომ დაკარგა უპირატესობა, რამაც სამთავრობო ძალებს შესაძლებლობა მისცა, განემტკიცებინათ პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო პოზიცია.

გაერო-ს მისია მსოფლიო საზოგადოებას აწვდიდა რეალურ ინფორმაციას და მოუწოდებდა არ გაეზიარებინათ სირიის ოპოზიციური დაჯგუფებების დეზინფორმაციები და დანაშაულები, რაც, სინამდვილეში, დასავლეთს ხელს უშლიდა მოეხდინა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ობიექტური ფორმირება იმის შესახებ, თუ სინამდვილეში როგორ იბრძოდა სირიის ხელისუფლება მშვიდობის დასამყარებლად რეგიონში.

ირან-სირიის სტრატეგიულ პარტნიორობაში ანკარა სირიის სეკულარულ რეჟიმს ანიჭებდა უპირატესობას ლიბანის შიიტური ფუნდამენტალიზმისაგან თავის დასაცავად.

სირია იყო მნიშვნელოვანი რგოლი ირანის ისლამური რესპუბლიკისათვის, რომელიც ბოლო ოცი წლის განმავლობაში შესამჩნევად განმტკიცდა. ასადის მთავრობის დაცემა თეირანს ართმევდა ლიბანში ჰეზბოლას მოძრაობის დახმარებას და მნიშვნელოვნად ამცირებდა ირანის გავლენას არაბულ სამყაროში.

არაერთი წყაროს მიხედვით, ირანის ფინანსური დახმარება სირიის მთავრობისათვის წელიწადში 7 მილიარდ აშშ დოლარს აღწევდა. ირანის ხელმძღვანელობის მოთხოვნით, ჰეზბოლას მოძრაობის შეიარაღებული ფორმირებები, 2013 წლის მაისიდან აქტიურად მონაწილეობდნენ საომარ მოქმედებებში ბაშარ ალ-ასადის მთავრობის მხარეს. ასევე ისლამური რევოლუციის გვარდიის კორპუსის სამხედრო მრჩეველები კოორდინაციას უწევდნენ სირიის არმიის მოქმედებებს.

გაერო-ს სადამკვირვებლო ძალების მიმართ დაიწყო დაპირისპირების, შანტაჟის, პროვოკაციების, დაშინების, აფეთქებების, ძალადობის და სხვა მოქმედებები, რისი გამოვლინება იყო 2012 წლის მაისში დასავლეთის მიერ გაცხადებული გადაწყვეტილება გაერო-ს მისიის საქმიანობის გაგრძელების შეწყვეტის შესახებ, როდესაც მისიის ხელმძღვანელის გენერალ რ. მუდის სამართლიანი შენიშვნით, „მისმა მუშაობამ დასავლეთისათვის დამაწყნარებელი ეფექტის მოტანა ვერ შეძლო“.

2012 წლის მაისისთვის გამოიკვეთა გაერო-ს მისიის მოწინააღმდეგეთა მოქმედებები სირიის ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკის გამო. ამიტომ დასავლეთის

მიერ მიღებულ იქნა ოფიციალური გადაწყვეტილება მისიის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ.

აშშ-მა უარი განაცხადა უშიშროების საბჭოს №2059 რეზოლუციის (2012 წლის 20 ივლისი), თანაავტორობაზე, რომელშიც გაერო-ს მისიის მანდატის გაგრძელებას მხოლოდ 30 დღით იუო გათვალისწინებული. ვაშინგტონი ვერ ხედავდა აზრს გაერო-ს მისიის საქმიანობის შენარჩუნებაში.

გაერო-ს დამკვირვებელთა საქმიანობის შეწყვეტას მოჰყვა კოფი ანანის გადაწყვეტილება უპრეცედენტო გადადგომის შესახებ. მას სირიის კრიზისის გადაწყვეტა სამხედრო ძალით გადაწყვეტა შეუძლებლად მიაჩნდა და აცხადებდა, რომ ყველა ღონე უნდა ეხმარათ სახელმწიფო სტრუქტურების რღვევისა და სრული ქაოსის თავიდან ასაცილებლად, რაშიც ერთადერთ გამოსავლად აშშ-სა და რუსეთის ერთობლივი ძალისხმევას, ლიდერობასა და გამბედაობას მიიჩნევდა.

2012 წლის აგვისტოში მისიის საქმიანობა შეჩერდა დასავლეთის ქვეყნების ზეწოლის გამო, რომლებსაც არ მოსწონდათ მისიის მოქმედებების შედეგები. ამერიკელები აცხადებდნენ, რომ გაერო-ს დამკვირვებელთა საქმიანობა არ იყო „დამატებითი ღირებულებების“ მომტანი სხვადასხვა მიზეზების გამო.

პირველი - აშშ-ს და მის მოკავშირეებს აუცილებლად ესაჭიროებოდათ ოპოზიციის გამარჯვება „ხმელეთზე“, ამიტომ სიტუაციის განმუხტვა არანაირად აწყობდათ და შეთანხმების გზით კონფლიქტის დარეგულირების არავითარი სურვილი არ გააჩნდათ. ამიტომ ვაშინგტონი და მისი მომხრეები თანამშრომლობდნენ რადიკალურ ჯგუფებთან, ახდენდნენ მათ კონსოლიდაციას და მოუწოდებდნენ უარყოფით კოფი ანანის „მშვიდობიანი გეგმის“ პროექტი, უა-

რი ეთქვათ ყოველგვარ შეთანხმებაზე ბ. ასადის რეჟიმთან, საპირისპიროდ რუსეთისაგან, რომელიც ცდილობდა დაერწმუნებინა ოპოზიციის ჯგუფები, შეესრულებინათ გაერო-ს მისიის გადაწყვეტილებები, თუმცა, აშშ-ისა და მათი მოკავშირეების დაჟინებითი მოთხოვნით, მოსკოვს ამაზე უარი ეთქვა;

მეორე - გაერო-ს მისია - ზუსტად ისევე, როგორც ადრე ასლ-ის დამკვირვებლები - ხელს უშლიდნენ დასავლეთის ქვეყნებს, მსოფლიო საზოგადოებაში დეზინფორმაციის გავრცელებაში სირიის არაბთა რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ; ობიექტურად აღნუსხავდა სირიაში მიმდინარე პროცესებს, ამხელდა დასავლეთის მომხრე მებრძოლთა მრავალრიცხოვან დანაშაულებსაც, რაც ხელს უშლიდა დასავლეთს, მოეხდინა „მსოფლიო საზოგადოებრიობის“ თვალის ახვევა;

მესამე - აშშ და მისი მხარდამჭერები გაერო-ს მისიის დოკუმენტების ობიექტური მოხსენებების გაცნობის შემდეგ, შეეცადნენ შეეჩერებინათ რუსეთის მიერ წარდგენილი რეზოლუციის პროექტი, რომელიც დიამეტრალურად მიუღებელი იყო დასავლეთისათვის. ეს იყო სრულიად სხვა „ალტერნატივა“ - გაერო-ს წესდების მე-7 მუხლის გამოყენების შესაძლებლობა - ძალის გამოყენების უფლება, რაც მსოფლიო პრაქტიკაში უიშვიათესი შემთხვევა იყო. ამ პროექტის მიხედვით, სირიის მთავრობას ულტიმატუმის სახით, ევალუბოდა კაპიტულაციის გამოცხადება, რაც საშუალებას მისცემდა აშშ-ის და მისი მოკავშირეების მებრძოლებს მშვიდობიანად დაეკავებინათ სირია; სხვა შემთხვევაში ცხადდებოდა მკაცრი სანქციები სახელმწიფო სტრუქტურებისა და პიროვნებებისათვის.

ნიშანდობლივია, რომ აშშ-ის ადმინისტრაციისპოლიტიკამ მოახდინა ისლამისტური იდეოლოგიის მქონე სახელმწიფოების ერთმანეთთან გაერთიანება ე.წ. „ჯვაროსნების“ პოლიტიკის დაგმობა ისლამის წინააღმდეგ, რასაც ამტკიცებდა სირიისა და ერაყის ტერიტორიაზე მოქმედი „ჯაბხატ ან-ნუსრას“ და „ისლამური სახელმწიფოს“ შერიგება და ჩრდილოეთ აფრიკაში, არაბეთის ნახევარკუნძულზე, შუა აღმოსავლეთში და თითქმის მთელ მუსლიმურ სამყაროში გაკეთებული განცხადებები ყველა რადიკალების გაერთიანების შესახებ, - ვაშინგტონის წინააღმდეგ.

სირიის გარშემო განვითარებული კონფლიქტი ძირითადად წარმოადგენდა ზესახელმწიფოების და, კერძოდ, აშშ-ისა და რუსეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო დაპირისპირებების შედეგს, რომლის მოგვარება ვერ შეძლო მსოფლიოს საერთაშორისო ორგანიზაციამ; 2015 წლისთვის გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაცემების თანახმად, გაცხადდა, რომ 2011 წლიდან 2015 წლის ნოემბრამდე კონფლიქტის შედეგად დაიღუპა 145 000-დან 250 000-მდე ადამიანი. აქედან, სამოქალაქო მსხვერპლი, სხვადასხვა წყაროების თანახმად, 74 425-დან 91 229-მდე. კონფლიქტის შედეგად, 2015 წლის მონაცემების მიხედვით, ერთ მლნ-ზე მეტი ადამიანი დაიჭრა; 6,5 მილიონი სირიის ფარგლებში გადაადგილდა, 4,2 მილიონზე მეტმა ლტოლვილმა კი მეზობელ ქვეყნებს და ჩრდილოეთ აფრიკას შეაფარა თავი. ევროპის ქვეყნებში 2011 წლის აპრილიდან 2015 წლის ოქტომბრამდე 681 713 სირიელი თავშესაფრის მაძიებლის განაცხადი შევიდა.⁸⁴

84 UNHCR-ის მონაცემებით, 2011 წლიდან ნმოყოლებული, დაახლოებით 5,6 მილიონმა სირიელმა დატოვა ქვეყანამ ხოლო 6,6 მილიონი იძულებით გადაადგილებული პირია.

2015 წლის შემოდგომისათვის არსებული „სირიის ადამიანის უფლებათა ზედამხედველობის ცენტრის“ მონაცემებით ომის დროს დაიღუპა 240 381 ათასი ადამიანი. ათასობით ადამიანი უგზოუკვლოდ დაიკარგა. კონფლიქტის შედეგად 12 მილიონმა ადამიანმა ანუ სირიის მოსახლეობის თითქმის ნახევარმა დაკარგა საცხოვრებელი სახლი, რომელთა უდიდესი ნაწილი, დაახლოებით 7 მილიონი, ქვეყნის შიგნით დევნილობაში იმყოფებოდა, ხოლო ორმა მილიონმა მიგრანტმა თავშესაფარი თურქეთის ბანაკებში ჰპოვა, 1 მილიონმა ადამიანმა თავი ლიბანს შეაფარა, ხოლო 600 ათასამდე მაცხოვრებელმა - იორდანიას.⁸⁵

სირიის კონფლიქტის გეოპოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოვიტანოთ დასკვნა კონფლიქტის არამხოლოდ წარმოშობის, არამედ მისი განვითარების შესახებ:

1. სირიის კონფლიქტი გასცდა შიდა სამოქალაქო ომის მოცემულობას და საერთაშორისო ხასიათი მიიღო;
2. კონფლიქტში გამოიკვეთა აშშ-ის, რუსეთის, თურქეთის, ირანისა და საუდის არაბეთის ინტერესები;
3. კონფლიქტმა განსაკუთრებით გამოაშკარავა ირან-საუდის არაბეთის მეტოქეობა და პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები;
4. ირანის ისლამური რესპუბლიკის ინტერესები მდგომარეობდა თეირანი - ბაღდადი - დამასკო - ჰეზბოლას ლერძის განმტკიცებაში, რაც მას საშუალებას მისცემდა გავლენა მოეხდინა არაბული სამყაროს სხვა ქვეყნებზე;

85 თ. კუპრეიშვილი, „ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა“. თბ., 2017 წ. გვ. 46-47.

5. საუდის არაბეთი თავს მოიაზრებდა არაბული სამყაროს ლიდერად არ მოხდა ირანისა და საუდის არაბეთის ინტერესების შეჯერება, ამიტომ კონფლიქტები ვერ მოგვარდა სირიაში, ლიბანში, ერაყსა და იემენში;
6. სირიის კონფლიქტმა გამოიწვია ახლო აღმოსავლეთში ახალი აქტორების გაჩენა, რომლებიც საკუთარ ინტერესებს იცავდნენ (სირიელი ქურთები - თურქეთის ქურთის-ტანის მუშათა პარტია, აშშ, თურქეთი);
7. გამოვლინდა ინტერესთა განსხვავებები აშშ-სა და თურქეთს შორის სირიელი ქურთების პოლიტიკური და სამხედრო ასპარეზზე გამოსვლის გამო.

